


ვიოპეი
ეოეოლაძეილი



„ენა ერის
თადღაცვის
იაჩაღია“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ენა და მწერალი – რას ნიშნავს ენა
მწერლისათვის და მწერალი – ენისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცადეთ
დავით კლდიაშვილის, მუსრან მაჭავარიანის,
ანა კალანდაძის, ვაჟა-ფშაველასა და მიხეილ
ჯავახიშვილის შემოქმედების მიხედვით...

დღეს ვისაუბრებთ კონსტანტინე გამსახურ-
დიას შესახებ...

ცხადია, ესეც არის მცდელობა ამ კითხვა-
ზე პასუხის გაცემისა... ვნახოთ...

რედაქტორი რუსუდან ლანდია

ტექნიკური რედაქტორი ლევან ვაშაკიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა რუსუდან გრიგოლიასი

გარეკანი ნინო ებრალიძისა

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021

© არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2021

ISBN 978-9941-13-813-3 (ყველა წიგნის)

ISBN 978-9941-13-994-9 (წიგნი 6)

წინასიტყვა

„წინასიტყვაობის“ ნაცვლად არა ერთგზის გვიხმარია წინასიტყვა. ქართულად იტყვიან წინაკაცს, წინაკარს, წინაგამგებულს“.

კ. გამსახურდია

„ენა ერის თავდაცვის იარაღია (ფიქრები კონსტანტინე გამსახურდიაზე)“ მორიგი ნარკვევია სერიიდან „ენა და მწერალი“.

როცა ამ სერიის ერთ-ერთ ნარკვევში ვაჟა-ფშაველაზე ვსაუბრობდით („ერი დედაა ენისა“ – 2020), ჩვენი მიზანი იყო: დაგვენახა ვაჟა-ფშაველა, როგორც ენობრივი ფენომენი – როგორ მიიღო მკითხველმა მისი შემოქმედება, მისი პოეტური ენა; ვინ გაუგო პოეტს და ვინ – ვერა; რა ითქვა მის შესახებ და როგორი იყო პოეტის რეაქცია, პასუხი კრიტიკოსთა შემოტევაზე... მოკლედ, ჩვენ როგორ დავინახეთ ვაჟა-ფშაველას ენობრივი სამყარო...

სხვადასხვა კუთხით, სხვადასხვა თვალსაზრისით წარმოვადგინეთ ამ სერიაში დავით კლდიაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე და მიხეილ ჯავახიშვილი... საერთოა დედაენისადმი უკიდევანო სიყვარული, პატივისცემა, მოკრძალება და თავდადება...

კონსტანტინე გამსახურდია სხვაა; სხვაგვარია მისადმი ჩვენი ინტერესიც...

ჩვენ ამ ნარკვევში არ ვისაუბრეთ კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენის შესახებ (ამიტომ, ცხადია, იმ ნაშრომებსაც გვერდს ავუვლით, რომლებშიც მწერლის ენა არის განხილული...); თუმცა ერთია: კ. გამსახურდიას მხატვრული ენის მიმართ კრიტიკისა თუ მკითხველების მხრიდან არ ყოფილა ისეთი დამოკიდებულება, როგორიც, ვთქვათ, ვაჟას ენის მიმართ გამოიჩინეს და თუნდაც ამიტომ...

ჩვენ კონსტანტინე გამსახურდიას შეხედულებები გვანტერესებს ზოგადად ენის და, კერძოდ, ჩვენი დედაენის შესახებ: რა არის ენა ერისათვის, მწერლისათვის, თითოეული ჩვენგანისათვის; როგორი უნდა იყოს დედაენისადმი დამოკიდებულება... რა გზა გაიარა ქართულმა ენამ და როგორია მისი დღევანდელი მდგომარეობა... რა პრობლემები დგას ქართული ენის წინაშე და როგორ უნდა მოგვარდეს ისინი...

კლასიკოსი მწერალი მსჯელობს, ფიქრობს, დავობს, კამათობს...

მიხეილ ჯავახიშვილი წერდა ერთგან: „უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოსო...“ XX საუკუნის დასაწყისიდანვე „ამ საქმის მეთაურობა“ იკისრეს მიხეილ ჯავახიშვილმა და კონსტანტინე გამსახურდიამ... თუ 1937 წლამდე მეწინავე დროში მიხეილ ჯავახიშვილს ეპყრა ხელთ, 1937 წლიდან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე ქართული ენის ქომაგი, მზრუნველი, ჭირისუფალი, მედროშე სამწერლო ასპარეზზე კონსტანტინე გამსახურდია იყო...

დიახ, ჩვენ არ ვისაუბრებთ კონსტანტინე გამსახურდიასზე, როგორც ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატზე; ჩვენ გავეცნობით მწერლის ძალზე მდიდარ პუბლიცისტურ მემკვიდრეობას; გამოვკრებთ, რას ფიქრობს, რას გვასწავლის კ. გამსახურდია ამ თვალსაზრისით (თემა: „ენა და მწერალი“); დავალაგებთ გამორჩეულ აზრებს თემატურად და შევთავაზებთ

მკითხველს კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ თემატურ სა-
უბრებს...

ამ ნარკვევში ძირითადად ვემყარებით მწერლის თხზუ-
ლებათა რვატომეულს („საბჭოთა საქართველო“, ტ. I – 1958
წ.; ტ. VIII – 1967) (აქ: ვუთითებთ ტომსა და გვერდს); მო-
ვიშველიებთ სხვადასხვა კრებულებსა თუ პრესაში გამოქვეყნე-
ბულ მასალასაც... (რასაც ასევე მივუთითებთ სათანადო აღვი-
ლას...)

კონსტანტინე გამსახურდიამ განსწავლისა და მოგზაუ-
რობის უამს მრავალი ენა შეისწავლა, მრავალი ქვეყანა მოი-
რა... უცხოეთიდან, უცხოური ენის პოზიციებიდანაც ხელავე
და აფასებდა ქართულ ენას; ესეც დიდად საინტერესოა ჩვენ-
თვის (შედარებები, ანალოგიები...)...

ჩვენ არ ვცდილობთ, შევაფასოთ მწერლის თვალსაზრისი
(თავისთავად, ბუნებრივია, მისი შეხედულებებიდან ზოგი რამ
დღეს ჩვენთვის არ იყოს სარწმუნო და დამაჯერებელი, განსა-
კუთრებით ნორმატული რეკომენდაციები...); ჩვენ შევეცდებით,
მწერალი წარმოვაჩინოთ არა მოკამათის, ოპონენტის თვალთა-
ხედვით, არამედ დავინახოთ კ. გამსახურდია დაინტერესებული
პირის თვალთ – უპირველესად, როგორც მაგალითი დედაე-
ნის თავდავიწყებული სიყვარულისა, ერთგულებისა, თავდადე-
ბისა!...

თვალსაზრისების წარმოდგენისას შეიძლება მცირე კო-
მენტარი, განმარტება დავუროთ (ნათქვამის უკეთ გააზრები-
სათვის); ზოგჯერ ჩავერიოთ, ასე ვთქვათ, შეკითხვის, ჩაკი-
თხვის „წესით“ (საკითხის უკეთ გააზრებისთვის ძალიან მო-
გვწონს იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ პრინციპები...)...
ეს, ვფიქრობთ, დაგვეხმარება სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღე-
ბული ერთგვართემატური აზრების ერთმანეთთან შეჯერების-
თვისაც...

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თითქმის საუკუნის წინათ კონსტანტინე გამსახურდიას მიერ შეფასებული ენობრივი სიტუაცია საქართველოში ღირსსაცნობია დღესაც; მწერლის პოზიცია, რჩევა, მოთხოვნა ასევე ყურადსაღებია თანამედროვეთათვისაც... სადღეისოა ქართული ენის მეურნეობის მოწესრიგების გამსახურდიასეული პრინციპები... მწერლის რჩევები კოლეგებისადმი, მკითხველისადმი...

ამ მასალის გამოკრება, დალაგება და დაინტერესებულ პირთათვის წარმოდგენა ამითაც გვგონია გამართლებული...

აქაც გავიხსენებ დიდი ილიას ნათქვამს: „იქნება ჩვენც ამ სტატიაში ბევრი შევსცოდეთ ჩვენს საყვარელს ენასა, მაგრამ ჩვენ არა ვხედავთ. მაგის განხილვა მკითხველის ნებაა... თუ ღმერთი გავგიწყრება და უხეიროდ მოგვივა რამე“, უპირველესად გვაპატიებს კონსტანტინე გამსახურდიას მოწყალე სული და მერე – დიდსულოვანი მკითხველი!...

კონსტანტინე გამსახურდიამ „ღონისოს ღიმღში“ რომანის მონაკვეთებად დაყოფისას „ქება“ იხმარა; სხვაგან ვრცელ მონაკვეთებს „კარი“ უწოდა... ჩვენც „თავისა“ და „ნაწილის“ ნაცვლად „ქებას“ გამოვიყენებთ. სემანტიკური თვალსაზრისითაც სათაურებთან მიმართებით ეს ტერმინი უფრო მარჯვე გვეჩვენება ამჯერად.

რვატომეულის ბოლოსიტყვაში კონსტანტინე გამსახურდია წერს: „მე მუდამ მახსოვდა, რომ მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“ (VIII, 894).

წერს: თექვსმეტოდე წლის ყმაწვილს მომიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაო და ამ დღიდან მოყოლებული „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა“ ერთი წუთითც არ შეუნელებია... და ეს ჩანდა ყველგან – მის ნაწერებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, საჯარო გამოსვლებში...

კი ამბობდა, ორატორი არა ვარო, მაგრამ მე მქონია ბედნიერება, მომესმინა მისი საჯარო გამოსვლები გასული საუკუნის 60-70-იან წლებში...

აი, ორატორის ოსტატობის ერთი საინტერესო ნიმუში: ერთ-ერთი საჯარო გამოსვლა მწერალთა კავშირში კ. გამსახურდიამ ასე დაიწყო – „მე დიდად მადლობელი ვარ ჩვენი პარტიისა და ჩვენი მთავრობის“ და აქ გამიზნული რამდენიმე

წამიანი პაუზა... და გაგრძელება: „დიას, ბატონებო, წინააღმდეგობა აყალიბებს ადამიანს!“ აცალა დარბაზს გაკვირვება და ევექტი მოულოდნელობისა!... ესაა ორატორული ხელოვნების კლასიკა!

და როცა ვკითხულობ კ. გამსახურდიას გამოსვლებს ენობრივ თემატიკაზე, ყოველთვის ის ხმა, პათოსი, შემართება მესმის...

რვატომეულის ბოლოსიტყვაში მწერალი ამასაც წერს: „ჩემი ენობრივი პოზიციების გამო ხშირად თავს მესხმოდნენ ჩვენი სახელგანთქმული ენათმეცნიერები და კრიტიკოსები, რომლებთანაც საკმაოდ მწვავე პოლემიკა მქონდა მრავალი წლის მანძილზე“ (VIII, 895)...

რა იყო ეს პოზიციები და რომელ პოლემიკაზეა მინიშნება, ამის შესახებ გვინდა ვისაუბროთ ქვევით...

წერს: „მართალია, ქართველ მეფეებს და მთავრებს ჩემი წინაპრებისთვის თავადობა არ უბოძებიათ, სამაგიეროდ ჩემი სიამაყეა და უდიდესი მიზანი ქართული სიტყვისა და აზრის თავადობა მოვიპოვო“ (VIII, 171), და მოიპოვა კიდეც „ქართული სიტყვისა და აზრის თავადობა“... – ეს მერე...

მანამდე: როგორ ყალიბდებოდა ეს ენობრივი პოზიციები, ენობრივი შეგნება, ცოდნა, გამოცდილება მწერლისა...

„განსწავლის უამი“ კონსტანტინე გამსახურდიასი ძველი სენაკის სააზნაურო სკოლიდან იწყება. როცა „ლანდებთან ლაციცში“ ამის თაობაზე წერს, ორ ფაქტს განაზღვრავს: ეს სკოლა ილია ჭავჭავაძემ დააარსაო და ქართული ენის მასწავლებლად აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას მამა, ცნობილი მოღვაწე ნიკო ჯანაშია გვყავდაო (VIII, 72).

ყმაწვილი გამსახურდიას მომავალი სწორედ ამ ორმა ფაქტორმა განსაზღვრა – ილია ჭავჭავაძემ და ქართულმა ენამ...

მერე ქუთაისის ქართული გიმნაზია და ისევ ქართული ენის ინტერესი — იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე...

შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტი და კონფლიქტი გამოჩენილ ნიკო მართან ილია ჭავჭავაძისა და ქართული ენის გამო: ნიკო მარი ლექციაზე ილია ჭავჭავაძესა და პატკანოვს შორის ატეხილ პოლემიკას შეხებია და ილია აუგად მოუხსენებია... ყმაწვილ გამსახურდიას რეპლიკის შემდეგ პროტესტის ნიშნად აუდიტორია დაუტოვებია... გამოუძახიათ დეკანთან — ნიკო მართან, შეხვედრისას სტუდენტი ქართულად შეკამათებია აკადემიკოსს... არც ეს მოუწონეს და კ. გამსახურდია პროტესტის ნიშნად ტოვებს პეტერბურგს... ვერც მისმა მეგობარმა აკაკი შანიძემ გადააფიქრებინა ევროპაში წასვლა შეურაცხყოფილ ქართველ სტუდენტს (VIII, 86)...

და ევროპა...

ესეც გაეიხსენოთ: ძველ ქართულსა და სასულიერო მწერლობასთან სერიოზული „შეხვედრა“ ბავშვობაშიც ჰქონდა: სოფლის ეკლესიაში დიაკვნის თანაშემწე ყოფილა (თავად დიაკვნობაზეც ოცნებობდა თურმე, გადია მღვდლობასა და ეპისკოპოსობასაც კი უწინასწარმეტყველებდა...) (VIII, 76)...

ევროპაში ასეთ დეტალებზედაც ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორი იყო დედაენისადმი გერმანელთა დამოკიდებულება: გერმანელი მეგაზეთე არც დამელაპარაკა, გერმანული რატომ არ იცი, დამეკარგე აქედანო... ხოლო უბრალო თერძის პოზიცია ასეთი იყო, იხსენებს კ. გამსახურდია: მე არასოდეს ვისწავლი სხვა ენას, მე გერმანელი ვარო (VII, 215-216)...

მსგავს ფაქტებზე ყურადღების გამახვილებით ამგვარ დასკვნას აკეთებს მწერალი: „ასეთი თვითმყოფადობა (...) ერთგვარად საჭიროც არის ყოველ ერისთვის“ (VII, 215)... ამას, რა თქმა უნდა, გულდაწყვეტილი ქართველი ამბობს...

საჭიროა უპირველესად ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა და მერე უცხო ენათა ცოდნაზე ფიქრი, რადგანაც ცნობილი ამბავიაო: „ვინც მშობლიურ ენას სიბერემდისაც ვერ შეითვისებს ჯეროვნად, მისთვის სხვა ენებიც მიუწვდომელია“ (VII, 558).

ვთქვით, წერა თექვსმეტითღე წლისამ დაიწყო. უკვე გააზრებული და შეგნებული ჰქონდა ენის არსი და მნიშვნელობა მწერლისათვის. წერს: „მე მუდამ სკრუპულოზურად ვექცეოდი ენობრივ ფაქტორს, რადგან ხელოვნურ ქმნილებაში მუდამ საგულისხმოა არა მარტო „რა“, არამედ „როგორ“. ეს რომ არა, მოთხრობებსა და რომანებს ყოველი მასწავლებელი ან ბუკხალტერიც დაწერდა. ენის ინსტრუმენტია მთავარი“ (VII, 314).

ენობრივი ცოდნის სრულყოფას ტიტანური შრომა სჭირდება, გმირული თავდადება... „ამ ქვეყნად არავის ისე არ ესაჭიროება სრულყოფისათვის ბრძოლა და შრომა, როგორც მწერალს. ამიტომაც ადრე ილუპებიან სიტყვის დიდოსტატები. კამეჩის ენერგია სჭირია მწერალს. ამ სათუთ კალმიდან ქაღალდზე მოდენილი წნევის გაზომვა რომ მოხერხდეს, ალბათ, რამდენიმე ათასი ცხენის ძალა გამოვა. ლევ ტოლსტოი და ფლობერი, ვაჟა და ჰიუგო, რუსთაველი და გოეთე, ალბათ, სატანური ნებისკაცები უნდა ყოფილიყვნენ“ (VI, 521).

შემოქმედმა როგორ უნდა გაიღრმავოს, განიმტკიცოს დედაენის ცოდნა... როგორია კ. გამსახურდიას პირადი გამოცდილება... რას ურჩევს სხვას?

– „მას შემდეგ რაც განსწავლისა და მოგზაურობის წლები მოვათავე, მთელი ჩემი ენერგია ძველი და ხალხური ქართულის შესწავლისკენ მიემართე. ცხადია, რომ არც ერთ დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც

ლიტერატორის ლექსიკა, არც უკვე ცნობილი სიტყვების მარაგი არ ეყოფა“ (VI, 522)...

მაშ, რა არის საჭირო; თავად მწერალმა როგორ მოაგვარა ეს პრობლემა?

– „ამ შეგნებამ ძველ ქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადამავლო. ამის შემდეგ საჭიროდ დავინახე ქართული ენის ალოგიური ბუნებიდანაც ამელო ხარკი. ბუნებრივად ძველი კარაბადინებისა და შელოცვების შესწავლა დამჭირდაო“, – წერს კ. გამსახურდია.

აი, ეს ორი წყარო – ძველი ქართული ენა და ხალხური მეტყველება – არის ის მთავარი აუცილებლობა, ქართველმა მწერალმა რომ ენობრივი ცოდნის სრულყოფას მიაღწიოს... ამის ნათელი მაგალითი თავად კონსტანტინე გამსახურდიაა... განმარტავს უფრო კონკრეტულად:

– „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მრავალგზის შევადარე ქართული ბიბლია, ოთხივე სახარება და ფსალმუნი გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულ გამოცემებს. ეს შრომა გაწეული მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი მასალის ძებნაში“ (VI, 526).

და: – „პარალელურად ვმგზავრობდი მთელს საქართველოში, ვნადირობდი და ვთევზაობდი, რათა უშუალოდ გავცნობოდი ხალხის მეტყველებას. ამგვარად შედეგინილი მაქვს საკუთარი „იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი“. დიალექტებიდან ნასესხები სიტყვის ხმარებას ვერიდები (თუ გმირს არ ვალაპარაკებ), ვიდრე რომელიმე სარწმუნო ძეგლთან არ შევაწამებ“ (VI, 526)...

და კიდევ: – „მარტოობის ჟამს ხმამაღლა ვკითხულობ რომელიმე შერჩეულ ძეგლს ძველი ქართული მწერლობისას. დაძინებისას ძველ ქართულ შედევრებს ვათვალიერებ, რათა ქვეშეცნებაში განმიმკვიდრდეს თავისთავადი ენის კულტურის სურნელება“ (VI, 526). არის ერთი ძალიან საინტერესო რჩე-

ვაც: გარემოს ურიგო გავლენა რომ აიშოროს და ქართული ენის ცოდნას ზიანი რომ არ მიაღდეს, ამისთვის თავდაცვის ამ გზას მიმართავს მწერალი:

— „ცუდი ქართულით მოუბართ შეძლებისამებრ ყურს ვარიდებ. ცუდი ქართულით დაწერილ ლიტერატურას არ ან ვერ ვკითხულობ.“

როგორც უცხო ენებზე, ისე ქართულ დიალექტებზე ხანგრძლივად ლაპარაკს გავურბივარ, რადგანაც ვიცი: ეს ქართულ აქცენტს შემირყვნის უთუოდ“ (VI, 526).

მიხეილ ჯავახიშვილი როცა ამგვარ თემაზე საუბრობდა, მსგავს რჩევას ასე განმარტავდა: „ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე გადმომაქვსო...“ ეს საინტერესო გამოცდილება ჩანს კლასიკოს მწერალთა...

კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერლის, დამოკიდებულება ქართული ენისადმი არის სავსებით შეგნებული, გამიზნული, გააზრებული... ამბობს კიდევაც ერთგან, „მე მაქვს ჩემი ენობრივი პოლიტიკა“ (VII, 533)... საკუთარი ენობრივი თეორიების შემუშავებაზეც კი საუბრობს ერთგან: „მე შევიმუშავე მთელი თეორია, რომლის მიხედვით ქართული ენა უნდა შეგვებრუნებინა მის პირველ საწყისებისაკენ, რათა ჩვენს ენას ახალი სასიცოცხლო ძალები მოეხვეჭა ჩვენი მარაგიდან და კულტურის სხვადასხვა ორგანოებიდან“ (VII, 445). მწერალთა ერთ-ერთ პლენუმზე ასეთი ღოზუნგითაც კი გამოსულა: — უკან დავიხიოთ გიორგი მერჩულისაკენ! (1931-1934 წლების აზრებიან). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, როცა ამ თემაზე საუბრობდა კ. გამსახურდია, მთელი ფეიერვერკი დაატრიალა უცხოური ლიტერატურის იდეალური ცოდნისა; მოიშველია გამოცდილება ანატოლ ფრანსისა, ალ. ტოლსტოისა, ჯეიმს

ჯოისისა, ბალზაკისა და წარმოიდგინეთ, მსგავსი ტენდენციები სომხურ და აზერბაიჯანულ ლიტერატურაშიც კი დაუძებნია.

როცა ამ თემაზე საუბრობს კ. გამსახურდია, ლიტერატურული კრიტიკის მიმართ სერიოზულ საყვედურს გამოთქვამს: ლიტერატურული კრიტიკა ამგვარ საკითხებზე უნდა რეაგირდეს; უნდა ინტერესდებოდეს ენობრივი პრობლემებითო: „მე იშვიათად წამიკითხავს რომელიმე კრიტიკოსის მიერ სათანადო ანალიზით განხილული ენობრივი ფენომენი ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში“ (VII, 447).

თითქოსდა უცნაურია, საყვედური იმის გამო, რომ არავინ გააკრიტიკა თავად კ. გამსახურდიას პოზიცია, მის მიერ წამოყენებული ენობრივი ინიციატივის გამო, მაშინ, როცა კრიტიკა საკმაოდ აგრესიულადაა განწყობილი მწერლის მხატვრული ნაწარმოებების მიმართ: „თუნდაც მე, რომელსაც არასოდეს დამკლვია ჩვენი კრიტიკის პერმანენტული ცეცხლი, იშვიათად მინახავს, რომელიმე კრიტიკოსი დეტალურად შეხებოდეს ჩემი ენობრივი პოზიციებიდან გამომდინარე ლაპსუსებს, ან მიღწევებს“ (იქვე)...

1951 წელს გამოქვეყნებულ წერილში („არქაიზმი და პროვინციალიზმი“) კ. გამსახურდია საუბრობს საკუთარ შემოქმედებაში ენობრივი ეტაპების შესახებ, ტენდენციების შესახებ (ეს რომ ვერ შენიშნა კრიტიკამ, სწორედ ამის გამო გამოთქვამს საყვედურს).

მწერალი მიანიშნებს თავისი ენის განვითარების სამ ძირითად ეტაპზე, ტენდენციაზე, რის შესახებაც არის შესაძლებელი ყურადღების გამახვილება:

1. „თავდაპირველად არქაიზაციისაკენ მიდრეკილება გავამჟღავნე ისტორიულ მასალაზე მუშაობისას, გველისხმობ „დიდოსტატის მარჯვენის“ დაწერის პერიოდს“ (და საუბრობს ლეონტი მროველის, გიორგი მერჩულის და სხვა მემატრიანეთა ვაკლენაზე);

2. „თუ არ ვცდები, სავსებით თანამედროვე და რეალისტური ენით მაქვს დაწერილი ნოველები, აგრეთვე რომანები: „მთვარის მოტაცება“, „გოეთეს ცხოვრების რომანი“ და „ღავით აღმაშენებელი“...“

3. ხალხურობისკენ მიდრეკილებაც არ უნდა იყოს ჩემთვის უცხო „ხოგაის მინდიაში“ (VII, 448).

მთელი ამ პასაჟიდან არსებითი ის არის, რომ კ. გამსახურდიას ღრმა რწმენით, მწერალს საკუთარი ენობრივი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს, საკუთარი ენობრივი სტრატეგია და ეს უნდა იყოს კარგად გააზრებული!...

რაც შეეხება კრიტიკისადმი გამოთქმულ საყვედურს, ამ საკითხს არაერთხელ უბრუნდება და განაზოგადებს კიდევაც, გარკვეულ პრინციპებზეც მიანიშნებს – ფარგალი, ტონი, არგუმენტირება: „ვინც კრიტიკას ვერ ითმენს, მას უთუოდ ცუდად აქვს თავისი შემოქმედების ბუჰხალტერიაში საქმე, მაგრამ კრიტიკას ფარგალი სჭირდება, არგუმენტირება და ტონი. არგუმენტირება დამაჯერებლობას ამაგრებს, უამისოდ კრიტიკა ცილისწამებაა და სხვა არაფერი“ (VII, 475).

კ. გამსახურდიას ინდივიდუალური სტილი ყურადღებას იპყრობს ლიტერატურულ წრეებში. მოსწონთ ან არ მოსწონთ... მ. ჯავახიშვილს კ. გამსახურდიას ერთ-ერთ საგაზეთო წერილზე წარწერა გაუკეთებია: „ქართული ენის მწვალებელიო!...“ (ამას ქეთევან ჯავახიშვილი წერს... საერთოდ თანამედროვეთა შორის კ. გამსახურდიას სერიოზული პოლემიკა ჰქონდა ენობრივ საკითხებზე მიხეილ ჯავახიშვილთან. ამის თაობაზე ქვევით ვისაუბრებთ).

უწუნებენ სტილს, მიაჩნიათ, რომ „გაპრანჭული“ სტილი აქვს; ეს კ. გამსახურდიას ალიზიანებს; კი წერდა, კრიტიკას მოთმენა უნდაო, მაგრამ არ ჩანს იოლი ბრალდებათა მოსმენა; მოვუსმინოთ:

– „რაც შეეხება ჩემი სტილის „გაპრანჭულობის“ ამბავს, უნდა განვაცხადო, „რაპპის“ გააფთრებული ვახკანალიის დროსაც არა მსმენია ასეთი რამ. საერთოდ მაწუხებს, სულწა-სულმა კრიტიკამ „მთვარის მოტაცების“ დისკუსიამდე ვერ მოითმინა და მიმდინარე დისკუსიაში მივარდნენ ჩემს წიგნს დაუსაბუთებელი ბრალდებით. მე არ მესმის, რას ეძახიან გაპრანჭულობას, მანერიანობას, არც ერთი მაგალითი ჯერ არავის მოუყვანია. თუ იმ დონდლო, უხატო, უსახო, მოშვებულ ენას, ხშირად პროვინციულს მანერას წერისას, რომელიც ზოგიერთ კალმოსანს სჩვევია, ჩემს სტილს დაუპირისპირებთ და გაპრანჭულად მოგეჩვენებათ, ეს ჩემი ბრალი არ არის. მწერლის ინდივიდუალური სტილი იქ იწყება, სადაც ორდინარულობის გაცვეთილ კლიშეებს წერტილი ესმით“ (VII, 338). – ეს 1936 წელს მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაზე ითქვა (თანამედროვე მწერლობის აქტუალურ საკითხებს რომ მიეძღვნა)... ძირითადად „მთვარის მოტაცებას“ უკრიტიკებდნენ...

კრიტიკის ტონი უსიამოვნოა, არგუმენტები არ არის... ამგვარ უარგუმენტო კრიტიკას ცილისწამებას უწოდებს მწერალი...

* * *

კ. გამსახურდიას ენა, როგორც ჩანს, სამიზნე ვახდა უმაღლესი პარტიული ხელისუფლებისაც... ექსპერტი ბ. ალდაშვილი ჟურნალ „არსენალში“ (2017, №1) აქვეყნებს წერილს – „დოკუმენტები სტალინის პირადი არქივიდან: როგორ „არედაქტირებდა“ ბელადი გამსახურდიას „დავით აღმაშენებელს“. სტატიის ავტორი სტალინის პირადი ბიბლიოთეკიდან კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ I ტომის 1942 წლის გამოცემას გასცნობია. რომანზე წითელი და ლურჯი ფანქრით ბევრი საინტერესო მინაწერი ყოფილა; ძირითადი შენიშვნები ლექსიკას ეხება... ავტორის აზრით, „კომენტარები

და შენიშვნები, როგორც ჩანს, გაცდა სტალინის კაბინეტს და ბელადის დავალებით ამოქმედდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა. საკავშირო ჟურნალ „ზნამიას“ 1945 წლის მე-9 ნომერში გამოქვეყნდა კრიტიკოს შკლოვსკის წერილი... სადაც დაგეშილი კრიტიკოსი გამსახურდიას ათასნაირ ცოდვაში სდებდა ბრალს“...

ეს უკვე „ნიშანი“ იყო და „საქართველოს მწერალთა კავშირშიც უმაღლესი განახლდა მწერლის საწინააღმდეგო კამპანია. ხაზს უსვამდნენ, რომ „დავით აღმაშენებელი“ გაუგებარი ენით იყო დაწერილი და ქართულ სალიტერატურო ენას ამახინჯებდა. გამსახურდია სადად არ წერს და ხელოვნური სინტაქსით, არქაული სიტყვებით ანაგვიანებს მეტყველებას და ამით საფრთხეს უქმნის ენის განვითარებას“... ასეთი ინფორმაციაც ვრცელდებოდა, რომ „დავით აღმაშენებლის“ III ტომის მთელი ტირაჟი გაანადგურესო 1950 წელს...

შეტევა გრძელდება. ბ. ალადაშვილი წერს: „პარტიული ფუნქციონერები განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოს კომუნისტთა XV ყრილობაზე 1952 წლის 15 სექტემბერს. აკაკი მგელაძე (ქართველ კომუნისტთა თავკაცი – გ. გ.) აღნიშნავდა, კ. გამსახურდია ენას ანაგვიანებს არქაიზმებითა და მოგონილი სიტყვებით და დროა წეროს ხალხისთვის გასაგები ენით“...

ამ ტალღამაც გადაიარა: 1953 წელს ი. სტალინი გარდაიცვალა და კ. გამსახურდიას მიმართ გამოხატული რისხვაც თან გაიყოლა...

ლიტერატურული ცხოვრება ისევ უბრუნდება „ლიტერატურულ კალაპოტს“...

* * *

კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ ყოველი იდეური ნოვატორი სტილისა და გამოთქმის რეფორმატორიც უნდა იყოს (უფრო სწორად, ყოფილად) (VI, 452); „სტილის გამოშუშავება, ინდივიდუალური სტილის ჩამოყალიბება უმძიმესი შრომის შე-

დეგია: „ენისა და სტილის ამბავიც ერთგვარი აღქიმიია, აქაც დიდი შრომის გაწევა დამჭირდებაო“ (VI, 522)...

მწერლობა საღმრთო მადლია; ვინაა დიდი მწერალი, „ეს გარკვეულია ცაში“ (ილიაზე წერს – VII, 457). კ. გამსახურდია შეგვაგონებს, რომ მწერლობა უძძიმესი ტვირთია... ძალდატანებით წერა – არაა მწერლობა!... „უწინარეს ყოვლისა. უნდა გეწერებოდეს და წერად მხოლოდ მაშინ უნდა დაჯდე, როცა ტანჯვითა და შთაბეჭდილებებით აღივსები“ (VI, 479)...

შემოქმედებითი პროცესი ქვეცნობიერს უკავშირდება. ანა კალანდაძემ თქვა, ამას თვითონ განაგებს ის, რაიც შთაგონებით გვწყალობსო... დიან, ამას გულისხმობს კ. გამსახურდია: „საერთოდ, ქვეშეცნეულად ვწერ. მეტწილ სათაურიდან გამოვლივარ; ვერ გეტყვით თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში განმაურებულს, ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად გაჩენილ დედას – ნაყარი ფუტკარი)... (...) წერისა და გადაწერის დროს მე დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს“... (VI, 577)...

აქ ქართული ანბანის სიყვარულზეა საუბარი...

ანბანი სიმბოლოა ენისა...

ენის სიყვარულზე ქვევით ვისაუბრებთ...

აი, ეს არის ის, რაც კონსტანტინე გამსახურდიას, როგორც მწერალს, გამოარჩევს სხვათაგან და ჩააყენებს კლასიკოსთა რიგებში...

ამ ქების დასაწყისში გავიხსენეთ კ. გამსახურდიას ცნობილი შეგონება – „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“... (VIII, 894). ეს დამოკიდებულება იყო ის, რაც ათქმევინებდა მწერალს: „მე ვერ დავანებებ ვერავის ქართული ენის სუვერენიტეტის დარღვევასო“ (VII, 546).... ეს ავტორის – კონსტანტინე გამსახურდიას – მოწოდებაც იყო... მოწოდება ჩვენდამი...

წინა ქებაში რომ მოვიყვანეთ, იმგვარ აზრს კონსტანტინე გამსახურდია ერთგან ამ ფორმით გამოხატავს: „მშობლიური ენის განვრცობა და გაძლიერება ისეთივე ღიდი და საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი ქვეყნისა“ (VI, 153). ეს შეგონება ყველას მიმართ — მწერლისა თუ მკითხველისადმი, ერისა თუ ბერისადმი, დიდისა თუ პატარისადმი...

მაგრამ ეს ზოგადი, საყოველთაო შეგონება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მწერალმა ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის ჟინი გაუღვივოს ქართველს, დედაენის დაცვის სურვილი გაუცხოველოს და ამიტომაც ცდილობს, სხვადასხვა სახით, სხვადასხვა მხრივ დაანახოს, გაუცნობიეროს, რა არის ენა; რა ღირსებები აქვს ქართულ ენას და რატომ უნდა ვიამაყოთ ჩვენ, ქართველებმა, ჩვენი დედაენით...

მაშ ასე, პასუხები კითხვაზე — რა არის ენა?

— „ენა ურთულესი ფენომენია... რაც უფრო მეტს დაფიქრდები ამ უცნაური ფენომენის გამო, მით უფრო რწმუნდები, რომ ღიდი და ძველ ტრადიციათა მატარებლის ენის შესასწავლად ადამიანის ერთჯერადი სიცოცხლეც მოკლეა“ (VIII, 208);

— „არც მიწისქვეშ მდვრინავი, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მალცებს, როგორც ენის ფენომენი. რომელმაც ზენარულმა გონებამ შექმნა ენა, უკეთ რომ ვთქვათ, მსოფლიოს ენები?“ (კრებული „ორიონი“, 1967, 41);

– „ენა ხალხის საკუთრებაა. ენა ხალხის ერთობლივი მეტყველებაა“ (VIII, 199);

– „ენა უცნაურზე უცნაური ფენომენია, ბასრი იარაღი ნაციონალური თვითშეგნებისა“ („ორიონი“, 43);

– „ენა ისეთი ფენომენია, მას ორი რამ აყენებს ზიანს: როგორც ხელოვნურად გამარტივება, ისე ხელოვნურად დაღვარება“ (VI, 603);

– „ენა ერისა და მისი კულტურის წმიდათა წმიდაა. იგი არავის ამბიციების საგანი არ უნდა გახდეს“ (VI 585);

– „ენა უმძიმესი შრომით მონახვევჭი ქვა და ღუღაბია“ (VIII, 215)...

ეგ – ენა ზოგადად, მაგრამ კონკრეტულად როგორ გავი-
აზროთ **ეროვნული** (ნაციონალური) **ენის არსი?**

– „ეროვნული ენა ეროვნული კულტურის უპირატესი და უძლიერესი იარაღია“ (VII, 444);

– „ნაციონალური ენა – საფუძველთა საფუძველია ეროვნული კულტურისა“ („ორიონი“, 43);

– „ყოველივე ნაციონალური ენა მუდამ ყოფილა როგორც იარაღი თავდაცვისა, ისე ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრისა“... (VI, 598).

აქ უკვე შემოვიდა თემა – სახელმწიფოს როლი ეროვნული ენის თავისთავადობის შენარჩუნებაში; რომ ენა და ერი ურთიერთსიმტკიცის განმსაზღვრელია – გარანტია!

– „ერი რომ საკუთარ ტერიტორიას და ენას დაკარგავს, უმჯობესია მაშინვე მოკვდეს“ (VII, 223).

როცა კ. გამსახურდია ერისა და ენის ურთიერთმიმართების საკითხს შეეხება, ებრაული ენის მაგალითს მოიყვანს:

– „ებრაელთა ენა დღეს მარტო ძველ წიგნებშია არსებობს. რაც შეეხება იმ ენას, რომელზედაც გერმანელი და რუ-

სი ებრაელები ლაპარაკობენ, — მასში ებრაული ელემენტი იმდენი ურევია, რამდენიც ქართულში“ (VII, 221).

ეს წერილი („წერილები გერმანიიდან“) 1913 წელსაა დაწერილი; ეს იმდროინდელი რეალობაა... ისევ ერი და ენა:

— „ქართველი ერის შეუდრეკელი სული, მისი ენა, მისი მწერლობა შეუმუსვრელი აღმოჩნდა და სწორედ ამან გაგვამღლებინა ჩვენ, მათ მესიტყვეთ, ახალი სიტყვა გვეთქვა ჩვენი დიდი ეპოქისათვის“ (VII, 330)...

ახალი თემა — ეროვნული ენა და მწერლობა; რა არის ენა მწერლისათვის?

— „ენა იგივეა მწერლისათვის, რაც კომპოზიტორისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი“ (VI, 664);

რადგანაც

— „ენით წვდება ადამიანის გონება ყოველივეს სამყურა ბალახიდან დაწყებულს, ვიდრე ვარსკვლავების ლეგიონებამდის“ („ორიონი“, 41);

— „ენა მეტყველების იარაღია. ოსტატი ის არის, ვისაც ეს იარაღი ისევე ბასრი აქვს, როგორც განსჭვრეტის ნიჭი და ხასიათთა ასახვით შესაძლებლობა... — ეს ყველა კომპონენტი ჯამში შეადგენს დიდი მწერლის ჰაბიტუსს“ (VIII, 251).

— „ენა ხომ ხალხის საკუთრებაა, მისი ერთობლივი მეტყველება. ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული.“

ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი? — მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია“ (VIII, 200).

მწერლებზე ვსაუბრობდით (მწერლობაზე)... ახალ თემაზე გადავიდა საუბარი: მწერლებისა და ენათმეცნიერების ურთიერთობაზე. აქ კ. გამსახურდიას თავისი ჩამოყალიბებული პოზი-

ცია აქვს (ცხადია, აშკარად ტენდენციური, თუმცა დიდად საინტერესო...); ამის თაობაზე სხვა „ქებაში“ ვისაუბრებთ...

აქ ისევ ქართულ ენას დავუბრუნდეთ – ეროვნულ ენას...

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. მიუხედავად ამ ჩვენი მცირერიცხოვნებისა, შეუძელით შეგვექმნა, ჩამოგვეყალიბებინა და დაგვეცვა ჩვენი ენა! მეტიც, განგვევითარებინა ისე, რომ მსოფლიოს კულტურულ ენათა შორის ღირსეული ადგილი დაგვეჭირა...

ეს აძლევს კონსტანტინე გამსახურდიას სიამაყის საფუძველს, ერთი მხრივ, და როგორც მწერალს, მეორე მხრივ, ავალღებულებს, შეახსენოს, შეაგნებინოს, გაუცნობიეროს ქართველს ყოველივე ეს... ცხადია, იმისათვის რომ ღირსეულად ემსახუროს დედაენას და დაიცვას იგი...

რამდენიმე ამონარიდი ნათქვამის ნათელსაყოფად:

– „ქართული ენა უხუცესთაგანია როგორც ევროპის, ისე წინა აზიის ენათა შორის“ (VII, 210);

– „ჩვენი ქართული ენა, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი პასპორტი მსოფლიოს ცოცხალ ენებში, შესწავლილი არ არის ჯეროდ, სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი მსახიობები სიტყვებს ყლაპავენ“ (VII, 377);

– „შედარებით არახანდაზმულ და ახალგაზრდა ენებისა და ლიტერატურათა ფონზე ქართულ ენას გააჩნია ის ბედნიერება, რომ იგი ერთ-ერთი უხუცესი ენათაგანია მთელს მსოფლიოში. მის ეტიმოლოგიაში დღესაც უღერენ ჯერ კიდევ მესხეთე და მეექვსე საუკუნეში ნახმარი სიტყვები“ (VI, 441);

– „თამამად ითქმის: არც ერთ მცირერიცხოვან ერს კარადებში არა აქვს ჩაკეტილი ეგზომ დიდი განძი, როგორც ჩვენ (ხელნაწერებს გულისხმობს – გ. გ.)“ (VIII, 201);

– „ქართულ სიტყვაკაზმულ კულტურას ზოგ შემთხვევაში უკეთესი პირობები ჰქონდა თავის განვითარების პირველ

ეტაპზე, ვიდრე იტალიურს, ფრანგულს, რუსულსა და ინგლისურს“ (VI, 132).

ერთია უხუცესობა, ხანდაზმულობა ქართული ენისა და მეორე — ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მისი როლი ჩვენს ეროვნულ ისტორიაში. მწერალი ასე ხედავს:

— „ის დიდი როლი, როგორც შეასრულა ენამ ქართულმა ჩვენი ნაციონალური თვითცნობიერების ისტორიაში, იშვიათად თუ დაკისრებია რომელიმე სხვას, რადგან ზოგ-ზოგი ხალხის ისტორიაში ენას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მიწვეული, ვიდრე რელიგიურსა და დინასტიურ მომენტებს“ (VI, 130).

ენის ძალმოსილება გენიალურ პიროვნებათა ნააზრევში ვლინდება; ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორია არის ამის დასტური... მწერლის გამორჩეული მისიაც ეს არის: ენის მეშვეობით გადმოსცეს და შემოუნახოს ისტორიას ის, რაც ქართულ აზროვნებას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე. სწორედ მწერალი თავისი შემოქმედებით ახდენს ენის მაგიურ შესაძლებლობათა წარმოჩენას, გამოვლენას... ასე ფიქრობს კონსტანტინე გამსახურდია:

— „ქართული ენის გენიას არაერთი დიდკაცის პირით საცნაურუყვია თავისი ძალმოსილება“ (VI, 130);

— „ქართულმა ენამ ამ ძეგლებში („ვისრამიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“... — გ. გ.) მიაღწია გამოთქმის შესაძლებლობათა მაქსიმუმს; უაღრესი ლაპიდარობა, უდიდესი ეკონომია სიტყვისა, ნაჭედობა ფრაზისა და ფერთა სიუხვე ამ ძეგლებში შერწყმულია ეტიმოლოგიურ სიღრმესა და სიმდიდრესთან“ (VI, 133);

კ. გამსახურდიას ქართული შეგნებიდან ამოსვლით საკმაოდ კრიტიკული (შეიძლება ითქვას, უარყოფითიც) დამოკიდებულება ჰქონდა ნიკო მართან, მაგრამ აღიარებდა მისი, რო-

გორც უგანათლებულესი პიროვნების, უდიდესი მეცნიერის გენიას... ამიტომ აქვს მის აზრს მწერლისთვის დიდი მნიშვნელობა.

— „სწორედ ამის გამო მისცა ამ ენამ საბაბი ჩვენი ეპოქის ფენომენურ ფილოლოგს ნიკო მარს, რომელსაც ვერავინ შესწამებს ნაციონალურ მიკერძობას, სავსებით მართებულად აღევიანა სობობონში წარმოთქმული სიტყვით, აპოლოგია ქართული ენის კულტურული შუბლისა“ (VIII 243)...

ეს არის ამონარიდი ვრცელი წერილიდან — „ვილაშქროთ ქართული ენის სიწმინდისათვის“, რომელიც 1948 წელს გამოქვეყნდა. ეს არის კ. გამსახურდიას ერთ-ერთი ძირითადი პუბლიცისტური ნაშრომი, რომელშიც ძალიან ნათლად არის ჩამოყალიბებული, ერთი მხრივ, მწერლის ზოგადი პოზიციები ქართული ენის შესახებ და, მეორე მხრივ, საუბარია იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დადგა იმდროინდელი ქართული ენა. ნიკო მარის თვალსაზრისის მოშველიება დასჭირდა იმისათვის, რომ ქართველ მკითხველს დაანახოს სიდიადე ქართული ენისა და შეაგნებინოს პირადი პასუხისმგებლობა დედაენის მიმართ...

გვინდა ნიკო მარის ეს შეფასებაც გავიხსენოთ:

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპის, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, მეტადრე ცოცხალი ქართული ენა, უფრო მხატვრულად ხორცს ასხამს ყოველ აზრს და არა დახსნილ-დაქსაქსულად აგვიწერს და არა ზოგად ცნებებზე მხოლოდ გადაიღებს საჭირო აზრს... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიურია... ქართული ენა უფსკრულია, მისი ამოწურვა შეუძლებელია თვით უნივერსიტეტში, სადაც ვრცელი, მეტი

თუ არ ვსთქვათ, პროგრამა“ (მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001, 714). თავის დროზე ეს დახასიათება ქართული ენისა მიხეილ ჯავახიშვილმაც დაიმოწმა... ნიკო მარი სანდო მოწმეა ჩვენი კლასიკოსებისათვის.

როცა კ. გამსახურდია ქართული ენის ქებას აღავლენს, ერთ საინტერესო დასკვნასაც აკეთებს:

– „ქართულ ენას ერთი „ცუდი ზნე“ სჭირს, რომ ის უაღრესად დემოკრატიულია. არც ერთი აღფაბეტი არ არის ისე მარტივი, როგორც ქართული აღფაბეტი და ეს აძლიერებს და ამრავლებს კრიტიკოსებს“ (VII, 351)...

ამ საკითხს, ქვევით კვლავ დაუბრუნდებით...

როგორც ვთქვით, მიზანი მწერლისა ისაა, გაუცნობიეროს მკითხველს, ერთი მხრივ, ღირსებანი ქართული ენისა და, მეორე მხრივ, შეაგნებინოს თავისი ვალდებულება დედაენის მიმართ... ძნელი სათქმელია, მწერალს რამდენად აქვს იმედი იმისა, რომ მიზანს მიაღწევს, მაგრამ ნატკრა ნათელია:

– „თუ ის ბაღლები, ახლა რომ დედების კალთაში ან აკვანში წვანან, ჩემზე უკეთ დაეუფლებიან ქართულ სიტყვას, ეს ფრიადაც გამახარებდა“ (VI, 517)...

* * *

როგორც დიდი ილია იტყოდა, კონსტანტინე გამსახურდია „აიყოლია სიყრმიდანვე ქართლის ბედმა“. სულ თორმეტი-ოდე წლისა ყოფილა, როცა „ქართლის ცხოვრება“ მიაჩნა ხელში შემთხვევამ თუ ბედმა, მისი გარდაცვლილი ძმის, ბესარიონის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი“ (I, 813)... და „ყმაწვილის გონება აედევნა ვახტანგ გორგასლის, გიორგი პირველის, ბაგრატ IV-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სვიმონ მეფისა და ერეკლე მეორის ბედს; ხარობდა მათი გამარჯვებებით და ტიროდა მათთან ერთად“ (VIII, 61)...

და დიდი ინტერესით ეწაფებოდა „ქართული ენის წყაროსთავს“:

– „ქართული ენის წყაროსთავნი იყვნენ იაკობ ცურტაველი და შოთა რუსთაველი, გიორგი მერჩულე და საბა ორბელიანი. ეს გენერალური ხაზი ქართული მწერლობისა განაგრძეს ნიკო ბარათაშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა“ (VI, 440)...

ამ ორი გენერალური ხაზის – ქართლის ცხოვრებისა და ქართული ენის – განვითარების თვალის გადავლება კ. გამსახურდიას უმნიშვნელოვანეს დასკვნას გააკეთებინებს:

– „ენა და ნაციონალური სახელმწიფოს ურთიერთობა განუყოფელია“ (VIII, 212); რომ

– „ქართული ენის აღზევებისა და დაცემის მატიანე ზუსტად ემთხვევა ჩვენი სახელმწიფოს ტრაგიკული ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს“ (VI, 601);

– „ყოველი ნაციონალური ენა მუდამ ყოფილა როგორც იარაღი თავდაცვისა, ისე ერთი ერის მიერ მეორის ჩაგვრისა; ნაციონალური სახელმწიფო იყო ის ფარი, რომლითაც ენები და ერები თავს იცავდნენ უცხოთა მომძლავრებისაგან. უსახელმწიფოდ დარჩენილი ერის მეტყველება უცილოდ ასცდებოდა ნორმალური განვითარების გეზს“ (VI, 598).

დიახ, ეროვნული სახელმწიფოს ბედი რომ განსაზღვრავს ჩვენი ეროვნული ენის სახეს, ამის ნათელსაყოფად საკმარისია თვალი გავადევნოთ ქართული მწერლობის განვითარებას... ასე ფიქრობს (და უეჭველია) კონსტანტინე გამსახურდია:

– „რაიცა შეეხება იმ ბედშავი საუკუნეების ქართულს, საკმარისია XVII-XVIII საუკუნეების მატიანეთა გადაკითხვა, რათა დარწმუნდეთ, თუ როგორი გაღატაკებულია იმ პერიოდის ენა. სწორედ მას აკლია ის ფოლადისებური სიბასრე,

რომელიც „ვისრამიანის“ მთარგმნელის, ჯუანშერ ჯუანშერიანის, ლეონტი პროველის ქრონიკებს, დავითისა და თამარის ანალისტების ენას ახასიათებს“ (VIII, 213).

თუმცა იგავშიუწვდომელი ბუნება ქართული ენისა, სწორად განსაზღვრული გეზი სამწიგნობრო ქართულისა იყო ის ძალა, რამაც სიმტკიცე შესძინა ქართულ ენას, სწორი გზით წარმართა მისი განვითარება და არ მისცა შესაძლებლობა დრო-ჟამს მისი ნგრევისა და განადგურებისა... ასე ფიქრობს მწერალი:

– „ქართული ენის გენერალური საზი ეს არის ის მაგნიტური ველი, რომელსაც მწერალი არ უნდა გადასცდეს“ (VI, 665)...

– „ქართული ენის სინთეტიური ერთიანობის ნაყოფია რუსთაველი. იგი იმ ეპოქაშია წარმოშობილი, როცა ქართული სიტყვა ტომობრივი დიალექტების გადაღმა იდგა, როგორც სპონტანური, უაღრესად თავისებური მოვლენა; და სიტყვა ქართული დიალექტებით გამიჯნული როდი იყო, არამედ ერთობლიობის მწვერვალამდის ასული. რუსთაველი, საბა ორბელიანი, გიორგი მერჩული და დავით გურამიშვილი მთლიანი საქართველოს მესიტყვენი იყვნენ“ (VI, 319)...

– „იმ დიდმა ღვაწლმა, რომელიც ქართულ ენას დასდევს იაკობ ხუცესმა და გიორგი მერჩულემ, გიორგი მთაწმინდელმა და „ვისრამიანის“ მთარგმნელმა, ისეთ სიმაღლეზე ასტყორცნეს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის დონე, როგორსაც შესაბამის ეპოქებში უთუოდ ინატრებდა არა ერთი მრავალრიცხოვანი ერის ლიტერატურა“ (VI, 133)...

– „ის, რაც ქართული პროზისათვის საბამ გააკეთა, პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელიც ქართული ენის განახლების საკითხებში წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ჩვენი დიდი ვაჟისი, რომელმაც მართებულად უწოდა დავითს პაპა“ (VI, 494).

ქართული ენის „წყაროსთავის“ ხიბლმა კონსტანტინე გამსახურდიას არქაული ენისადმი (ე. წ. „ძველი ქართული“ მისთვის პირობითი ტერმინია) დიდი სიმპათია გაუჩინა და სწორედ ამის გამო იყო, რომ 1931-1934 წლებში მწერალმა შეიმუშავა „მთელი თეორია, რომლის მიხედვით ქართული ენა უნდა შეგვებურნებინა მის პირველ საწყისებისაკენ, რათა ჩვენ ენას ახალი სასიცოცხლო ძალები მოეხვეჭა ჩვენი მარაგიდან და კულტურის სხვადასხვა ორგანოებიდან“ (VII, 445). და, ზემოთაც აღვნიშნეთ, მწერალთა პლენუმებზე ასეთი ლოზუნგითაც კი გამოდიოდა: „უკან დავიხიოთ გიორგი მერჩულისაკენ“ (VI, 445)...

ეს არ იყო გატაცება და „პოზა“ (როგორც ზოგიერთს მიაჩნდა იმჟამად...) ახალგაზრდა მწერლისა... ეს იყო, ერთი მხრივ, პოზიცია, კლასიკური მწერლობის სიდიადის გავლენით გამოწვეული ფიქრი შემოქმედისა და, მეორე მხრივ, ჩვენი დიდი ისტორიის თაყვანისმცემელი მამულიშვილისა... სწორედ იმ პერიოდშია გატაცებული ისტორიული თემატიკით...

გაივლის ეს პერიოდი და მწერალი აღმოჩნდება მწარე რეალობის წინაშე (ნაციონალური სახელმწიფოს ბედი რომ განსაზღვრავს მდგომარეობას ეროვნული ენისას):

თუნდაც XIX საუკუნე

– „ერთი საცოდავი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ლამპარი ბჟუტავდა, ქართული არისტოკრატია ქართულად ლაპარაკს არ კადრულობდა და ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში რუსთაველის ენას მხოლოდ ქართველი მეთევზეები, მემწვანაილები, მეთონები და თერძები არ თაკილობდნენ“ (VIII, 201)...

– „აიღეთ უდიდესი მწერალი მე-19 საუკუნისა, გასინჯეთ მისი ლექსიკა, ხუთიოდე ათას ძირეულ სიტყვას არ აღემატება. მეცხრამეტე საუკუნეში ქართული ენა დაკნინდა, დაიშრიტა ქართული ლექსიკონი, სოფლად გლვხობა თუ ლაპა-

რაკობდა კიდევ ქართულად, ქალაქში კი მუშა ხალხი თუ მეტყველებდა ამ ენაზე. გადაგვარდა ქართულის სინტაქსი. მწერლობის დიდი ნაწილი მიჰყვება იმ ენააღრეულ მეტყველებას, რომელიც უკვე ღიმილამობდა გადაგვარებული ქალაქელ წვრილი „ჩინოვნის“ პირში.

ეს აღრეული ბაზრული ქართული გაისმოდა სცენაზე, ნაწილობრივ პრესასა და ლიტერატურაში“ (VI, 319)...

ეს თემა იმდენად მტკივნეულია კ. გამსახურდიასათვის, რომ ხშირად იმეორებს სხვადასხვა ფორმით; სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს ამ რთულ პროცესს; აზუსტებს, გარკვეულ მიჯნებსაც სდებს; ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გვესახება დ. გურამიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის როლის გამოკვეთა;

– „დავით გურამიშვილი და საბა ორბელიანი უდიდესი მწვერვალებია ქართული ენის განვითარების მიჯნაზე. ხოლო აქედან იწყება გასაოცარი დაქვეითება ქართული ენისა“ (VIII, 207);

– „დავითი და საბა, ყოველი მათგანი დიდი პაპაა არა მარტო ილიასი, აკაკისა და ვაჟასი, ყოველი ჩვენგანისაც. ამ ორმა გოლიათმა სვეგამწარებული საქართველოს უმთვარო ღამეში გახსნეს დაშრეტაზე მიმდგარი წყაროსთვალი „დიდებულისა ქართულისა ენისა“ (VI, 595);

– „დიდი საქმე გააკეთა დავით გურამიშვილმა, ხალხური ინტონაცია რომ მისცა ქართულ ენას თავის „ქაცვია მწყემსში“ (VI, 496).

კ. გამსახურდია როცა ქართული ენის განვითარების გენერალურ ხაზზე საუბრობს და ცალკეულ მოღვაწეთა როლებზეც მიაჩნებს, ცხადია, გვერდს ვერ აუვლიდა ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობას. მითუმეტეს, დავით გურამიშვილისა და სულხან-საბას ეპოქაზე საუბრის დროს. უპირველესად შე-

ვნიშნავთ იმას, რომ კ. გამსახურდია არ აფასებს დადებითად ანტონის მოღვაწეობას ქართული სალიტერატურო ენის ასპარეზზე:

— „საერთოდ, ანტონ კათალიკოსის და მისი „სკოლის“ მოღვაწეობა არ წარმოადგენს არავითარ გარდამავალ მარჯვალს ქართული ენის განვითარების ისტორიაში; იგი არავითარი მწერალი არ ყოფილა, ასე რომ განცხადება იმისა, რომ ანტონ კათალიკოსის და მისი „სკოლის“ ხელში ყოფილიყოს თითქოს ქართული ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში, ჩვენის აზრით, გადაჭარბებული ჰიპოტეზაა“ (VI, 595);

კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ სერიოზული მსჯელობა ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიაზე არ შეიძლება. საერთოდ სტილობრივ სხვაობაზე უდავოდ საგულისხმოა მწერლის აზრი (ფაქტობრივ იგი ამ შემთხვევაში ენათმეცნიერებს ეკამათება; არ იზიარებს გავრცელებულ თვალსაზრისს):

— „რაიცა შეეხება ანტონისეულ თეორიას სამი სტილის შესახებ, ეს თეორია მან, როგორც უტალანტო კაცმა, ვერ განავითარა, თორემ ყოველ დიდ მწერალს სამი კი არა, მრავალგვარი სტილისთვის თავის გართმევა უნდა შეეძლოს. მას ისე ღრმად უნდა ჰქონდეს შეთვისებული მრავალხმოვანი გამმანაციონალური მეტყველებისა, აღზევებული სტილითაც უნდა ემარჯვებოდეს წერა, ნაკლებად პათეტიურითაც, მთლად გლესურადაც... თავათ მასალა თხრობისა იძლევა სტილის, ინტონაციის გასაღებს, ყოველი დიდი მწერლის მეტყველებას მრავალკიდოვანი ინტონაცია აქვს“ (ხაზი ავტორისაა) (VI, 595-596)...

კ. გამსახურდიას სჯერა, რომ ქართული ენის დაქვეითების ძირითადი მიზეზი ისევ ჩვენშია, ქართველებში; ეს ჩვენი ეროვნული სენია — დაუდევრობა;

– „დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველებისა. სწორედ მეტყველებაში იჩენს უწინარეს ყოვლისა ამ დაუდევრობას ქართველი კაცი“ (VIII, 205).

ასე იყო ისტორიულადაც... კი, გარეშე ფაქტორებიც გასათვალისწინებელია, ანგარიშგასაწევია, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ჩვენშია, ქართველებში... მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებას ქართული ენისადმი; დაუდევრობაა სწორედ ინტელიგენციის თვისებაო:

– „ქართველ ინტელიგენტს არა აქვს ორგანული სიყვარული არც ქართული წიგნისა, არც ქართული ჟურნალისა და გაზეთებისადმი“... (VIII 205);

– „არა აქვს ენის კულტი არც ქართველ მწერალს, არც ქართველ მსახიობს, არც ქართველ პროფესორს, ქართველ ქალს და ქართველ მკითხველს“... (იქვე);

– „მე ხშირად საათი დამინიშნავს ქართველ ინტელიგენტთან საუბრის დროს. იგი ერთი საათის განმავლობაში შვიდგზის შეიცვლის ენას. არც ერთი იცის და არც მეორე... – არც ერთ ხელისუფლებას არ ძალუძს მოქალაქეებს ოჯახში შეუვარდეს და მოსთხოვოს მათ, ქართულ ენას ნუ ამახინჯებთო“ (იქვე) და სხვა...

დიახ, ასე იყო ეს XX საუკუნის დასაწყისში... მხოლოდ ის, რომ მწერალმა თავად იცოდეს კარგი ქართული და ისე წეროს, „ქართული ენის წყაროსთავიდან“ გამომდინარე ანკარა ქართული არ აამღვრიოს და „ქართული ენის გენერალური ხაზი“ არ გაამრუდოს – არაა საკმარისი. ქართველი მკითხველის ენობრივი თვითშეგნება უნდა აამაღლოს, კლასიკური მწერლობის ენობრივ დონეს უნდა გაუთანაბროს! აი, ესაა მიზანი კონსტანტინე გამსახურდიასი – მწერლისა და მამულიშვილისა...

ქართული ენის იმჟამინდელ სავალალო მდგომარეობაზე საუბარი ამით არ მთავრდება. აქ რამდენიმე მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას... სხვა „ქებათა“ თემებით ამ პრობლემის ირგვლივ იტრიალებს ძირითადად, თუმცა უფრო კონკრეტულად შევეხებით სათქმელს!

მაშ ასე, კვლავ ამონარიდი კ. გამსახურდიას წერილებიდან:

– „ჩვენში მთავარზე უმთავრესი ბოროტება ეგაა: ქართული ენის მეურნეობას შესცქერიან რომელიმე ახალი ენის თვალსაზრისიდან“ (VIII, 208).

სხვათაშორის, კ. გამსახურდია საგანგებოდ მიანიშნებს, თუ როგორ ზრუნავდა ბოლშევიკური მთავრობა ქართული ენის მდგომარეობაზე... ეს არ იყო მთავრობისათვის გუნდრუკის კმევა, ეს ჭეშმარიტება იყო, რამდენადაც დღეს არ უნდა გვიკვირდეს. გავხაზავთ: ბოლშევიკური (კომუნისტური) ხელისუფლება უფრო მეტად აქცევდა ყურადღებას ქართულ ენას, ვიდრე XXI საუკუნეში ხდება ეს... თუმცა ეს სხვა თემაა. ასე რომ, მთავრობის პოზიციის წარმოჩენა ხელისუფლების მხარდაჭერად არ უნდა ჩავუთვალოთ კ. გამსახურდიას:

– „სრულიად საქართველოს ცაკის თავჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ გულისტკივილით შესჩივლა ყრილობას: ქართული ენა ჩვენს თვალწინ მახინჯდებაო“ (VIII, 199)...

სხვაგან წერდა:

– „მე არ ვამბობ, რომ ქართული კულტურის, ქართული ენის დაუძღვრება მთავრობის ბრალი იყოს. მთავრობა სცემს დეკრეტებს: ილაპარაკეთ ქართულ ენაზე. აქ დამნაშავეა ქართული ინტელიგენციაც... ქართველი ინტელიგენტი არ არის თავისი სიტყვის, თავისი ლიტერატურის, თავისი კულტურის ფანატიკოსი“ (VII, 344).

აქ ორ ზოგად საკითხზე გავამახვილებთ ყურადღებას: ქართულ თეატრსა და ლიტერატურულ თარგმანზე. კ. გამსახურდიას გულისტკივილი ის არის, რომ ქართული ენის ეს ორი ასპარეზი ვერ ასპარეზობს ისე, დედაენას რომ სჭირდება... ესეც აი, მოწოდება და შეგონება მწერლისა:

– „ქართული თეატრი იყო, არის და იქნება ჩაუქრობელი ლამპარი ქართული ენისა და ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სცენიდან ქართული ენისადმი დაუშვებელია“ (VII, 458);

– „კარგი მთარგმნელი გამანაყოფიერებელ როლს ასრულებს თავის ნაციონალურ ენაში, მისი სტილისა და აღნაგობის შეულახავად, შემოაქვს კარგი სტილის ტრადიციები, ხოლო ცუდი მთარგმნელი ვერ პოულობს იმ მიჯნას, რომლის გადალახვა მხოლოდ ზიანს აყენებს ენას, რადგან იგი უხეშად თავს ახვევს ნაციონალურ ენას მეორე, სულ სხვა ბუნების ენის სინტაქსიდან გამომდინარე პრინციპებს“ (VII 463)...

ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გენერალურ ხაზზე როცა საუბრობს, ქართული ენის დაქვეითების ამბავს როცა გვიამბობს XVII-XVIII საუკუნეებში, ასეთ საინტერესო აზრს გვთავაზობს კ. გამსახურდია:

– „ჯერჯერობით რაც ჩვენ ვიცით მსოფლიოს ლიტერატურის ისტორიიდან, ეგაა: მკლავმაგარი კაცი მოვარდება მწერლობაში და სამი თაობის ჭაპანს ასწევს, ხოლო უნიჭობი სხედან და ცოხნიან ათასი წლის მანძილზე ნაცოხნს“ (ხაზი ავტორისაა) (VI, 595)...

ამას მწერალი მწერლობაზე ამბობს, მაგრამ იგივე პროცესი უნდა გავიაზროთ ენის ისტორიაშიც; ანტონის ეპოქა ჩაივლის და გამოჩნდება „მკლავმაგარი კაცი“, უფრო სწორად: „მკლავმაგარი კაცები“ და დაიწყება ქართული ენის გადარჩენის ხანა... ამის თაობაზე ქვევით გვექნება საუბარი...

* * *

— „როცა წერით დავიღლები, თვალს შევაავლებ ხოლმე ამ ასოებს. გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ იეროგლიფებს. თანაც მოშაინესავით მიხარია, რომ ლინგვისტები და ფილოლოგები ვერაჟამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას“ (VI, 518).

ცხადია, ჩვენ არ ვსვამთ კითხვას, რატომ უხარია მწერალს, რომ „ლინგვისტები და ფილოლოგები ვერაჟამს ჩასწვდებიან“ დამწერლობის საიდუმლოებას... (აღბათ, მაინც ესაა: თუ საიდუმლოს ჩავწვდებით, გარკვეულწილად ხიბლს დაკარგავს?). ჩვენს ყურადღებას ის იპყრობს, მწერალი როგორი სიყვარულით, სიამაყით დასცქერის ქართულ ასოებს და ეფერება მათ. ეამაყება ის, რომ

— „ქართული ენა მსოფლიოს უხუცეს ენათაგანია. ქართული ანბანის კონფიგურაციას რომ დავუკვირდეთ, იგი ჯერაც ატარებს ტვიფარს იმ ეპოქისას, როცა ასონიშნებს ქვაზე ამოკვეთდნენ ხოლმე“... (VI, 600).

ეამაყება და შეახსენებს მკითხველს, რომ

— „მსოფლიოში სულ რამდენიმე ალფაბეტია ცნობილი. ევროპისა და ამერიკის ხალხებს ლათინური აქვთ; მუსულმანურ ერებს არაბული; ცნობილია კიდევ ძველ სპარსული, კატაკანა (იაპონური), ებრაული, ბენგალური, სანსკრიტული, ეგვიპტური, ტიბეტური და რუსული. მცირერიცხოვან ერთა შო-

რის ჩვენ და სომხებს გაგვანია ნაციონალური აღფაბუტი“ (VII, 600)...

ჩამოთვლითაც იმიტომ ჩამოთვლის, ეროვნული სიამაყის გრძნობა გააღვიძოს, განამტკიცოს... გავიაზროთ, რომ

– „ამა თუ იმ ენის ასონიშნები გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის ფაქტორებია, ვიდრე რომელიმე ახალი მოტორი, რომელიმე მანქანისა, რადგან მოტორის ახალ მოდელს ყოველ ათეულ წელში იგონებენ, ხოლო რომელიმე აღფაბუტის შესაქმნელად მრავალი საუკუნის მანძილზე იღვწოდა ესა თუ ის ერი“ (VIII, 244)...

კონსტანტინე გამსახურდია შენიშნავს და მიაპყრობს მკითხველის ყურადღებას იმ ფაქტს, რომ არ უვლია ქართველ ერს იოლი გზით – არ მოუნდომებია სხვისი შექმნილით ესარგებლა... სხვისი მაინც სხვისია...

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა

– „არ გაიკარა ზეგავლენა ისეთი ჩამორჩენილი ენებისა, როგორიც იყვნენ თურქული, ხაზარული და მონღოლური... თვით ბერძნულთან, სპარსულთან და არაბულთან შეჯიბრებისას ქართული ენა გამარჯვებული გამოვიდა მთელი კავკასიის ტერიტორიაზე“... (VIII, 243).

და შედეგი იყო ის, რომ

– „ქართული ასოები ამშვენებდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ჩერქეზეთის მთებიდან ანისის ტაძრებამდე... ჩვენი ენა და ჩვენი დამწერლობა დღესაც ამშვენებს ჩვენი ბრწყინვალე სუროთმოდკრების უძველეს ძეგლებს“ (VIII, 243)...

მეტი დამაჯერებლობისათვის, მეტი ობიექტურობისათვის, ჭეშმარიტებისათვის მწერალი უცხოელი მეცნიერის აზრს მოიშველიებს (უცხოთა უფრო გვჯერაო...):

– „ქართული ალფაბეტი“, – მითხრა ერთმა უცხოელმა, ქართულის მცოდნე ორიენტალისტმა, – „ჩემთვის ჯერაც გამოუცნობი სფინქსია“.

მარტო ესთეტიური თვალსაზრისით რომ ავიღოთ, ვერც გოტური, ვერც ლათინური და ვერც სანსკრიტული ენების ანბანი შეედრება თქვენს სადა და ლამაზს, კოხტა ანბანს.

ქართველები ალბათ, ვერც კი ამჩნევთ ამას. არც ერთი თქვენი ისტორიული მეზობლის, არც სხვა, თქვენგან მოშორებით მცხოვრებ ხალხთა ალფაბეტის გავლენა არ ატყვია მას. იგი სრულიად თავისებურია და საოცარი“ (VIII, 145)...

ისტორია ქართული ბგერებისა, ქართული ასოებისა კონსტანტინე გამსახურდიას ოპონენტებთან კამათისას არგუმენტად მაშინაც კი მოუშველიებია, როცა კონკრეტულ გრამატიკულ საკითხებზე მსჯელობდა. მაგალითად ზმნური პრეფიქსების ჰ-/ხ-ს შესახებ. ცხადია, ეს „არგუმენტი“ სადავო გრამატიკულ საკითხს ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ აქ ჩვენთვის საინტერესო მწერლის დამოკიდებულებაა ქართულ ანბანთან:

– „როგორ გგონიათ, ამ ბგერებს უბრძოლველად დაუკავებიათ თავისი კუთვნილი ადგილი? არა, ამ ბგერებისათვის საუკუნეების მანძილზე სწარმოებდა ბრძოლა, შუბების მტკრევა და მათ დაკანონების მოთხოვნა ჩვენი პედანტობით არ მოგვდის. ყველა ასოსათვის ოფლი და სისხლი უღვრიათ ჩვენს წინაპრებს და ზოგიერთი პროფესორი თუ ფილოსოფოსი ამაოდ ფიქრობს, რომ ისინი ადგენენ ენის ნორმებს“ (VII, 492)...

ქართული ანბანის გენიალობა მის სიმარტივეშია – ეს საყოველთაოდ ცნობილია. ამ თემას ყურადღებას მიაქცევს და გარკვეულად ირონიის საგნადაც იყენებს კ. გამსახურდია:

– „ქართული ალფაბეტის გენიოსურად მარტივ მოხაზულობას შეცდომაში შეჰყავს არა ერთი ვითომ მწერალი, ვითომ

კრიტიკოსი და რეპორტიორი, რომელთაც ჰგონიათ, წერა ადვილია და დაწერილის გაგება – საკსებით იოლი“ (VII, 501);

– „ქართულ ენას ერთი „ცუდი ზნე“ სჭირს, რომ ის უადრესად დემოკრატიულია. არც ერთი ალფაბეტი არ არის ისე მარტივი, როგორც ქართული ალფაბეტი და ეს აძლიერებს და ამრავლებს კრიტიკოსებს“ (VII, 351)...

ანბანი არ არის მხატვრობის ნიმუში, ნახატი... ანბანი გრაფიკული სიმბოლოა ენისა...

და მაშინ, როცა მწერალი ანბანს ეფერება, სიყვარულით ეთამაშება – ბგერას ეფერება, სიტყვას ეფერება, ენას ეფერება... მაშინ ბგერას, სიტყვას, ენას ეთამაშება სიყვარულით და დიდი ჯაფისაგან დაღლილი, ისვენებს!... ძნელია წარმოიდგინო კაცმა ენისადმი სიყვარულის უფრო მეტყველი გამჟღავნება:

– „წერისა და გადაწერის დროს მე დიდი სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს, გაცემული შევსცქერი მათ... ყოველი ქართული ასო რაღაც უცნაური სიმბოლიკის აღმძვრელია ჩემს წარმოდგენაში. და მე დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთ ქებას.

როცა წერით დავიღლები, თვალს შევაკლებ ხოლმე ამ ასოებს, გაცემული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ იეროგლიფებს (VI, 517-518)...

ამბობს – „დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთ ქებას“ და საჭაშნიკოდ აქ, ამ წერილში („როგორ ვწერ?“) გაგვიმხილა, როგორ აღიქვამს ქართული ანბანის საიდუმლოს: „ანი ნამგლისათვის მიუმსგავსებია ქართველ ხალხს, ბანი ყელმოღერებულ ქართულ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს, განი ლაგვინებს და ქვევრებს ჰგავს. კილიანი ასოები ღ, ყ, ლ, დ, რაღაც ქვეწარმავლებს მაგონებს, ზოგიც ხერხებს, სახლენ ან სატებს ხელსაწყობებს. ძალიან მახარებენ ღერიანი ასოები, ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პი-

კეტებსავით წამოვლენ. განების, ყარების, დონების, ენების, ვინების ფეხები ხრძლებს, წერაქცულებს და წათებს მიაგვანან. ინები ცხენის ნალებს. ვინ იცის, ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიის ხრიოკებიდან ომითა და ზათქით წამოსულს.

ყოველი ქართული ასო რალაც უცნაური სიმბოლიკის აღმძვრელია ჩემს წარმოდგენაში. და მე დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთ ქებას“ (VI, 518).

ამ თემას სხვაგანაც ეხება მწერალი: „მთვარის მოტაცების“ მეორე კარის დასაწყისში – „ლირიულ ინტერმეცო-ში“:

– „ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ.

გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს.

შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი.

ანი, ნამგლისთვის მიუმსგავსებია მიწის მოყვარულ ქართველ ხალხს (ამიტომაც შეურქმევიათ „გეორგოს“ ძველბერძნებს ჩვენთვის).

ბანი, ყელმოღერილ სურებს, დოქებს და ჭინჭილებს არა ჰგავს?

განი, ლაგვინებს და ჭურებს (ღვინის მოყვარული ხალხის მონაგონია უთუოდ).

ღ, ყ, ლ, დ, – წათებს, წერაქვებს და ჩაქუნებს. ეს მელითონეთა და რვალის ხუროთა მიერ მონაგონია.

ენის,

სანის,

ხარის,

ნარის,

ვინის,

ფარის,
წილის,

ჭარის კლერტოები ლეკურებს, ხმლებს, სატევრებს, წათებს და ხელშუბებს მაგონებს.

აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელივით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის პიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი.

და ამ მ-ს, ჭ. ჯ-ს, პაწია მარყუეები ვაზისადმი სიყვარულის ანარეკლია (ამ დიონისურ ქვეყანაში წარმოშობილი).

კლერტო რაესი მონადირე ტომის ტრფიალს გამოხატავს, ირმებისა და ჯიხვების რქებისადმი ტრფიალს.

ეს თავმოდრეკილი დონები, ღანები, ლასები ჩვენს გუთნებს, აჩაჩებს და კავებს მაგონებს.

ხოლო ინი, ინი პირწავარდნილი ნაღია ცხენისა. ვინ იცის, ეგებ ცხენოსან ერს თან მოეტანოს იგი მესოპოტამიიდან ომითა და ზათქით წამოსულს. განუსაზღვრელად მახარებს მათი მზერა და მათი დაწერა და ამიტომაც მოცლილ ბაღლსავით ვეთამაშები ქართულ ასოებს, და განზრახული მაქვს უთუოდ დავწერო ანბანთა ქება მე ხელმეორედ. სწორედ ამ ასოების მზერისას ხმიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“ (I, 241-242).

აი, ასეთი არის მწერლის დამოკიდებულება ქართული ანბანისადმი, ანუ ქართული ენისადმი... როცა მწერალს ასე უყვარს დედაენა, ეს სიყვარული ქმნის შედეგებს... „უსიყვარულოდ არ არსებობს უკვდავება“ ნაწარმოებისა, მწერლისა...

შრიფტი და კალიგრაფია.

შრიფტი ლექსიკონში ასე განიმარტება: „სააწყობად საჭირო ლიტერების სრული კომპლექტი, რომელშიც შედის ანბანი, სასკენი ნიშნები და ციფრები“... კალიგრაფიას ასე განმარტავენ: „ღამაზად და გარკვევით წერის ხელოვნება“...

შრიფტის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანი არის მითუმეტეს დღეს, კომპიუტერის ეპოქაში, როცა შრიფტების უცნაური სიმრავლეა; ვარიაციათა შექმნისას არ უნდა დაირღვეს მთავარი პრინციპი — ასო-ნიშანთა გრაფიკული საფუძველი... ამიტომაცაა საჭირო ფიქრი შრიფტზე, კალიგრაფიაზე და გახსენება იმისა, თუ როგორი იყო ჩვენი ტრადიციული დამოკიდებულება... ასე ფიქრობდა მწერალი შრიფტსა და კალიგრაფიაზე.

ანბანი, შრიფტი, კალიგრაფია — საყურადღებო თემაა კონსტანტინე გამსახურდიასათვის:

— „შრიფტი თანამედროვე სიტყვიერ კულტურის გასაღები, მისი მარადიული საუნჯე. გუტენბერგის გენიოსური გამოგონების მეოხებით ერებმა შესძლეს შრიფტის ალბეჭდვის მექანიზებაო“... (VII, 279);

— „დიდის რუდუნებით ვუვლიდით ჩვენ და სომხები ჩვენს შრიფტებს. თვალი გადაავლეთ მრავალ ათას ხელნაწერს ჩვენს მუზეუმებში დაცულს და დარწმუნდებით, თუ როგორი განსაკუთრებული სიყვარულით მოუვლიათ მათ ჩვენი შრიფტებისათვის“ (VII, 280);

— „ეს გასაოცარი კალიგრაფია (ხელნაწერებს გულისხმობს — გ. გ.) არაფრითა ჰგავს ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ჯღაბნას. სამწუხაროდ, არც ჩვენი ლიტერატურისა და პრესისათვის განკუთვნილ „ლექტებს“ — ჩამოსხმულ ასოებს, რომელნიც სიამის ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს და ამიტომაც დიდ მანძილზე უსაშველოდ ღლიან მკითხველის თვალს“ (VII, 280)...

მწერლის ამგვარ შენიშვნებს უაღრესად დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს — აქცენტი კეთდება მკითხველის თვალის ჰიგიენაზე; ამ თემას ქვემოთაც შევხვებით, ასომთავრულზე საუბრისას... ახლა ისევ კალიგრაფია: ბერლინის უნივერსი-

ტეტის პროფესორს, ფილოლოგს ბარონ ფონ ლისტენბერგს (1919 წელია) ქართული ნაწერი რომ უნახავს, ქართული ენის შესწავლა მოუსურვებია; კ. გამსახურდია სამი თვის მანძილზე აძლევდა თურმე გაკვეთილებს პროფესორს და ასეთი ბარათი მოუწერია „მასწავლებლისთვის“ „მოწაფეს“:

– „ახლა უნდა მოგახსენოთ ბატონო დოქტორო. მე დაუფლებული ვარ მსოფლიოს ბარე ოცდაოთხ ენას და ასეთი ლამაზი ასოები, ასეთი პრაქტიკული, ზუსტად გამომხატველი ყოველი ბგერისა, მე სხვა აღფაბეტი არ მეგულება.

ერთია მხოლოდ აღსანიშნავი: ამ უაღრესად მრგვალ ასონიშნებს უთუოდ ესაჭიროება ასომთავრულის თანდაყოლება, რადგან თქვენი აღფაბეტი დიდ მანძილზე უთუოდ თვალს დაღლის მკითხველისას“ (VII, 282)...

ერთი საინტერესო ფაქტიც: კ. გამსახურდიას ძალიან კარგად ესმის XIX საუკუნის 60-იან წლებში მომხდარი რეფორმის არსი: ანბანის გამარტივებას ვგულისხმობთ; მაგრამ ეტყობა ენანება საუკუნეობით ნალოლიავეები ასოების ასე „იოლად გამეტება“...

– „ენა ისეთი ფენომენია, მას ორი რამ აყენებს ზიანს: როგორც ხელოვნურად გამარტივება, ისე ხელოვნურად მისი დაღვარჭნა... ხელოვნური გამარტივების ტენდენციამ გამოიწვია ოთხი ასოს ქართული აღფაბეტიდან გამეკებაც. ქართული ანბანი ათასი წლის შრომით და ბრძოლით დაუცავს ქართველ ხალხს და მისი შემოკლების უფლება რუსთაველსაც არ ექნებოდა“ (VI, 603)...

ვთქვით, ქართული ანბანის სიყვარულია ამგვარი მსჯელობის საფუძველი: ენანება ასე გამეტება...

* * *

გასული საუკუნის 30-იან და 60-იან წლებში დაისვა საკითხი ქართულში მთავრული ასოების შემოღების თაობაზე;

საკმაოდ ცხარე პოლემიკაც გაიმართა; თვით აკაკი შანიძე იყო მხარდამჭერი ასომთავრულის შემოღებისა (მხედრულში მთავრული ასოების ფუნქციით)... კონსტანტინე გამსახურდია იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მხურვალე მხარდამჭერი ამ იდეისა. თავისთავად ეს საინტერესო თემაა... ჩვენ ამჯერად კ. გამსახურდიას აზრი გვაინტერესებს — საკმაოდ მტკიცე არგუმენტებზე დამყარებული და პრინციპული... ორი საგანგებო წერილიც გამოაქვეყნა ამ თემაზე. მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს:

— „ერთი ბედნიერება თან დაჰყვა ბერძნულიდან ევროპულ ენებზე გამოცემულ წიგნებს, ასომთავრულით დაწყება ტექსტისა, ასომთავრული წერტილის შემდეგ, ასომთავრული საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ბეჭდვისას.

ხუცური გვერდს არ უვლიდა ასომთავრულს, ამიტომაც ფრიად უცნაურია, მხედრულმა რად არ აითვისა ეს კარგი ტრადიცია“ (VIII, 287);

— „უეჭველად დათვურ სამსახურს უწევენ ქართულ ენას ის უკუმხერია ჭირისუფალნი, რომელთაც სერიოზულად სჯერათ თითქოს ჩვენი ენის ხელოვნური განკერძოება და გამოთიშვა მოწინავე ენების მიერ აღებული საერთო კურსიდან რითიმე ხელს უწყობდეს ქართული ენის პროგრესს“ (VII, 706);

— „ამ საკითხების გამო შარშან დავწერე ერთი წერილი (1964 წლით თარიღდება ეს წერილი — გ. გ.). ჩემამდეც იყო ცდა ასომთავრულის შემოღებისა, მაგრამ უშედეგოდ დარჩა. არც მწერლებმა და არც პოლიგრაფისტებმა, არც შრიფტის კომიტეტის წევრებმა ხმა არ გაიღეს“ (VII, 281)...

— „მისასალმებელია გაზეთ „კომუნისტის“ ინიციატივა — ასომთავრულით დაწყება ტექსტური პერიოდებისა, მაგრამ ეს არამც და არამც არა კმარა.

უცილოდ საჭიროა ასომთავრულით დაწყება ყოველი ახალი ფრაზისა, ასომთავრულით დაწერა გეოგრაფიული და საკუთარი სახელებისა“ (VII, 283);

– „ასომთავრულის შემოღება საჭიროა არა მარტო ესთეტიური, შნოიანობის თვალსაზრისით, თვალთა ჰიგიენას ეძლევა ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა: როცა ყოველი ახალი წინადადება ასომთავრულით იწყება, მკითხველი თვალს ასვენებს. გაძლიერებული მასშტაბით ხდება იგივე, როცა საკუთარი არსებითი და გეოგრაფიული სახელები ასომთავრულით გამოიყოფა მთლიანი ტექსტის მანძილზე“ (VI, 705);

– „თანამედროვე კულტურულმა ენებმა საჭიროდ სცნეს შემოკლებათა შემოღება. ესე იგი სიტყვათა პირველი ასოებით მთელი ცნების პირობითად გადმოცემა, რაც პოლიტიკურ პრესაში და მხატვრულ ან მეცნიერულ პროზაში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს... თუ ეს შემოკლებანი ასომთავრულის გამოყენებით გვხვდება მთლიან ტექსტში, თვით ნაკლებად განათლებული მკითხველიც გამახვილდება, როცა მთავრულ ასოებს წააწყდება“ (VI, 706)...

შეიძლება ეს ინიციატივა (ასომთავრულის შემოღება) აღარ იყოს აქტუალური, მაგრამ ჩვენთვის სხვა რამ არის არსებითი: ენის პრობლემებზე ფიქრი მწერლის უმთავრესი ვალდებულებაა... როგორც მ. ჯავახიშვილმა თქვა, ენის მოვლა-პატრონობის, დაცვისა და განვითარების უმთავრესი მედროშე მწერალი უნდა იყოსო... და არის კონსტანტინე გამსახურდია თავისი დროის მედროშე დედაენისა!...

და... **სახიფათო ფიქრი:** ხომ არ დამთავრდა დედაენაზე მწერლის ფიქრის ეპოქა?...

* * *

მწერალს სიტყვის ოსტატსაც ეტყვიან. კონსტანტინე გამსახურდია ქართული სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატია. არას ვამბობ მისი ლექსიკის სიმდიდრეზე, სიტყვათქმნადობის ვირტუოზულ ნიჭზე, სიტყვათა სემანტიკური ბუნების ღრმად წარმოჩინების უნარზე, ნიუანსობრივ წვდომაზე... ახლა, როცა ბარათებზე ამოწერილ ამონარიდებს ვათვალიერებდი, ერთ-ერთ ამონარიდში სიტყვა ვეღარ გავარჩიე: „**უეჭველად დათვურ სამსახურს უწევენ ქართულ ენას ჭირისუფალნი**“... სანამ დედანში ჩავიხედავდი, ინტერესისათვის უამრავი ვარიანტი ვცადე „ჩემით აღმედგინა“ – **ჭირისუფალს** რა ეპითეტი შეიძლება მორგებოდა ამ კონტექსტში... მერე მეუხერხულა კიდეც, ასეთი სურვილი რომ გავივლე-მეთქი... „**უკუმზერია ჭირისუფალზე**“ იყო საუბარი... მერე ისევ ინტერესისთვის ასეთი „თამაში“ წამოვიწყე: შევძლებდით თუ არა ამოკითხული წინადადების დასრულებას და დავამთხვევდი თუ არა ავტორისეულ ვარიანტს... ასე ღრმად კ. გამსახურდიას ნაწერებში არასოდეს ჩამიხედავს... მე ამჯერად პუბლიცისტიკაზე ვსაუბრობ; მხატვრულ პროზაში უფრო „რთული“ ვითარებაა... გაცემა არ არის ის სიტყვა, რაც ჩემს იმწუთიერ განწყობას გამოხატავდა – ეს უფრო აღტაცება იყო: სიტყვათა წყობა, კონსტრუქციაში სიტყვათა შერჩევისა და ჩასმის ვირტუოზობა... აი, ამას ჰქვია სიტყვის დიდოსტატია...

ჩვენი ნარკვევის მიზანი არ არის ამ კუთხით ვისაუბროთ მწერალზე... ჩვენ სხვა ინტერესი გვაქვს; კითხვებს დავსვამთ: რა არის სიტყვა? როგორ ხედავს მას მწერალი, როგორ ახასიათებს?... როგორი უნდა იყოს მწერლის დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი? როგორ უნდა იმუშაოს სიტყვაზე, როგორ უნდა გაიმდიდროს წყაროების მეშვეობით ლექსიკური მარაგი?... მაშ, ასე, ამ და სხვა მსგავს კითხვებს კონსტანტინე გამსახურდია უპასუხებს.

მცირე კომენტარი (გზამკვლევი შენიშვნები) გვეპატიოს:

შევთანხმდით იმაზე, რომ „ენა ცვალებადი ფენომენია; ერის, ხალხის, ტომის მეტყველება უეჭველად განიცდის ცვალებადობას ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნიკურ პროგრესთან ერთად“ (VII, 258); რომ ენის ყველაზე მეტად ცვალებადი უბანი ლექსიკაა; არადა „ლექსიკის სიმდიდრე ენის განვითარების შედეგია“ (VIII, 220); სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც უფრო მდიდარია ენის სიტყვიერი მარაგი, მით უფრო განვითარებულია ენა...

და მაინც, რა არის სიტყვა? როგორ ხედავს მას მწერალი? როგორ განმარტავს? როგორ ახასიათებს? კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებს:

– „სიტყვა ისეთი საშინელი ამბავია, რომ ერთი მხრიდან შეხედავ სულ სხვა არის, მეორე მხრიდან – სულ სხვა. აბაშელმა მითხრა, სიტყვა აბრეშუმის საბანსა ჰგავს, დილით შეხედავ, სხვა ფერი აქვს, ღამით ელექტრონის შუქზე სულ სხვა ფერი ადევსო...

სიტყვას აქვს, საუბედუროდ ჩვენდა, ისეთი თვისება, თუ მასთან უნდობლობით მიხვედი, უეჭველად „კრამოლას“ აღმოაჩენ“ (VII, 375)...

ეს მაინც ზოგადი დახასიათებაა; უფრო კონკრეტულად? მხოლოდ დიდ მწერალს შეუძლია დაინახოს სიტყვაში ის თვისებები, რომლებზეც კ. გამსახურდია საუბრობს:

– „სიტყვის ხმარებაში მწერალს ათასნაირი მოსაზრება ამოძრავებს: ზოგი სიტყვა დაობებულია, გაცვეთილი, ათასი სხვა მწერლის პირში, ზოგი სიტყვა ყრუა, ზოგიც ბლაგვი, ზოგი მივიწყებულია და ჟანგმოდებული, ზოგი ხორკლიანი, ზოგიც გამოფიტული“ (VI, 628)...

მწერლის შინაგანი დამოკიდებულება განსაზღვრავს სიტყვის ამგვარ აღქმას, სიტყვის სემანტიკა, ფონეტიკური ჟღერადობა... კონკრეტული მაგალითის მიხედვით სურს ეს დაგვაჯეროს:

– „მე მირჩევნია სიტყვას „მგრძნობიერობას“ – სანტიმენტალობა; ეს სიტყვა აპატიურია, ჩემთვის არ არის რაღაც შინაგანი აპატია სიტყვის მიმართ, გარდა ამისა, ამ სიტყვაში ერთიმეორეს ხვდებიან კონსონანტები მ. გ. რ. ძ. ნ. უფრო მეტს ვიტყვი: სიტყვა „მგრძნობიერება“ შეუწყნარებელი სიტყვაა: მე სიტყვის ტირანი რომ ვიყო, ასეთ სიტყვებს ენას მოვაგლეჯდი. არიან სიტყვები, რომელნიც გატეხილ ზარასავით უკვე აღარ წკრიალებენ და თქვენ რუსთველური ენერგიითაც რომ მოუქნიოთ, ვერ გამოალებინებთ მას იდუმალ წკრიალს, რომელიც ყოველი კარგი სიტყვიდან მოგვესმის ჩვენ“ (VI, 628-629)...

მსჯელობა ნათელია, თუმცა მწერლის თვალთ დახახვა და ყურით აღქმა ამ სიტყვისა ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, შეუძლებელია... ისღა დაგვრჩენია, დაუუჯეროთ კლასიკოსს... – „სიტყვას აქვს ხორცი და სული“ (VII, 360);

– „არიან სიტყვები, რომელნიც მაშინაც, როცა მათ ხმარობს ხალხი, მწერლისთვის მკვდარია.

არიან სიტყვები, რომელნიც სიძველეთა სავანეში უნდა იქნან შენახულნი, როგორც ძველი სისტემის ზარბაზნები, რომელთაც თანამედროვე ომში კარგი ვაჟკაციც ვერ იხმარს.

არიან სიტყვები, რომელნიც სავსებით უნდა იქნან გაძევებულნი. არიან სიტყვები, რომელთაც ვერც ერთი სახელმწიფოური, ეთნიური და ნაციონალური საზღვრები ვერ დააკავენ. ისინი იდეურ ატმოსფეროს დაჰყვებიან“ (VI, 629)...

სიტყვათა ეს „ფიზიკური თვისებები“ არაა მუდმივი, მარადიული; ცვალებადია:

– „სიტყვებიც ისევე ცვდებიან, როგორც ფოლადის რელსები, მანქანის ფირფიტები, მაქოები და რიკები. სცვდებიან პოეტური სახეებიც. ამიტომ მუდამ ვერიდები ათასგზის ნახმარ სიტყვათა კომბინაციებისა და სახეების გამოყენებას“ (VI, 528)...

სიტყვასთან მშვიდი, მშვიდობიანი დამოკიდებულება არ მოხერხდება... ამიტომაც მწერალი ბიბლიურ იაკობს ეღრება – სიტყვა მისთვის „მრისხანე ღმერთია“:

– „ასე და ამგვარად, დღე და დამ ვებრძვი ქართულ სიტყვას, როგორც კოჭლი იაკობი ებრაელთა მრისხანე ღმერთს“ (VI, 526)...

მწერალმა სიტყვაზე უნდა გაიმარჯვოს, უნდა დაიმორჩილოს იგი; უნდა შეიგრძნოს მისი სურნელება და ფასი მისი:

– „სიტყვები ჩვენი ყმებია, ჩვენი ლაშქარი, გააჩნია, ვის როგორი ომის გადახდა დაგვჭირდება“ (III, 717);

– „მარტოობის ჟამს ხმამაღლა ვკითხულობ რომელიმე შერჩეულ ძეგლს ძველი ქართული მწერლობისას. დაძინებისას ძველ ქართულ შედევრებს ვათვალიერებ, რათა ქვეშეცნებაში განმიმკვიდრდეს თავისთავადი ენის კულტურის სურნელება“ (VI, 526);

– „ყოველ სიტყვას ჩემთვის ოქროს წონა აქვს და მე მათ ისე ვუფრთხილდები, როგორც გონიერი მთავარსარდალი

თავის ჯარისკაცებს, თუ ჩვენ მართლაც გონიერი მთავარსარ-
დლები ვიქნებით, სიტყვები ჩვენი მარჯვე სპანი გახდებიან“
(VIII, 219)...

შედარებისათვის – სიტყვა ოქროსა ჰგავს თავისი თვისე-
ბით, ელვარებით, წონით, ფასით:

– „სიტყვა ოქროსა ჰგავს ერთ რამეში, მას სიძველის
უანგი არასოდეს მოედება, ოღონდ ხელმარჯვე მომხმარებელი
თუ გამოუჩნდება“ (VI, 595);

– „ყოველ ახალსა და საჭირო სიტყვას ოქროს წონა
აქვს“ (III, 717);

– „მწერალი სიტყვას ისე უნდა უფრთხილდებოდეს,
როგორც ძუნწი – ოქროს“ (VII, 354);

როცა ნიკო ლორთქიფანიძის შექება მოისურვა კ. გამსა-
ხურდიამ, სიტყვისადმი მომჭირნე დამოკიდებულება მოუწონა
მას:

– „მას (ნ. ლორთქიფანიძეს – გ. გ.) კარგად ჰქონდა
შეგნებული, რომ მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს
სიტყვას, როგორც რომელიმე ძუნწი – ოქროს, რადგან სი-
ტყვა ჩვენი სიმდიდრე, ტონის და ფერის ეკვივალენტი; სი-
ტყვა ჩვენი უბასრესი იარაღია, ჩვენი საჭრეთელი და ჩვენი
ფუნჯი“ (VI, 670)...

„ბრძნად მეტყველებად ვეცხლი არს წმიდამ, ხოლო დუ-
მილი – ოქრომ რჩეული“ – გიორგი მერჩულის ეს შეგონება
გაგვახსენდება, კონსტანტინე გამსახურდიას როცა ვუსმენთ:

– „სიტყვამრავლობა არასოდეს არაა ოსტატობის დადე-
ბითი ნიშანი. სიტყვის სიმცირეში გამოიხატება ოსტატის
ღირსება“ (VII, 355)...

* * *

კრიტიკა ყოველთვის „გულუხვი“ იყო კონსტანტინე გა-
მსახურდიას მიმართ; თუ ერთი მხრივ, „აზრთა სხვადასხვაობა

აღძრა „დიდოსტატის მარჯვენაში“ აღებულმა ენობრივმა გეზმა“ (II, 815), იტყვის, „არქაიზმების გადაჭარბებულად ხმარების გამო ამ რამდენიმე წლის წინათ მისაყვედურესო“ (VII, 449)... მეორე მხრივ, „არა ერთხელ მოუმართავთ საყვედურით, თუ რისთვის ვხმარობ ჯერ უხმარ სიტყვებსო“ (VI, 627) – უკვირს მწერალს და ამიტომაც საჭიროდ თვლის, განმარტოს თავისი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, „ძველი სიტყვებისადმი“ და, მეორე მხრივ, ნეოლოგიზმებისადმი... ცხადია, დიალექტური და ლექსიკური მარაგიც უდიდესი სიმდიდრეა ქართული ენისა და ამის თაობაზეც მოვისმენთ მწერლის აზრს...

– „შედარებით არახანდაზმულ და ახალგაზრდა ენებისა და ლიტერატურათა ფონზე ქართულ ენას გააჩნია ის ბედნიერება, რომ იგი ერთ-ერთი უხუცესი ენათაგანია მთელს მსოფლიოში; მის ეტიმოლოგიაში დღესაც უღერენ ჯერ კიდევ მეხუთე და მეექვსე საუკუნეებში ნახმარი სიტყვები“ (VI, 441)...

ფაქტობრივ, ეს ფასდაუდებელი სიმდიდრეა ჩვენი ენისა და სწორედ ამიტომ

– „არაფერი არ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ ჩვენ არ უნდა შევიტანოთ ახალ ქართულში ძველი ქართული ენა, რომ წარსულის დიდი შესანიშნავი ოსტატებისაგან არ ვისესხოთ და არ გავაცოცხლოთ ჩვენს ლიტერატურაში სიტყვები“ (VII, 399)...

– „ვერც ენა და ვერც მწერლობა წინ ვერ წაიწევს, თუ ახალ მწერალს ძველის კორექტივის უფლება აღვუკვეთეთ“ (III, 717);

– „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მრავალგზის შევადარე ქართული ბიბლია, ოთხივე სასეობა და ფსალმუნთ გერმანულს, ინგლისურსა და ფრანგულ გამოცემებს. ეს შრომა გაწეული მაქვს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი მასალის ძებნაში“ (VI, 526)...

როცა ძველისა და ახალი ქართულის შესახებ არის საუბარი, კონსტანტინე გამსახურდიას სამსჯელოდ გამოაქვს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქტორის – არნოლდ ჩიქობავას – წინასიტყვიდან ეს აზრი: „წინამდებარე ლექსიკონი სალიტერატურო ენის ლექსიკონია, მასთან – „ახალი სალიტერატურო ქართულისა (ძველი ქართულის ლექსიკა აქ არ შემოდის)“ (ქეგლ, ტ. I, 1950, გვ. 008). კ. გამსახურდია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნას უაღრესად დადებით მოვლენად მიიჩნევს, თუმცა შენიშვნებიც აქვს ამ გამოცემის მიმართ. კერძოდ, ნაკლად მიიჩნევს სწორედ იმას, რომ „მასში ძველქართულის ეტიმოლოგიური ფონდი არაა წარმოდგენილი“ (VI, 593)... მწერლისთვის არსებითი ის არის, რომ ლექსიკაში არაა იოლი გასამიჯნი „ძველი“ და „ახალი“, ყოველთვის არ მოხერხდება ეს; მოვეუსმინოთ:

– „ისეთი დიდი ისტორიის მქონე ენისათვის, როგორცაა ქართული, „ძველი“ და „ახალი“ პირობითი ცნებაც რომ არ იყოს, ძნელად გასამიჯნავია, რომელია „ძველი“ და რომელი „ახალი“ (ხაზი ავტორისაა – გ. გ.).

ავილოთ თუნდაც „კაცი“, „ასული“, „წული“, „პაპა“, „მამა“, „მიწა“, „ცა“, „წყალი“, „სული“, „ღმერთი“, „ხე“, „ღვინო“, „მახვილი“, „ქვა“. მობრძანდით და დაათარიღეთ, რა ხნისაა ეს სიტყვები?

ყველა ესენი ნახმარია ქართული ენის უძველეს და უბრწყინვალეს ძეგლებში. მე დავეძნდი, მათ ისეთივე ხანდაზმულობა აქვსთ, როგორიც თვით ქართულ ენას. მაშ სხვა სიტყვებმა რა დააშავეს?“ (VI, 593)...

ძნელია, არ დაეთანხმო მწერლის ლოგიკას... და კიდევ ერთი ფრიად საგულისხმო შენიშვნა ამ თემაზე საუბრისას: არ შეიძლება ერთგვარად მივუდგეთ ენის ლექსიკასა და გრამატი-

კას; ენისთვის სინტაქსური ცვლილებები სხვა წონისაა, ლექსიკურს სხვა ფასი აქვს:

– „ყოველი ენის ისტორიაში ენის სინტაქსი განიცდის განუსაზღვრელ ცვალებადობას, მაგრამ მისი ლექსიკური ფონდი ყოველი ეპოქისათვის საჭიროა; თუ მწერალი ხელს წამოავლებს უძველესს სიტყვას და ახალ ყღერადობას მიანიჭებს მას, იგი კვლავ გაცოცხლდება და განახლდება. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ენის გამდიდრება“ (VI, 593-594)...

თუმცა კ. გამსახურდიას კრიტიკული დამოკიდებულების თაობაზე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიმართ ქვევითაც ვისაურობთ, ენათმეცნიერებთან მარტო ამ საკითხის გამო არ დავობს მწერალი...).

მხოლოდ ძველი და ახალი ქართული არ არის მწერლისათვის „წყაროსთავი“ ქართული სიტყვებისა:

– „საიდან იღებს პოეტი სიტყვას? ძველი მარაგიდან, დიალექტებიდან და ხანაც კომპოზიტების მეშვეობით თავად გამოკერავს მათ; აქვე იწყება იღუმალი ოქრომჭედლობა სიტყვისა“ (III, 717)...

* * *

მსჯელობაში შემოვიდა ცნება დიალექტისა... როცა ქართული სიტყვისადმი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ, დიალექტების თემა ერთ-ერთი საინტერესო თემაა. ტერმინოლოგიის არაერთგვაროვნებასთანაც გვაქვს საქმე: დიალექტი (დიალექტიზმი), ხალხური, კუთხური, პროვინციალური... ტერმინოლოგიური პრობლემები თავს იჩენს არა მარტო სამწერლობო სფეროში, არამედ საენათმეცნიერო ლიტერატურაშიც. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია განმარტავს: ... „საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „დიალექტი“

სხვადასხვა შინაარსით იხმარება... სინამდვილეში დიალექტი უპირისპირდება ენას, იგი ენის ყველა სახის განშტოების აღმნიშვნელია; დიალექტი ზოგადი და ფართო ცნებაა და მოიცავს ყველა მის დანაწევრებას – კილოს, კილოკავს, თქმასა და ქცევას“ (ქესს, III, 1963, 162)... – ეს ენათმეცნიერის პოზიციაა...

ამ უკანასკნელი ტერმინის მიმართ გარკვეული განმარტების გაკეთების აუცილებლობას გრძნობს მწერალი:

– „სიტყვა „პროვინციალიზმს“ ჩვენ ფრთხილად უნდა მოვექცეთ, პროვინციას ძველი რომაელები უწოდებდნენ რომის გარეშე მდებარე მათ მიერ დაპყრობილ მხარეებს“ (VII, 446).

ამ განმარტების გაკეთება იმისთვის დასჭირდა მწერალს, რომ პროვინციალურს, პროვინციალიზმს გარკვეული უარყოფითი შინაარსი ახლავს (ჩამორჩენილის, არაპროგრესულის გაგებით...)... კ. გამსახურდია ამ ტერმინს დიალექტების, კუთხურის, არალიტერატურულის გაგებით ხმარობს (უარყოფითი გაგებისგან დაცლილს...)... თუმცა, როგორც ვთქვით, ერთგან ეს გაფრთხილება საჭიროდ ჩათვალია... მწერალი ჩვეულებრივ ეთანხმება იმ აზრს, რომ ქართული ლექსიკის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყარო სწორედ ხალხური მეტყველებაა:

– „ჩვენი მრავალტომიანი და მრავალდიალექტიანი ერის ყველა კუთხიდან მოტანილი სიტყვა უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ენის გასამდიდრებლად, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა ამ სიტყვას შესაბამისი ბადალი არ მოეპოვება ახალ ქართულში“ (VII, 449);

– „ამ შეგნებამ ძველქართულსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში გადამაგდო. ამის შემდეგ საჭიროდ დავინახე, ქართული ენის ალოგიური ბუნებიდანაც ამელო ხარკი“ (VI, 526)...

და გულწრფელად გვიზიარებს თავის გამოცდილებას, როგორ მუშაობდა ლექსიკაზე, როგორ იმდიდრებდა სიტყვიერ მარაგს:

— „მას შემდეგ, რაც განსწავლისა და მოგზაურობის წლები მოვათავე, მთელი ჩემი ენერგია ძველი და ხალხური ქართულის შესწავლისაკენ მივმართე. ცხადია, რომ არც ერთ დიდოსტატს ენისას ჩვეულებრივი მოქალაქისა და თუნდაც ლიტერატორის ლექსიკა, არც უკვე ცნობილი სიტყვების მარაგი არ ეყოფა“ (VI, 522);

— „პარალელურად (იგულისხმება ძველი ქართულის შესწავლა — გ. გ.) ვმოგზაურობდი მთელს საქართველოში, ვნადირობდი და ვთევზაობდი, რათა უშუალოდ გავცნობოდი ხალხის მეტყველებას. ამგვარად შედგენილი მაქვს საკუთარი „იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი“; დიალექტებიდან ნასესხებ სიტყვის ხმარებას ვერიდები (თუ გმირს არ ვალაპარაკებ), ვიდრე რომელიმე სარწმუნო ძეგლთან არ შევამოწმებ“ (VI, 526);

ამ თემასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ვაჟა-ფშაველას გვერდს ვერ ავუვლით. ვაჟა-ფშაველას კონსტანტინე გამსახურდია აღმერთებს! მისთვის მთიელი პოეტი მაგალითია დიდი მწერლური სიკეთისა... ვაჟას მიმართ კ. გამსახურდიას დამოკიდებულებაზე, ვაჟასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ამ ნარკვევის ბოლო „ქებაში“ ვისაუბრებთ, მაგრამ აქ სასაუბრო თემას რომ არ დავაკლოთ სიცხადე, ორიოდე ამონარიდს მოვიშველიებ; ტერმინი „პარტიკულარიზმიც“ ამ კონტექსტში დადებითი მნიშვნელობით იხმარება:

— „ცხადია, ვაჟას გმირთა მეტყველებაში ეს პარტიკულარიზმი დიახაც დიდად სასარგებლოა ქართული ენის გამდიდრების საქმისთვის. უფრო მეტს ვიტყვი: ხომ დიდია და განუზომელი ვაჟა-ფშაველას პოეტური მემკვიდრეობა, არა ნა-

კლებად საჭირო საქმე გააკეთა მან ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებისთვის“ (VII, 255)...

– „ამ ორიოდ წლის წინათ (ეს 1953 წელს იწერება – გ. გ.) ქართულ პრესაში გამოჩნდნენ ისეთი პეეტრები, რომელთაც ვაჟა-ფშაველა ლამის იყო არ ჩაჰქოლეს იმის გამო, რომ მან თამამად შემოუშვა დედაქართულში ფშავ-ხევსურული მითოლოგიიდან და ხალხური პოეზიიდან ნასესხები სიტყვები“ (VII, 255)...

მართებულია მწერლის პოზიცია და გასაზიარებელი მისი ხედვა ქართული ენის დიალექტების როლსა და მნიშვნელობაზე, როცა საუბრობს სამწერლობო ენის სიტყვიერი საუნჯის გამდიდრებაზე; ღირსსაცნობია ისიც, რომ კ. გამსახურდია თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ენის ამა თუ იმ კუთხის მეტყველებას:

– „ქართული ენის საფუძვლიანი შესწავლა და მის სხვადასხვა დიალექტში შემორჩენილ იდიომურ სიმდიდრეთა კლასიფიცირება და აღნუსხვა, სამწუხაროდ, მხოლოდ ამ უკანასკნელ ათეულ წლებში დაიწყო (წერილი 1951 წელს იწერება – გ. გ.). საფუძვლიანად შესასწავლია ზემო და ქვემო იმერული, ლეჩხუმური და რაჭული დიალექტები, მესხური, ზემოქართლული, შიდა და ქვემოქართლული, მოხევური და გუდამაყრული, თუშური და სხვა დიალექტები. ამ თვალსაზრისიდან დანახული ქართული ხალხური მეტყველება ჯერაც უღეველ საუნჯეებს შეიცავს და ამ სიტყვიერი დოვლათის ერთი მეთედიც არ განხიანებულა ჯერ ქართულ მწერლობაში“ (VII, 256)...

დაინტერესებულ პირებს იმასაც ვეტყვით, რომ კ. გამსახურდია საკმაოდ საინტერესოდ მიმოიხილავს იმდროინდელ დიალექტურ ლექსიკონებს და აკეთებს სანიმუშო მინიშნებებს, მწერალმა რას უნდა მიაქციოს ყურადღება; კონკრეტულ დია-

ლექტურ სიტყვებსაც წარმოადგენს, მისი აზრით, რაც შეიძლება წარმატებით გამოიყენოს მწერალმა...

და კიდევ ერთი: მონათესავე ენათა როლი ქართული სალიტერატურო ენის სიტყვიერი საუნჯის გამდიდრებაში... ამ შემთხვევაში მწერლის ხედვა სწორია და მისაღები... ამ თემაზეც არაერთგზის კეთდება მინიშნება:

– „დიდი განვითარების სხვადასხვა ეტაპების განვლის შემდეგაც ესა თუ ის ენა არა სჯერდება მარტოოდენ თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე დაგროვილ ოქროს ფონდს; ერის მეტყველება თანდათანობით იძენს და ითვისებს მონათესავე ენებისა და ენაკავების წიაღიდან შემოსულ ახალ მარაგს“ (VII, 255).

– „უნდა შემოვუშვათ ქართულში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტის სიტყვები, ფშავ-ხევსურული კილოდან“ (VI, 628)...

– „რა თქმა უნდა, ამ სფეროებიდან (მონათესავე ენებიდან და ენაკავებიდან – გ. გ.) შემოსული ახალი სიტყვები უნდა მოვიხმართ იმ შემთხვევაში, როცა დედა-ქართულში შესაფერისი ექვივალენტი არ მოგვეპოვება“ (VII, 255);

– „ყოველი ენა უმთავრესად მდიდრდება მონათესავე დიალექტებისა და საკუთარი ძველი ლექსიკური მასალის ხარჯზე“ (VI, 594)...

– „მოწადინებული ვარ, გავდევნო ქართული ენიდან ის ზედმეტი ბალასტი, რომელიც საუკუნეების გავლით ჩაღუქდა ქართულ ენაში, პარალელურად უნდა ხდებოდეს ენის რეპარაცია ადგილობრივი დიალექტების ლექსიკის საშუალებით“ (VI, 628)...

* * *

დიახ, ქართული ენაც ძირითადად მდიდრდება ძველი ქართულისა და ქართული ენის დიალექტების ხარჯზე; ამ საქმეში თავისი წილი უდევს მონათესავე ენებსაც... თუმცა დღე-

ვანდელ დღეს ეს არ ჩანს საკმარისი... ის, რომ ზოგი სიტყვა კვდება, ზოგი ცვლება, ზოგიც დავიწყებას ეძლევა, აღარიბებს ენას. კ. გამსახურდია წერდა 1922 წელს: „საქმეც ის არის, რომ თანამედროვე ქართული ენა მეტად ღარიბია“ (VI, 627)... ამ საკითხის დასასმელად მწერალს ჰქონდა მიზეზი: „ჩემთვის არა ერთხელ მოუმართავთ საყვედურით, თუ რისთვის ვხმარობ ჯერ უხმარ უცხო სიტყვებს“ (VI, 727)... მწერალს აქვს მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია ენაში უცხო სიტყვათა შემოტანასთან დაკავშირებით (შეგნიშნავთ, „ბარბარიზმს“ ამ შემთხვევაში გამოიყენებს უცხო სიტყვის, ნეოლოგიზმის მნიშვნელობით...):

– „ქართული ენის მეურნეობაში მე მუდამ ვხედავდი მის გასოფლურების საშიშროებას. ამიტომ თამამად შემოვუშვი თანადროულ ქართულში ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვები“ (VIII, 215);

– „დღეს ყოველი კულტურული ადამიანის ემოციური და ინტელექტუალური მეტყველება ისე გართულებულია, რომ ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იაზროვნებს მარტოდენ თავისი მშობლიური იდიომიდან აღებული სიტყვებით, მით უმეტეს ქართველი მწერალი“ (VI, 627);

– „ნაციონალური ტემპერამენტის პრიზმაში გატარება ინტერნაციონალური ყოფისა, ეს არის თანამედროვე მწერლობის პირდაპირი მიზანი. ასეთი რთული ამოცანების შესრულებისას, ცხადია, ჩვენ არ გვეყოფა ის სიტყვიერი მარაგი, ის დეპოზიტი ლექსიკისა, რომლითაც თავისი ნაწერები შეჯერებული ჰქონდათ მეცხრამეტე საუკუნის მწერლებს“ (VI, 605);

– „არც ერთ ენას არ შეუსრუტავს იმდენი ბარბარიზმები, რამდენიც ინგლისურს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინგლისური ენა ერთი ულამაზესი ენათაგანია მთელს ქვეყანაზე... მით უმეტეს ესაჭიროება ბარბარიზმებით შევსება ჩვენს ენას.

ბარბარიზმების სესხი უეჭველად კულტურული ენებიდან უნდა იქნას აღებული“ (VI, 627)...

ამ მოკლე მონაკვეთს ალბათ ეს მოუხდებოდა დასკვნად:

– „ახალ იდეებს მუდამ ახალ სიტყვათა მარქაფები მოსდევნ...“

– „ახალ კულტურას მუდამ ახალი სიტყვების მაყრები მოუძღვიან წინ“ (VI, 629)...

„ძველი“, „ახალი“, „კუთხური“ – ესაა ძირითადი კლასიფიკაცია მწერლის სიტყვიერი არსენალისა... „მწერლობაში ყოველ სიტყვას, ხატოვანებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა“ (VII, 353); თითოეულ სიტყვას მწერალი თავისებურად გაიაზრებს – ეს გააზრება შეიძლება სავსებით აცდენილი იყოს სიტყვის ენათმეცნიერულ ეტიმოლოგიასთან; შენიშნავს ერთგან: „ხომ ასე ახლოა ქართულ ეტიმოლოგიაში სიტყვა „ხელოვანი“ და „ხელოსანი“. არც ერთს ჩემს ცნობიერებაში მყოფ ენაზე „ხელთან“ არაა ხელოვანის საქმე დაკავშირებული“ (VII, 262)... წერის დროს? წერის დროს როგორ ხდება სიტყვათა შერჩევა?

– „საერთოდ, ქვეშეცნეულად ვწერ. მეტწილად სათაურიდან გამოვდივარ: ვერ გეტყვით, თუ როგორ ხდება ეს, როგორ გამოუდგება ერთს ან ორ სიტყვას, სათაურში განმაურებული ს ათასი და ათი ათასი (როგორც ახლად გამოჩეკილ დედას – ნაყარი ფუტკარი)“ (VI, 517)...

ვთქვით: ლიტერატურული კრიტიკა ყოველთვის „გულუხვი“ იყო კონსტანტინე გამსახურდიას მიმართ... განსაკუთრებით მისი შემოქმედების ენობრივი მხარე აჩენს კითხვებს და მწერალიც იძულებულია განმარტოს...

– „ზოგს ასე წარმოუდგენია, თითქოს მე ანაზღვეულად ვაგროვებდე რაც შეიძლება ძველ სიტყვებს და უწესრიგოდ ვყრიდე ჩემს ნაწერებში. ზოგი კალმოსანი არ იცნობს არც

თავის კუთხის, არც საქართველოს სხვა კუთხეების დიალექტებს და ყოველი სიტყვა, რომელიც მის ცნობიერების გარეშეა, „არქაიზმი“ ჰგონია“ (VI, 219)...

და მწერალი იძულებულია განმარტოს, რომ „ზოგი კალმოსნისთვის“ უცხოა სიტყვათა მნიშვნელობა და წარმომავლობა; ანუ რომელი სიტყვა შემოიტანა მწერლობაში, საიდან და რატომ; სანიმუშოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს; ამ თემით დაინტერესებულ მკითხველს კი ვურჩევდი, ნაწარმოებებზე თანდართული „ლექსიკონები“ გადაეთვალიერებინა, ანდა ამგვარი განმარტებით წერილები გადაეკითხა (ვთქვათ: III, 718-719; VIII, 220-222 და სხვა); და ამას გავაკეთებ თუნდაც იმიტომ, თუ როგორ მუშაობდა მწერალი ქართულ სიტყვაზე – რა რთული და შრომატევადი გზა აქვს გავლილი საჭირო სიტყვათა ძებნა-ძიების პროცესში...

– „მე შემოვუშვი მწერლობაში სიტყვა „ქვემეხი“ (რუს. „ორუდიე“) 1924 წელს. „დიონისოს ღიმილში“ ვიხმარე პირველად“...

– „თვალში მაკლდა „ინტრიგის“ შესატყვისი – „ხვანჯი“ (საბასგან ვისესხე)“...

– „რუსული სიტყვა „პლანიროვატ“ – „ირაო“ (ეს სიტყვა ხევსურული დიალექტიდან ვისესხე, იგივე იხმარება გურულსა და მეგრულში)“;

– „ქართულში არა გვქონდა ფრიად საჭირო სიტყვა რუსული „კანტ“-ის მაგიერ – გურულიდან ვისესხე „ძვიდე““...

– „რუსული „კლეჩატის“ შესატყვისად რაჭულიდან ვისესხე – „კუბოკრული“, რილო-ჭრილო, (ე. ი. შეჭადარებული ტალები დათოვლილი მთებისა)“...

– „პარალიზოვანის“ შესატყვისი – „გარღვეული“ (იხ. აკად. ა. შანიძის „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“. მარკოზი 2, 3, გვ. 114)“.

– „მე დამჭირდა რუსული „სოტრაპეზნიკ“-ის შესატყვისი – „მეინახე“ (იქვე, მათე 22, 10).

– „დანტეს კომედიის თანგმანისას მე დამჭირდა სიტყვა „საქანელნი ცისანი“ – ზეცის ფანჯრები“...

– „მე დამჭირდა უცხოური სიტყვის „ჰიპნოზირების“ ქართული შესატყვისი, გურული დიალექტიდან შემოვიღე „მონუსხვა“. ეს სიტყვა რამდენიმე თანამედროვემ იხმარა უკვე“...

– „რაჭულიდან შემოვიღე „შრამელი“

– „დამჭირდა მოქანდაკის ხელსაწყო – „საჭრეთელი“, იგი შემოვიღე ქართლურიდან“.

– „საჭიროდ ვცანი გამეახლებინა „ტივიფარი“, „შტემპელის“ შესატყვისია“ (VIII, 220-222...)...

– „ჩვენ არ გაგვანდა არარაის მქონე კაცის ეპითეტი, ამიტომ უნდა განმეახლებინა „უპოვარი“...

– „ახალ ქართულში არა გვქონდა მდინარის აღიღების შესატყვისი, ამიტომ შემოვიღე „დიდროაი“...

– „ახალ ქართულში არა გვქონდა შინაბერებელი, გაუთხოვარი ქალის შესატყვისი, ქართლურიდან ვისესხე „შინაბერა“...

– „აგრეთვე უცილოდ საჭირო სიტყვა „მალემრწმენი“, ე. ი. ეპითეტი ისეთი კაცისა, რომელიც შეუმოწმებლად, განუსჯელად დაიჯერებს ხოლმე სხვის ნათხრობს (ქართული ქრონიკიდან ავიღე იგი)“ (III, 718)...

სანიმუშოდ საკმარისია... საინტერესოა ავტორისეული ეს კომენტარიც, როცა ამ თემაზე საუბრობს: „ეს ყოველივე საკმაროდ საჭირობოროტო საკითხებია ქართული სიტყვაკაზმული მეტყველებისა, ერთგვარი შავი სამუშაო, რომელიც საუკუნით ადრე გაკეთებულია უკვე როგორც ფრანგულ, ისე ინგლისურსა და რუსულ პროზაში, ეს თავისთავად საკმაროდ უმაღური და მძიმე სამუშაო, რომელიც თვალსაჩინოა მათთვის, ვისაც მწერლის სახელოსნოს უკანა კარებში შემოუხედავს ოდესმე“ (III, 718)...

ჩვენც სწორედ ეს ვცადეთ...

„არარაჲ მოყუარება სიბრძნისა
იქმნების თუნეერ მართლუბნობისა და
წესიერწერისა!...“

ანტონ კათალიკოსი არის ამ ბრძნული აზრის ავტორი.
– მართლუბნობა და წესიერწერა – ჩვენ დღეს მართლწერას
რომ ვეტყვით, იმას გულისხმობს... ნუ ვიდავებთ ამჯერად
იმის შესახებ, განსხვავდება თუ არა მართლწერა და მარ-
თლუბნობა (ანუ მართლმეტყველება) ერთმანეთისაგან და არის
თუ არა საჭირო მათ შორის სხვაობაზე საუბარი... ეს თეორი-
ული საკითხია...

ჩვენ კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ ვსაუბრობთ...

ვსაუბრობთ მწერალზე, რომელსაც სწამს, რომ „მშობ-
ლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო სა-
ქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა“...

მწერალზე, რომელმაც არაერთგზის შემოჰკრა განგაშის
ზარი, „ქართული ენა განსაცდელშიაო“...

მწერალზე, რომელმაც განაცხადა, „მე ძალიან მოუცლუ-
ლი და დაღლილი ვარ, მაგრამ ქართული ენის სადარაჯოზე
დგომისათვის მე მუდამ მზადა ვარ“ (VII, 564)...

მწერალზე, რომელიც ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა
მიხეილ ჯავახიშვილის მოწოდებას – „უდიდესი ამოცანაა
ენის დაწმენდა და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი
მწერალი უნდა იყოსო“... და თავად კი მოუწოდა თანამოკალ-
მეებს:

„ჩვენ – ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავად“ (VII, 564)!

ჩვენ ამჯერად სწორედ ქართული ენის თავანკარობისთვის მებრძოლ, ხმალშემართულ კლასიკოსს მოვუსმენთ...

* * *

XIX საუკუნეში, როცა ქართული სალიტერატურო ენის გამრუდებული მაგისტრალური სახის გასწორებას ცდილობდნენ, მაშინ ინატრა ილია ჭავჭავაძემ: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ როგორ გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს!...“ ამას თავისი მოღვაწეობის გარიჟრაჟზე ამბობს დიდი ილია...

და სწორედ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის დამსახურებაა სიმრავლე „ასეთი კაცებისა“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში თუ XX საუკუნის დასაწყისში... გასულ ასწლეულში ერთ-ერთი „ასეთი კაცი“ კონსტანტინე გამსახურდია იყო...

მოწოდების აუცილებლობა „ქართული ენის თავანკარობის დასაცავად“ დრომ მოიტანა. რამდენადაც უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს დღევანდელი გადასახედიდან, ბოლშევიკური ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულ ყურადღებას აქცევს ქართული ენის (იმჟამად უკვე კონსტიტუციურად – სახელმწიფო ენის) სიწმინდის დაცვას. გაზეთ „კომუნისტში“ 1922 წელს (№11, მარტი) რევეკომის ბრძანება გამოქვეყნდა – მკაცრი ტონით მოითხოვდნენ ქართული ენის ინტერესების დაცვას: „მიუხედავად რევეკომის არა ერთხელ გამოცემული ბრძანებისა, რომ საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა

არის ქართული ენა და საქართველოს ყველა დაწესებულება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო, ვალდებულია სასტიკად აასრულონ ეს ბრძანება“... და ბოლოს: „რეკომი აფრთხილებს ყველას“ და ა. შ. კონსტანტინე გამსახურდია დაიმოწმებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთმა პირველმა პირმა „ფილიპე მახარაძემ გულისტკივილით შესჩვილა მწერალთა ყრილობას: ქართული ენა ჩვენს თვალწინ მახინჯდებო“ (VIII, 199). მწერლის ეს წერილი („ქართული მართლწერის კონფერენციისათვის“, 1923 წელს იწერება).

უფრო ადრე ბოლშევიკური მთავრობის მეთაურს მიხეილ კახიანს ცკ-ის პლენუმზე დაუსვამს საკითხი, რომ ლიტერატურა ხშირად მოიკოჭლებსო ქართული ენის ცოდნის მხრივ და მოუთხოვია ამ ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება, „ქართულის სისუფთავის დაცვა!“...

სახელისუფლო მხარდაჭერა მეტ ძალას მატებს პრობლემაზე ფიქრს. მწერალი აკონკრეტებს:

– „შეუწყნარებელი თვითნებობა მართლწერის მხრით გამეფებული, როგორც სახელმწიფო უწყებათა მეტყველებაში, ისე პრესაში, მწერლობაში და თვით სამეცნიერო გამოცემებში“ (VIII, 199);

– „...ყველას თავისებური მართლწერა აქვს, ყველა ისე სწერს, როგორც მოეპრიანება“ (იქვე)...

მართალია,

– „ენა ისეთი უცნაური ფენომენია, რომ არც ერთი, თვით სიტყვის უდიდესი ოსტატიც არაა დაზღვეული, რომ მას თუნდაც ერთ-ორჯერ რაიმე ლაპსუსი ან შეცდომა არ გაეპაროს“ (VIII, 259);

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ინტელიგენციას ინტერესი გაუქრა კარგი ქართულით წერისა და მეტყველებისა; დაუდევრობის სენმა იმძლავრა:

– „ქართული ინტელიგენცია უნდა ამოძრავდეს. დაუდევრობა უდიდესი სენია დღევანდელი ქართველობისა.

სწორედ მეტყველებაში იჩენს, უწინარეს ყოვლისა, ამ დაუდევრობას ქართველი კაცი“ (VIII, 205)...

– „ნორმირება ლიტერატურული ენისა კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მდიდარი და მრავალნაცადი ქართული ენა და მისი დიდი ტრადიციები.

ენა ერისა და მისი კულტურის წმიდათა წმიდაა. იგი არავის ამბიციების საგანი არ უნდა გახდეს, ამიტომაც ნურას უკაცრავად, თუ ამ საკითხების გამო დავის დროს არავის ავტორიტეტს არ მოვერიდოთ“ (VI, 585)...

ამბობს, „არავის ავტორიტეტს არ უნდა მოვერიდოთ“ და სწორედაც რომ ჩვენი კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს გულისხმობს. ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო სფერო მწერლობაა... ყველაზე მეტი სადავოც და სამსჯელოც აქა აქვს... ამიტომაც ეს თემა ბოლოსთვის მოვიტოვოთ...

სალიტერატურო ენის იმჟამინდელი მდგომარეობის ობიექტური შეფასება გამოკვეთს იმ აზრს, რომ „დროულია ქართული ენის ნორმირებისთვის ზრუნვა“ (VIII, 203); თუმცა ეს არასოდეს ყოფილა უდროო... მაგრამ გზა უნდა მოიძებნოს, მიზანი დაისახოს და ეძებს ამ გზას კონსტანტინე გამსახურდია:

– „ენა ხომ ხალხის საკუთრებაა, მისი ერთობლივი მეტყველება. ამ მეტყველებას ერთნაირი ყალიბი უნდა, ერთ დიდ ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული.

ვინ იქნება ეს ხუროთმოძღვარი?

მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია“ (VIII, 200).

იდეა ამგვარი კონფერენციის მოწვევისა კ. გამსახურდიამ 1928 წელს გააჟღერა („კომუნისტი“, 1928, 25 მარტი); იქვე ძირითადი პრინციპებიც წარმოადგინა; მოგვიანებით (1929 წელს) საგანგებო წერილიც მიუძღვნა („ქართული მართლწე-

რის კონფერენციისათვის“); მწერლის აზრით, კონფერენციის აუცილებლობას ის განაპირობებს, რომ „დიდი დუღილი და ზრდაა ქართულ ენაში; ამ ენერგიულად წინ გაქანებულ ენის სტიქიას ყალიბი უნდაო“ (VIII, 200)...

– „ამიტომაც ძლიერ საშურია ამ კონფერენციის მოწვევა. ცხადია, მართლწერის კონფერენციის დასკვნებს ხელისუფლება დააკანონებს და აღსდგება ქართული ენის სისადავე და მშვენება...“

ამ კონფერენციაზე დიდი ენერგიის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობას“ (VIII, 200)...

მწერლის მიზანი ქართული ენის ღირსეული ტრადიციების აღდგენაა; თუმცა ეს იდეა არ გამხდარა პოპულარული, არ სარგებლობდა საყოველთაო მოწონებით; როგორც ჩანს, არცთუ ცოტა იყო ასეთი პირი:

– „ენის ტრადიციებო! ამის გაგონებაც ეხამუშებათ ისეთ პირებს, რომელნიც ენის კულტურას უსაგნიერ ფუფუნებად სთვლიან, ვისაც ენაალრეული მეტყველებაც ბუნებრივ სტიქიონად მიაჩნია“ (VIII, 208).

კ. გამსახურდიას „მართლწერის კონფერენციის“ მოწვევის იდეა იმათ იმედზე არ წამოუყენებია, ვინც „ენის კულტურას უსაგნიერ ფუფუნებად“ თვლიდა... მას უპირველესად მწერალთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა... მაგრამ კონფერენციის იდეა არ აღმოჩნდა მისაღები მიზეზილ ჯავახიშვილისათვის; მართალია, ენობრივი ვითარების შეფასებაში მ. ჯავახიშვილიც ისევე ფიქრობს, როგორც კ. გამსახურდია: „სადავო ბევრი დავვიგროვდა. ფორმათა სიმრავლემ ანარქია შემოიტანა. დაირღვა საერთო გრამატიკა – დაიშალა მთლიანი ქართულიც, და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა. ჩემი რწმენით კონფერენციის მოწვევა ნაადრევია“ (მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001, 716); მისი აზრით, ქართული ენა დულს; ეს პროცესი უნდა შენეულდეს,

საერთო ქართული ბუნებრივად ჩამოყალიბდეს, „სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინღა ექნება აზრი და გამართლება“ (იქვე, 717)...

მ. ჯავახიშვილსა და კ. გამსახურდიას შორის ენობრივ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის ერთ-ერთი თემა სწორედ კონფერენციის საკითხი იყო... კ. გამსახურდიას ამის გამო აზრი არ შეუცვლია. იგი ვრცლად მსჯელობს ამის შესახებ. ვიმეორებთ: მიაჩნია, რომ ქართული მეტყველების ერთნაირი ფალების სუროთმოდგარი მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენცია უნდა იყოს.

ამ ერთობის – მწერლებისა და ენათმეცნიერების ერთობის – შესახებ კ. გამსახურდიას თავისი ჩამოყალიბებული აზრი აქვს: რა როლი უნდა შეასრულოს მწერალმა ამ საქმეში და რა როლი – ენათმეცნიერმა; როგორ ნაწილდება ფუნქციები მწერლებსა და ენათმეცნიერებს შორის:

– „ვერც ერთი გონიერი მწერალი ვერ უარყოფს იმ დიდ როლს, რომელსაც ასრულებენ ამა თუ იმ ენის შესწავლის საქმეში ენათმეცნიერები და გრამატიკოსები, მაგრამ არც ერთ ხალხში, არც ერთ საუკუნეში ენათმეცნიერებს არ შეუქმნიათ ენა“ (VI, 584);

გასათვალისწინებელია ის, რომ

– „არც ერთი დარგი მეცნიერებისა ისე ახლოს არაა მწერლობასთან, როგორც ფილოლოგია. ჩვენ და ფილოლოგები ერთი და იმავე დედის ძუძუთი ვიკვებებით. ეს გახლავთ ნაციონალური ენა, საფუძველთა საფუძველი ეროვნული კულტურისა“ (ორიონი, 43)...

კ. გამსახურდია ძალიან მკვეთრად გამიჯნავს ეროვნული ენის ამ ორი მსახურის ფუნქციებს:

– „ჩვენი ენათმეცნიერები ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეჯერდნენ იმ საპატიო როლს, რომელიც მათ მიანიჭა განგებაში. ისინი ენის აგრონომებია და არა ბაღის გამშენებელინი.

ენის განვითარებას მწერალი აძლევს გეზს. მწერალი ქმნის ახალსა და ახალ კომპოზიციებს. დიდი მწერალი რეფორმატორია ნაციონალური ენისა. ენათმეცნიერი სწავლობს და ახარისხებს მწერლის მიერ მოპოვებულ მიღწევებს“ (VIII, 262)...

როცა ამ თემაზე მსჯელობს კ. გამსახურდია, ასეთი არგუმენტი მოჰყავს: „თუ შესაძლებელია ფილოლოგი გენიოსი იყოს, ნიკო მარრი იყო ასეთი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა და ენა ილიას გეზით წავიდა და არა მარრის გრამატიკის მეოხებით“ (VIII, 262)... სხვათაშორის, ამასვე ამტკიცებდა მ. ჯავახიშვილიც: „უბელადო ჯარი იშვიათად იმარჯვებს, ან გამარჯვება იგვიანებს. მაგრამ ისტორია ზოგჯერ დროზე მიაშველებს ხოლმე მედროშეს. მართო გრამატიკოსს ჯერ არსად შეუქმნია ენა. საჭიროა დიდი შემომქმედიც, ან თავდაპირველად შემომქმედი, რომელიც სანიმუშო დროშას ჰქსოვს ეპოქისათვის და მებრძოლ ლაშქარსაც, ბედმა თუ განგებამ, უცებ მოუვლინა მედროშე. ილია ჭავჭავაძეს ერგო ამ ლაშქრის წინამძღოლობა“ (წერილები, 670)...

როგორც ვხედავთ, მწერლები თანხმდებიან, მაგრამ არც ენათმეცნიერები არიან ამის წინააღმდეგნი... ენათმეცნიერებს „ბაღის გამშენებლობაზე“ პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამთ... მეტიც, სრულიად გარკვევით, ერთმნიშვნელოვნად გამიჯნავენ მწერლისა და ენათმეცნიერის როლს სალიტერატურო ენის მიმართ. არნოდდ ჩიქობავა წერს: „სალიტერატურო ენას მწერალი ქმნის...“ და იქვე განმარტავს, რა ფუნქცია აკისრია ენათმეცნიერს: „ენის რაობას, ენათა ცვლის ისტორიას იკვლევს, სამწერლო ენის მეურნეობას უვლის და სამწერლო ენის განვითარების საკითხებს შეისწავლის ენის სპეციალის-

ტი, ენათმეცნიერი... ერთი სიტყვით, ენათმეცნიერს სწორი დიაგნოზის დასმა ევალება“ (არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. V, 2011, 6). ასე რომ, საფუძველი არ ჰქონდა კ. გამსახურდიას განცხადებას: „ჩვენ სანამ ცოცხალნი ვართ, ქართული ენის მიმართება ჩვენს ხელშია და ჩვენს შემდეგაც ჩვენი გზით ივლის. ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ამ დიდ საქმეს არავის დავანებებთ!“ (VIII, 262)... თუმცა საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გრამატიკოსების მიმართ პატივისცემა და მათი საქმიანობის დაფასება – კ. გამსახურდიას სხვათაგან არ ესწავლება:

– „ახლა წარმოვიდგინოთ დიდი ფილოლოგის, გრამატიკოსის სკრუპულოზური შრომა. იგი სავსებით მკაცრ კანონზომიერებაში მოაქცევს ენობრივ მასალას და ეს ფორმები მეტყველებისა მას მოქცეული აქვს მათემატიკურ ზუსტ კანონების ფარგლებში (ორიონი, 41);

კვლავ ამონარიდები ამ თემაზე – მწერალი და ენათმეცნიერი:

– „ხალხის მიერ იმანენტურად შექმნილ ფაქტორს ენისას აყალიბებს, აფორმებს და მიმართულებს აძლევს მწერალი, ენათმეცნიერი, ლინგვისტი, ანალიზს უკეთებს და აჯამებს პროცესებს ენის ქმედობისას, უკვე დადგენილის კლასიფიცირებას ეწევა და აღნუსხავს მოვლენებს, ენის განვითარებაში შენიშნულს“ (VI, 584),

მაგრამ –

– „ჩვენი სინამდვილე მოითხოვს, ქართველმა მწერალმა ამოიღოს ხმა ქართული ენის დამახინჯების გამო“ (VIII, 205);

– „ამიტომაც ნურას უკაცრავად, თუ ამ საკითხების გამო დავის დროს არავის ავტორიტეტს არ მოვერიდოთ“ (VI, 585).

– „ბრძოლას და პოლემიკას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ჩვენ პრინციპული უთანხმოება გვამოძრავებს. კულისებ-

ში ბრძოლის მაგივრად, შეუფარველად, დასაბუთებულად უნდა ვუთხრაოთ ურთიერთ სიმართლე, გულდაგულ და ისე ვაჟკაცურად, როგორც ჩვენს დიდ წინაპრებს: ილიას, ვაჟას და გრიგოლ ორბელიანს სჩვეოდათ ეს“ (VIII, 226).

და კ. გამსახურდია დავობს, კამათობს ენათმეცნიერებთან კონკრეტულ ენობრივ საკითხებზე „შეუფარველად, დასაბუთებულად“...

* * *

სანამ იმის შესახებ ვისაუბრებთ, რა კონკრეტული ენობრივი საკითხებია კონსტანტინე გამსახურდიას განსჯის საგანი, რა თემებზე ეკამათება ენათმეცნიერებს, ორიოდე სიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს მწერალი ქართველ ენათმეცნიერთა საქმიანობას, ღვაწლს (რომ არ ვიფიქროთ, რომ მწერალს პროფესიული „აუტანლობა“ აქვს ენათმეცნიერების...). აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა და ვარლამ თოფური (ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსები) არიან კ. გამსახურდიას ადრესატები.

კ. გამსახურდია სიამაყით საუბრობს იმის შესახებ, რომ აკაკი შანიძესთან ყმაწვილკაცობიდან მეგობრობდა. პეტერბურგში ა. შანიძე იყო მისი მასპინძელი, „მის პატარა ოთახში“ ცხოვრობდა და როგორც ცდილობდა ა. შანიძე, გადაეფიქრებინა ახალგაზრდა მწერლისათვის ევროპაში წასვლა (ნ. მართან კონფლიქტის შემდეგ)... და ცხოვრების ბოლომდე მისი პიროვნების ერთგული დარჩა; უტყუარია მისი შეფასება აკაკი შანიძის მეცნიერული ღვაწლისა. თვლის, რომ მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ „ისევე რთულია და ღრმა, როგორც ემანუელ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ (ორიონი, 41); საიუბილეო მილოცვაში წერდა: „განა მარტო დიდი შრომითა და დიდი ტალანტით მიადწია აკაკი შანიძემ ეგზომ დიდ სახელს? განა მარტო ამით მოიხვეჭა მან დიდი სიყვარული

ქართველი ხალხის გულში? – პიროვნება უდიდესი ბედნიერებაა ამ ქვეყნად, ამბობდა დიდი გოეთე. მისი უმწიკვლო პიროვნება, მისი დიდი და უნგარო პატრიოტიზმი გახლავთ პირველადი ფაქტორი ამ შემთხვევაში“ (ორიონი, 41)...

ასევე დიდი პატივისცემელია კ. გამსახურდია ქართველ კლასიკოს ენათმეცნიერთა – არნოლდ ჩიქობავასი და ვარლამ თოფურიასი...

წერს ერთგან: „ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენ ამჟამად გვყავს ისეთი პლეადა ენათმეცნიერებისა, რომელთა სახელები მსოფლიოს უდიდეს უნივერსიტეტებსა და აკადემიებს დაამშვენებდაო“ (VI, 584) ... ეს ზოგადად, სხვაგან პიროვნულად:

არნოლდ ჩიქობავაზე: „ისეთმა დიდმა მეცნიერმა, როგორცაა მისი ავტორი“... „სწორედ ასეთ ენათმეცნიერებსა და ვულგარიზატორებს თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცა აკად. ა. ჩიქობავამ“ (VI, 594); „ქართული განმარტებითი ლექსიკონის ოთხი ტომის გამოქვეყნება დიდად მნიშვნელოვანი ფაქტია ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ისტორიაში... რა დიდ ღვაწლს დასდებს ეს საქმე ქართული ენის შემდგომ განვითარებას...“ (VIII 586) ... და სხვა.

ვარლამ თოფურიაზე: „ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ვარლამ თოფურიამ ამას წინად გამოაქვეყნა საკმაოდ საინტერესო შრომა „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“. მრავალი პრობლემა სავსებით სწორადა აქვს გადაწყვეტილი ჩვენს კოლეგას“ (VIII, 257) ... იქვე დასძენს: „მასთან და მის მეგობრებთან მე ხშირად მიკამათნიაო“ (იქვე) და გრძელდება ეს კამათი...

ცხადია, ჩვენ არ ვაპირებთ იმ საკითხების განხილვას, რაც იწვევს მწერლის უკმაყოფილებას... ამას ამჯერად არა აქვს მნიშვნელობა (როცა საჭიროდ ჩათვალია, არნ. ჩიქობავამ ვრცელი და არგუმენტირებული პასუხი გასცა მწერლის მიერ დასმულ კითხვებს. ამის შესახებ იხ. აქვე, გვ. 83)...

აქ ჩვენ ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ ფრიად საგულისხმო ფაქტზე: როგორ ხედავს, როგორ აღიქვამს მწერალი ენობრივ მოვლენებს, ფაქტებს; როგორია მისი „შეუფარველი და დასაბუთებული“ არგუმენტები...

მაგალითისთვის ერთ კონკრეტულ ფაქტზე ვისაუბრებთ საკმაოდ დაწვრილებით, რაზეც მწერალი არაერთგზის და საკმაოდ ვრცლად მსჯელობს თავის წერილებში...

* * *

ეს არის ზმნური პრეფიქსები ჰ- და ს-. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ეს პრეფიქსები მწიგნობართა და მკვლევართა ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებდა. არას ვიტყვით ხანმეტობა-ჰამეტობის საფეხურზე, სადაც ამ თემასთან დაკავშირებული კითხვის ნიშანთა სიმრავლეა; არაერთი კითხვა პასუხგაუცემელია დღესაც... რთულია ვითარება საშუალო ქართულშიც... XIX საუკუნეში იყო მცდელობა ჰ-/ს- პრეფიქსთა ვითარებაში გარკვევისა. 1886 წელს გაზეთ „ივერიაში“ „ენის მცოდნეთა კრებაც“ მოუწვევიათ სადავო საკითხთა მოსაგვარებლად. ერთ-ერთი განსახილველი ამ პრეფიქსთა საკითხია: „ჰ და ს ერთნაირად შესაწყნარებელია? თუ შეიძლება ან რა შემთხვევაში შეიძლება, რომ ერთმა მეორის მაგივრობა გასწიოს?“...

ვაჟა-ფშაველა გაზეთ „კვალის“ რედაქციას სწერდა: ვთხოვთ უმორჩილესად, ბგერა „ჰ“ დაიცავით ჩემს ნაწერებში ისე, როგორც მე ვხმარობო“... (მოგეხსენებათ, ამ და სხვა საკითხებში „კვალს“ თავისი ენობრივი პრინციპები ჰქონდა).

ეს საკითხია ერთ-ერთი სამსჯელო გასული საუკუნის 10-იან წლებში „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოებაში“... მათ საქმეში „პეტერბურგის სკოლაც“ ჩართეს (ი. ყიფშიძე, ა. შანიძე...)... ამ პერიოდშივე იკვლევს აკაკი შანიძე ხსენებულ პრეფიქსებს (ეს იყო მისი სადოქტორო დი-

სერტაციის თემა) და სწორედ მაშინ ჩნდება ძირითადი მონახაზი იმ ნორმისა, რომელიც დღესაც მოქმედებს (ერთი მხრივ, ობიექტის ბრუნვაზე და, მეორე მხრივ, ზმნის ფუძის საწყის თანხმოვანზე დამყარებული)... თავად ამ წესის შესახებ ძალიან ლოგიკური გვეჩვენება იოსებ ყიფშიძის შენიშვნა: „შეიძლება ასეთი მტკიცება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ასე რომ უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია“ (ი. ყიფშიძე, თხზულებანი, 2015, 482)... ჰ- და ს- პრეფიქსთა გამოყენებაში პრობლემა ამ წესის შემოტანას არ მოუხსნია. თავად აკაკი შანიძე წერდა მოგვიანებით: „საბოლოოდ ვერც ერთმა მიმართულებამ ვერ მოიკიდა ფეხი სალიტერატურო ენაში და დღესაც ერთად-ერთი საზოგადოებრივი და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“ (ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, 1981, 224)...

ერთგან ჩვენ ვსაუბრობთ ჰ-/ს- პრეფიქსთა მიმართ მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე (გ. გოგოლაშვილი, ენა მწერლის ბალავარია, 2021)...

ასევე მკვეთრია და ორიგინალური კონსტანტინე გამსახურდიას პოზიციაც...

თავისთავად, ა. შანიძისეული შეფასება – „თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება, ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“ – იმაზე მიანიშნებს, რომ ჰ-/ს- დაცლილია კონკრეტული გრამატიკული ფუნქციისაგან და მას ფაქტობრივ ექსპრესიული ფუნქციადა შერჩა (გ. გოგოლაშვილი, ქართული სალიტერატურო ენა, 2013, 293)... ამიტომაც მწერლის სუბიექტური დამოკიდებულება არის გადამწყვეტი (ისიც გავიხსენოთ: ს. ხუნდაძე ამ პრეფიქსებს კეთილხმოვანებასთან აკავშირებდა...)...

ცხადია, ამგვარი „პრეტენზია“ მხოლოდ კლასიკოს მწერლებს აქვთ — სურთ თავიანთი პოზიციის დამკვიდრება, თუმცა პრინციპებს (წესებს) ვერ გვთავაზობენ. ასეთი ვითარება კონსტანტინე გამსახურდიასთანაც:

— „მე გაოცებული ვარ, რამ შეაძულათ ჩვენს ენათმეცნიერებს ჰაე?

საქმე აქ ფონეტიკურ სიზუსტეში როდია. ორი ტენდენცია მიეძალა ჩვენს ენათმეცნიერებას: ერთნი „გაიოლებას“ მიეღობიან; მეორენი უნებლიედ რუსული ენის პრაქტიკას უქვემდებარებენ ჩვენს ენას“ (VIII, 261);

ჩვენ ამ საკითხებზე კომენტარებს არ გავაკეთებთ... არც კითხვებს დავსვამთ (ვთქვათ, რა შუაშია რუსული ენის პრაქტიკა...)... მოვიყვანთ მხოლოდ მწერლის აზრს...

— „სავსებით გაუგებარია, რად შეიძულეს ასონიშანი სანი. „ჩანს“ — რა ქართულია; უცილოდ დაიწეროს „სჩანს“, „სწერს“ და არა წერს“ (VIII, 261);

— „აკადემიკოსი თოფურია კვლავ მტრულადაა განწყობილი „ჰ“ და „ს“ მიმართ“ (იქვე).

— „ჩვენი ლინგვისტები ამტკიცებენ „ჰ“ ყრუა და ამიტომ აღარ გვესაჭიროებაო (! — გ. გ.). ეს განსაკუთრებით სმენის ამერაციის შედეგი სიტყვებში: „ჰქონდა“, „მიჰქრის“, სრულიადაც არაა ეგ ასონიშანი ყრუ. მიქრის — ეს ხომ ღიმილის მომგვრელი სიტყვაა. ე. ი. მის წარმომთქმელს თავში უქრის“ (VIII, 261).

გავგანსხვავებდებოდა იაკობ გოგებაშვილის მსჯელობა ჰ პრეფიქსთან დაკავშირებული: „ამ ასოს გაუქმებით იმისთანავე არევ-დარევა ფორმებისა მოხდება, რომელიც წინად აღვნიშნეთ. მოაკელით ზმნას ჰყვავის ასო ჰ და გამოვა ნათესაობითი ბრუნვა სახელ არსებითისა — ყვავის... ავიღოთ ფრაზა: გიორგის ტვინი ჰქონია, რაც ნიშნავს გიორგის ნიჭიერებას. გამოაკელით უკანასკნელს სიტყვას ასო ჰ და გიორგი გამოვა უტ-

ვინო, სულები. უნიჭო“... იმასაც ვიტყვით: ჰყვავის – ყვავის ვარიაციებზე ამგვარი შენიშვნა ადრე აკაკი წერეთელმაც გააკეთა ღიმილით... ხოლო პ. მირიანაშვილი ყრილობაზედ მსჯელობს – „ჰყვავის ბალი, ყვავის ბუდე“...

დავუბრუნდეთ ისევ კ. გამსახურდიას:

– „მე გახლდით გურიაში და აღშფოთებული დამხვდა გურიის საზოგადოება, ირაკლი აბაშიძის ერთი ლექსის „ჰყვავის გურიას“ გამო.

საქმე შემდგომში გახლავთ, ამ ლექსის სათაური იყო „ჰყვავის გურია“ კი არა, „ყვავის გურია“. ამიტომ გურულები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ჩემს წინაშე და მიმტკიცებდნენ, რომ გურია ყვავისა კი არ არის, საქართველოსიაო. სხვათაშორის არავის არ ეგონოს, ეს გამონაგონი, ნამდვილი ამბავია“ (VII, 493)...

ზმნური პრეფიქსი ჰაე და უცხოურ სიტყვებში თავჩენილი ჰაე გაიგივებულია მწერლის მსჯელობაში:

– „აკად. ვ. თოფურია სწერს: „ალიგიერი უნდა დაიწეროს და არა ალიგჰიერი. ეს კენჭი ჩემს ბალს მოხვდა. „ალიგჰიერი“ მე ვიხმარე პირველად... პატივცემული ავტორი რუსულ ანალოგიას ემყარება ალბათ. არც ერთ ენაში (გარდა რუსულისა), ალიგიერი არ იწერება, რადგან ეს სიტყვა უჰაეოდ ალიჯიერად წარმოითქმოდა“ (VIII, 261).

როგორც ვთქვით, ენათმეცნიერებს „ბრალს სდებენ“ ჰაესა და სანის „სიძულვილში“ და კ. გამსახურდია „იცავს“ ამ ბგერებს ლინგვისტიკისაგან:

– „როგორ გგონიათ, ამ ბგერებს უბრძოლველად დაუკავებიათ თავისი კუთვნილი ადგილი? არა, ამ ბგერებისათვის საუკუნეების მანძილზე სწარმოებდა ბრძოლა, შუბების მტკრევა და მათ დაკანონების მოთხოვნა ჩვენი პედანტობით არ მოგვდის. ყველა ასოსთვის ოფლი და სისხლი უღვრიათ ჩვენს წინაპრებს და ზოგიერთი პროფესორი თუ ფილოსოფოსი ამა-

ოდ ფიქრობს, რომ ისინი ადგენენ ენის ნომრებს“ (VII, 492)...

დავარქვათ ამ არგუმენტებს („სძულთ“, „არ უყვართ“, „რა ქართულია“) „მწერლური ლოგიკა“ სწორი ფორმების შერჩევისა... მწერალს სჯერა, რომ ესაა მართებული ფორმა... ვაჟა-ფშაველასაც მიაჩნდა, რომ ჰაე უნდა შენარჩუნებულიყო ზმნურ ფორმებში, სადაც თვითონ წერდა, თუმცა არ უცდია დასაბუთება, რატომღაც...

კ. გამსახურდიას აქვს თავისი შეხედულება სხვა საკითხებზეც; ჩვენ დავასახელებთ ზოგ მათგანს, თუმცა „დასაბუთებას“ გვერდს ავუვლით.

– ზმნური დაბოლოება **ღნენ** თუ **ღენ**...

– **დ-ს** შემოღების აუცილებლობა...

– ორი ერთგვარი თანხმოვნის შენარჩუნება უცხოურ სიტყვებში (პრესსა...)...

– შენიშვნათა მთელი წყება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონთან დაკავშირებით: სალექსიკონო ერთეულების შერჩევა; საილუსტრაციო მასალის ავტორთა შერჩევა; უხეირო საილუსტრაციო წინადადებები; არასწორი გაგება ზოგი სიტყვისა, არასწორი განმარტება... (ამის თაობაზე ამ „ქების“ ბოლოს არნ. ჩიქობავას აზრს გავიხსენებთ...)“

და სხვა...

ჩვენთვის ღირსსაცნობია და სამაგალითო ის, თუ როგორია მწერლის დამოკიდებულება სალიტერატურო ენის სიწმინდისადმი; მწერალი – ხმალშემართული მებრძოლი ენის სიწმინდისათვის... კონკრეტული საკითხები დალაგდება; მთავარი მათი წარმოჩენაა და მოგვარების აუცილებლობისთვის ყურადღების გამახვილება... თუმცა ისიც ვთქვათ, ამ საკითხში პრიორიტეტი „არ ეთმობა“:

– „ზოგიერთი პროფესორი თუ ფილოსოფოსი ამაოდ ფიქრობს, რომ ისინი ადგენენ ენის ნორმებს. ენა რუსთავე-

ლის, საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მიერაა შექმნილი, ენა XIX საუკუნის ქართული მწერლობისა და თუ ჩვენ ცოცხალი ვიქნებით, XX საუკუნის ენა ჩვენ უნდა შევქმნათ“...

ამ აზრს სხვადასხვა ფორმით სხვადასხვა ნაშრომში არაერთგზის შეგვახსენებს...

– „ახლო წარსულში ქართულ ლიტერატურულ ენას გეზს აძლევდნენ ილია, აკაკი, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი და არა მათი თანამედროვე ფილოლოგები. ნ. მარრი, ზოგიერთი უკულმართი თეორიების მიუხედავად, იყო უდიდესი და უბრწყინვალესი ფილოლოგი თავისი ეპოქისა, მის სიტყვას საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა... მიუხედავად ამისა, ქართული ენის მესომალდე იყო ილია ჭავჭავაძე და არა ნ. მარრი“ (VI, 584)...

ამ პოზიციებიდან გამომდინარე კ. გამსახურდიას გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დამდგენი კომისიის მიმართაც:

– „გარეგნულად თითქოს ყოველივე კარგად წარიმართა. არსებობს ნორმების დამდგენი კომისისაც, რომელშიაც ჩვენმა ენათმეცნიერებმა ისეთი პირები შეიყვანეს, ვინც პოლემიკით არასოდეს აწუხებდათ მათ, მიაჩუნათეს მტკივნეული პრობლემები, რომელთა გამოც ვდავობდით“...

– „გაუეჟილს გატეხილი სჯობია და აქ პირუთვნულად უნდა ითქვას, ზოგ შემთხვევაში ზოგიერთმა ჩვენმა ენათმეცნიერმა მიიტაცა ის პრეროგატივები, რომელნიც აღმატებიან კიდევაც ენათმეცნიერების კომპეტენციას და უფლებას“ (VI, 585)...

ქართული სალიტერატურო ენის მართლწერისა და მართლუბნობის პრობლემებთან დაკავშირებით მხოლოდ ეს საკითხები არ არის მწერლის ფიქრისა და განსჯის საკითხები...

ვინ „ქმნის“ მართლწერის პრობლემებს? ვინ უგულებელ-
ყოფს დედაენის ინტერესებს? ამ მხრივ უპირველესად პრესას
ასახელებს კ. გამსახურდია:

– „ყველაზე საგანგაშო საკითხია ჩვენი პრესის მიერ
ქართული ენის დამახინჯება და ჩვენ თუ სათანადო ზომები
არ მივიღეთ, ეს სახიფათო ამბავს უქადის ქართულ მწერლო-
ბას“ (VII, 585);

– „მე ამას წინათ მუშაობა შევწყვიტე და დავურეკე გა-
ზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს... მე ვუთხარი მას, რომ ქარ-
თული ენა წარყვნეს. გაზეთი „კომუნისტი“ ეს არის ზარბაზა-
ნი, რომელიც ასი ათასიანი ტირაჟით გამოდის. ახალგაზრდო-
ბაში ჩვენ ვნატრობდით, რომ ასეთი გაზეთი გექონოდა, რომე-
ლიც ზარბაზანივით დაიგრიალებდა“... (VII, 564);

არადა, ზოგი მწერალი სწორედ „რედაქციის იმედზეა“,
იქ გამისწორებენო ნაწერს, მაგრამ –

– „როგორ შეიძლება, მწერალმა ენა არ იცოდეს და მის
ენას რედაქციაში ასწორებდნენ... ენის ცოდნა აუცილებელია“
(VII, 497)...

ქართული ენის სიწმინდის პრობლემა, მწერლის აზრით,
არაპროფესიონალიზმის მომძლავრების შედეგია:

– „ლიტერატურაში, კინოხელოვნებასა და თეატრალურ
ხელოვნებაში გაბატონდნენ და გათამამდნენ ხალტურისტები,
გეშეფტმახერები... სწორედ ამ გეშეფტმახერების წყალობით
ირღვევა ქართული ენის სინტაქსი, სწორედ მათ გამო არის
ქართული ენა განსაცდელში“ (VII, 565)...

ეს პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს მხატვრულ
თარგმანში:

– „იგი (მთარგმნელი – გ. გ.) უხეშად თავს ახვევს ნა-
ციონალურ ენას მეორე, სულ სხვა ბუნების ენის სინტაქსიდან
გამომდინარე პრინციპებს“ (VII, 463).

– „ჩვენს გამომცემლობაში ხალტურისტების დიდი მოძალებაა. საჭიროა მათი გაძევება“... (იქვე)

– „უნდა ითქვას, მეტყველების დაუდევრობა თვალსაჩინოდ ეტყობა არა მარტო ჩვენი ქალაქური მეურნეობის ფუნქციონირებას, არამედ ჩვენი პრესის მუშაკებს, ჩვენს მწერლებსა და ჩვენს მთარგმნელებს“ (VIII, 245)...

როგორი არ უნდა იყოს თარგმანი, როგორი თარგმანი ვნებს სათარგმნ ავტორსაც და, რაც მთავარია, იმ ენას, რომელზეც ითარგმნება, ამის მაგალითად განიხილავს გოეთეს „ფაუსტის“ ორ ქართულ თარგმანს – პ. მირიანაშვილისას (VII, 195-204) და დ. ონაშვილისას (VIII, 186-192)... მიმოხილვა საკმაოდ ვრცელია და სურათი – ნათელი:

– „არეულია ერთმანეთში აწმყო, მყოფადი და ნამყო“ (VII, 202),

– „ყოველი სიტყვა აფთიაქის სასწორზეა ასაწონი“ (VIII, 187);

– „ეს ძლიერ ბლაგვი, არაფრისმთქმელი ფრაზები“... (VIII, 168);

– „საოცარია, ვიდრე ეს წიგნი დაიბეჭდებოდა, სახელგამმა რომ არ შეამოწმებინა იგი ვინმეს, გერმანულისა და ქართულის კარგ მცოდნეს“ (VIII, 192)...

მართლწერისა და „მართლუბნობის“ პრობლემებზე საუბრისას კ. გამსახურდია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს თეატრის ენას. „სიტყვის კულტურის“ დამკვიდრებაში დიდი მსახიობის როლი; დანანებით წერს, – საერთოდ სიტყვის კულტურა აკლია ჩვენს მსახიობებსო და ასეთ ამბავს ჰყვება მაგალითად:

– „პარიზში ვიცნობდი ერთ არტისტს, როდესაც იგი მოხვდებოდა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ზრდილობა მოი-

თხოვდა სხვა ენაზე ლაპარაკს, პირს აიხვევდა, აქცენტი არ გამიფუჭდესო“ (VII, 377);

– „ქართული თეატრი იყო, არის და იქნება ჩაუქრობელი ლამპარი ქართული ენისა და ასეთი გულგრილი დამოკიდებულება სცენიდან ქართული ენისადმი ყოვლად დაუშვებელია“ (VII, 456);

– „ჩვენი ქართული ენა, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი პასპორტი მსოფლიოს ცოცხალ ენებში, შესწავლილი არ არის ჯეროვნად; სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ მსახიობები სიტყვებს ყლაპავენ“ (იქვე)...

– „(მსახიობები) გაიგებენ, რომ ამა თუ იმ ენაში მახვილი აქვს ბოლოში და გამოდიან ისეთი დეკლამაციით, რომ მათ მოსმენას სჯობია კაცმა ყურები დაიცოს“ (იქვე)...

– „მაგრამ როცა რეჟისორი ასწავლის მსახიობს არა-ქართულად, იმის მსახიობი დამახინჯებული იქნება, როგორც სმენის, ისე მეტყველების მხრივ“ (VII, 377).

პროვინციალიზმი და ჟარგონისადმი მიდრეკილება...

ეს ორი მოვლენა ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით საყურადღებოა, გვაფრთხილებს მწერალი... ამავე დროს, საჭიროდ მიიჩნევს, განმარტოს, რა არის პროვინციალიზმი, რა არის ჟარგონიზმი... როგორც ჩანს, ეს განმარტება იმისთვისაც მიიჩნია საჭიროდ, რომ ზოგჯერ ჭირს მათი გამიჯვნა; ზემოთაც დაგვჭირდა ამის მოხმობა: „სიტყვა „პროვინციალიზმს“ ჩვენ ფრთხილად უნდა მოვექცეთ. პროვინციას ძველი რომაელები უწოდებდნენ რომის გარეთ მდებარე მათ მიერ დაპყრობილ მხარეებს“ (VII 448-449); პროვინციალიზმი, ამ გაგებით, დიალექტიზმს უტოლდება...

ჟარგონიზმი, ჟარგონი უფრო ბარბარიზმთან, კალკთან არის დაახლოებული: „რა არის ჟარგონი? – ჟარგონი ეს

არის განუკითხავად მოქცევა და მოხმარა ენისა... ჟარგონის წარმოშობის მიზეზთაგანია: ერთი ენიდან მეორეში ყურით გადათრევა ცნებებისა“ (VIII, 245).

თუმცა დამატებით განმარტავს: „ჟარგონი მარტო ბარბარიზმებიდან როდი იღებს სათავეს, არამედ უტრირებული პროვინციალიზმი უხვად კვებავს მას. პროვინციალიზმი და ქალაქური ქუჩური მეტყველების ენა“ (VIII, 249).

აქ ერთ მომენტს მივაპყრობ ყურადღებას: არასალიტერატურო მეტყველების (სალიტერატურო ენაზე ზეგავლენის წყაროების) კლასიფიცირებას ასე ახდენს: პროვინციალიზმი (დიალექტიზმი), ჟარგონი, ბარბარიზმი, ქალაქური (ქუჩური) მეტყველება... საგულისხმო ამ დაყოფაში ის არის, რომ ქალაქურ მეტყველებას კ. გამსახურდია გამოყოფს ზეპირმეტყველების ერთ-ერთ ნაირსახეობად. ამ მნიშვნელობით გამოიყენებს გამოთქმას „ადრეული ბაზრული მეტყველება“ (წერს: „რეცენზენტს აინტერესებს, თუ ვის ვგულისხმობ მე, როცა გასული საუკუნის ზოგიერთ მწერალს ვუხსენებ „ადრეულ, ბაზრულ მეტყველებას“. ესეც არაერთხელ მითქვამს – ანტონოვს, გერისთავსა და ძმათა მათთა“ – VII, 318).

რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ ამ თემაზე:

– „გასულ საუკუნეში ბუნებრივად მძლავრობდა კუთხურ-ტომობრივი პარტიკულარიზმი და ეს მომენტი ჩვენს მწერლობაშიც აღიბეჭდა“ (VII, 494);

– „ჩვენ არ გვინდა პროვინციული, ჟარგონული გამოთქმები; ჩვენ თვითონ ვართ ფაქტორი ენის შექმნისა, ენის სიწმინდის დაცვისა, ამიტომ აფთიაქარის სიზუსტით ვიქცევი, როცა ზოგიერთი პროვინციული გამოთქმა შემომამკვს ქართულ ენაში“ (VII, 553);

– „აუტანელი ჟარგონი მეფობს ჩვენს პრესასა და ლიტერატურაში“ (VIII, 259)...

– „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ როგორც ჩვენს, ისე ჩვენი კოლეგების ნაწერებში, როგორც გადაჭარბებულ არქაიზმს, ასევე გადაჭარბებულ პროვინციალიზმს... უნდა ვიბრძოლოთ ქართული ენის გენერალური ხაზის გატარებისათვის“ (VII, 454)...

– „უარგონირება ისევე მავნებელია ენისათვის, როგორც ფილოქსერა ვენახისათვის“ (VIII, 245)...

* * *

მართლწერისა და მართლუბნობის თემასთან გვინდა დავაკავშიროთ წარწერების საკითხიც. მწერალი შეგვახსენებს, რომ „ენა თავისთავად სამეტყველო ინსტრუმენტია არა მარტო ლიტერატურისა და მეცნიერებისა, არამედ უწინარეს ყოვლისა, ყოფისა“ (VIII, 244); ამიტომ „ყოფისმიერი დაუდევრობა, ენის ხმარებაში უცილოდ ზეგავლენას ახდენს როგორც ხალხის ზეპირმეტყველებაზე, ისე მის მწერლობაზეც“ (იქვე)... ეს შესავალი იმისთვის სჭირდება, რომ წარწერებისა და აბრების მნიშვნელობაზე გვესაუბროს:

– „როცა ადამიანი თანამედროვე, კეთილმოწყობილ ქალაქში შედის, მას, უწინარესს ყოვლისა, თვალში ეცემა ამ ქალაქის აბრები. უცხოელები და ბავშვები ამ აბრების წარწერებზე სწავლობენ ენას“ (VIII, 244);

– „ნურავის ჰგონია, ეს უმნიშვნელო რამ იყოს. ამა თუ იმ ენის ასონიშნები გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობის ფაქტორებია, ვიდრე რომელიმე ახალი მოტორი“ (VIII, 244);

– „რუსთაველისა და გიორგი მთაწმინდელის, გურამიშვილისა და საბა ორბელიანის ენა მთელი გასული საუკუნის მანძილზე ტფილისიდან გაძევებული იყო. ჩვენი დედაქალაქის მთავარ ქუჩებზე არსად ჭაჭანებდნენ ქართული ასოები; მხოლოდ ძველი ტფილისის შუკებში თუ ნახავდით სადმე ცარ-

ცით ან ნახშირით დარაბებზე წაჩხაპნილ სიტყვებს: „პური“, „მეჭუდე“, „ხაში“ (VII, 242)...

– „არც ერთი დალაქი არ აკადრებდა თავის დუქნის დარაბას ქართულ წარწერას, სადალაქოებს ამშვენებდა მხოლოდ ფრანგული წარწერა“ (VIII, 242)...

– „უარგონისადმი მიდრეკილების ტენდენციები ყველაზე მეტად საცნაური ხდება ჩვენს საქალაქო ყოფაში“ (VIII, 245);

– „უარგონიზმი და კალკები ასასიათებს ხშირად ჩვენი თეატრებისა და კინოსტუდიის პლაკატებსა და აბრებს“ (VIII, 248)...

* * *

მართლწერისა და მართლუბნობის თემებზე საუბრისას კონსტანტინე გამსახურდია ყურადღებას ამასვილებს არაერთ სხვა საკითხზეც. ეს აქცენტები, მინიშნებები, შენიშვნები უაღრესად მნიშვნელოვნად გვეჩვენება, ამიტომაც მოვიყვანთ რამდენიმე შეგონებას:

– „ნაციონალური ენისათვის ლექსიკური კრედიტი როდია მავნებელი, არამედ სინტაქსური დაქვემდებარება“ (VIII, 257);

– „არც სინონიმური სიტყვების შემოტანაა სააუგო. ასეთი სიტყვა წარამარა სჭირდება პოეტს, მით უმეტეს რომანისტს, რადგანაც ფრაზის გრძელი პერიოდის მობრუნებისას ერთი და იგივე სიტყვის განმეორება ენის სილატაკის მომასწავებელია“ (VII, 449)...

– „გამოთქმის სიზუსტე და მატერიის ეკონომია მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ხალხის ენას ყალიბში მოაქცევს ოსტატი“ (VIII, 204)...

– „ზუსტი, ნორმებში ჩამოყალიბებული მეტყველება უფრო ნაკლებ სიტყვისა, დროისა, მელნისა და ქაღალდის და-

ხარჯვას მოითხოვს, ვიდრე უთავბოლო აჭია-ბაჭია“ (VIII, 204)...

* * *

დაბოლოს, სასვენი ნიშნების თაობაზე. კონსტანტინე გამსახურდია სასვენ ნიშანთა ტრადიციული სისტემისა და სტანდარტული წესების ერთგულია (ვთქვათ, განსხვავებით გრიგოლ რობაქიძისაგან...), თუმცა მას აქვს საინტერესო თვალსაზრისი – კრიტიკული დამოკიდებულება არსებული პუნქტუალური სისტემისადმი:

– „დეღანს საშინელი სისწრაფით ვწერ. შავში სასვენ ნიშნებს უნდა გადავახტე (მე მგონია: როცა ჩვენი მკითხველები კითხვასა და ნაწერის გაგებაში უკეთ გაიწაფებიან, სასვენი ნიშნები უნდა გავაძევოთ. ეს დიდ ღროს გვართმევს. ძველებს ხომ ჩვენებური სასვენი ნიშნები არ ჰქონიათ, მაინც კარგად წერდნენ...) (VI, 520)...

თუმცა მწერალს ამგვარი სურვილი აუსრულებელ ოცნებად ესახება: „პირადად მე არა მგონია ასეთ რამეს რომ მოვესწრო... – დასძენს იქვე... ამიტომაც კ. გამსახურდიას ნაწერებში ჩვეულებრივ სტანდარტული სისტემა გამოყენებული პუნქტუაციისა...

მინაწერი „ქებისათვის“:

კონსტანტინე გამსახურდიას არაერთი შენიშვნა, თვალსაზრისი კონკრეტულ ენობრივ საკითხზე შეიძლება სადავო იყოს; მეტიც – მიუღებელიც-მეთქი, ვთქვი ერთგან... მაგრამ მივანიშნე, რომ ჩემი მიზანი არ იყო ამ კონკრეტულ საკითხებზე „ჭეშმარიტების დადგენა“... მსურდა შეჩვენებინა, მწერალი კონსტანტინე გამსახურდია როგორ იდგა „ქართული ენის სადარაჯოზე“ და „ხმალშემართული როგორ იბრძოდა დედაენის სიწმინდისათვის, მის დასაცავად... როგორ ცდილობ-

და, კეთილი მაგალითი ყოფილიყო სხვათათვის... (კონკრეტული ენობრივი საკითხები ბევრიც გარკვეულია დღეს და გასარკვევს გაარკვევს მეცნიერება...)... ამიტომაც არ ვცდილვართ ამ კუთხით კომენტარებს თუ ჩვენი აზრის გამოთქმას...

მაგრამ როცა „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოაქვეყნა წერილი „ქართული სალიტერატურო ენის მეურნეობისათვის“ (1956 წ. № 25, 28), აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ საჭიროდ ჩათვალა იმავე გაზეთში ეპასუხა მწერლისათვის: „ობიექტური საზომისათვის სალიტერატურო ქართული ენის ნორმათა დადგენისას“ („ლიტერატურული გაზეთი“, 1956, 3 აგვისტო)... ეს არის აკადემიური პასუხი მწერლის მიერ საინტერესოდ დასმულ მრავალ საკითხზე... ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, არ მივიჩნით საჭიროდ არნ. ჩიქობავას საპასუხო წერილის შესახებ ვრცლად გვესაუბრა... დაინტერესებულ პირებს თავად შეუძლიათ გაეცნონ ამ წერილებს (კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. VI, 1963, გვ. 584-599); არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. V, 2011, გვ. 293-307)...

* * *

„გუტენბერგის გენიოსური გამოგონების მეოხებით დღეს ქართულად იბეჭდება მრავალზე მრავალი შრომა, სხვადასხვა მეცნიერების ათასგვარ საკითხებზე“... რამდენადაც დადებითი მოვლენაა ეს, იმდენად საზიფათო სალიტერატურო ენის სიწმინდის თვალსაზრისით: „იცემა აუარებელი ლექსიკური მასალა, სახელმძღვანელოები და ყველას თავისებური მართლწერა აქვს, ყველა ისე სწერს, როგორც მოეპრიანება“, – ჩიოდა კონსტანტინე გამსახურდია 1929 წელს.

ცხადია, მწერალს დარდის საფუძველს ყველა გამოცემა აძლევს, მაგრამ მთავარი მინც სკოლაა და სასკოლო სახელმძღვანელოები:

– „როცა ქართულ ენას და ქართულ სკოლას დიდი ასპარეზი გადაეშალა, სწორედ ჩვენი სკოლიდან უნდა დავიწყოთ უნიფიცირება ქართული მეტყველებისა და მისი აღბეჭდვა ჩვენი ახალი თაობის შემეცნებაში“ (VII, 493);

ძირითადი პრობლემა სახელმძღვანელოა, ბრძანებს მწერალი:

– „ზოგიერთი ავტორის უვიცობასა და ლაპსუსებს ზედ ემატება ასოთამწყობის და კორექტორის დაუდევრობის მიერ შენაძენი „სიკეთე“ (VIII, 253);

– „ეს დაუდევრობა წაახდენს ხოლმე სკოლებისათვის განკუთვნილ ქრესტომათიებს და ანაგვიანებს ქართულ ენას. ეს ამბავი ცალკეულ გამოცემებში ისე საზიფათო არაა, როგორც

სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში. ასეთი ქრესტომათია წლების განმავლობაში ავრცელებს ჟარგონს ნორჩი თაობის მეხსიერებაში“ (VIII, 253)...

და ეს ეხება სახელმძღვანელოსაც და სახელმძღვანელოში შეტანილ კონკრეტული მწერლის ნაწარმოებსაც. მწერალს კრიტიკის მიმართაც უჩნდება სამართლიანი პრეტენზია:

– „მე არ მახსოვს, ოდესმე წამეკითხოს გარჩევა რომელიმე მწერლისა, სადაც ჯეროვნად განხილული ყოფილიყო ენის თვალსაზრისითაც“ (VIII, 251)...

სახელმძღვანელო ერთი მხარეა პრობლემისა... ქართული ენის სწავლების საკითხი უნდა მოგვარდეს; თუ ეს სკოლაში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, არაა ასე უმაღლეს სასწავლებლებში:

– „უნდა ვიზრუნოთ ქართული ენის შესწავლისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში“ (VII, 470).

საგულისხმო ფაქტია ის, რომ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა XX ს-ის 80-90-იან წლებში; მაგრამ დღეს ისევ პრობლემად რჩება; ასე რომ, ისევე როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, სადღეისოა ეს ფიქრი მწერლისა...

საგანგებო ყურადღებას მიაპყრობს მწერალი სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილ მხატვრულ ნაწარმოებთა ენას:

– „ქართული ენის სახელმძღვანელოებში შეტანილი ლექსების სამი მეოთხედი ამოსაღებია ამ წიგნებიდან, რადგან ზოგი ესთეტიურად არასრულფასოვანი, უმწეო, უნიათო ქართულით დაწერილი პრიმიტიული შაირები არათუ არ უშველის მეტყველების კულტურის დიდ საქმეს, არამედ გემოვნებას ურყენის ჩვენს მოზარდ თაობას; ამახინჯებს მის ცნობიერებას და მეტყველებას“ (VII, 492).

ეს – სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი მხატვრული ნაწარმოებების ენის საკითხი – დიდად საჭირობოროტო პრობლემაა; აზრთა სხვადასხვაობის საფუძველი; კ. გამსახურდიას ჰქონდა მყარად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი, რასაც

თავის წერილებში არაერთგზის იმეორებდა სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა კუთხით:

– „ამ რამდენიმე წლის წინათ (1951 წელია – გ. გ.) გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ მე დავაყენე საკითხი იმ მწერლების ნაწერების შესწორებისა, რომელნიც კუთხურად უქცევენ თავიანთ გამირებისავით. იმასაც ვამბობდი, რომ ამის გარეშე შეუძლებელია-მეთქი სასკოლო მიზნებისათვის მათი გამოყენება. სიგნალი უშედეგოდ დარჩა, ვგულისხმობდი: გ. ერისთავს, ს. მგალობლიშვილს, ალ. არდაზიანს და სხვებს. ეგეც დარჩა ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“ (VII, 450);

– „ყოვლად დაუშვებელია ქრესტომათიაში შეუსწორებლად მოთავსება ჩვენი ლიტერატურის უახლესი წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რადგან ნორჩი თაობის ფაქიზ მესხიერებაში ყოველი ზადიც ისევე აღიბეჭდება, როგორც ხელზე საგოგმანებელი სამკაულები მხატვრული სიტყვისა“ (VIII, 255);

– „არც ერთი მწერლის ნაწარმოები შეუსწორებლად არ უნდა დაიბეჭდოს ახალი თაობისათვის განკუთვნილ ქრესტომათიაში. ჩვენთვის, ჩვენი კულტურისათვის, მთავარზე უმთავრესია არა თუ ამბიცია რომელიმე მწერლისა (სულ ერთია, ცოცხალი იქნება იგი თუ გარდაცვლილი); არამედ სიჯანსაღე ჩვენი კულტურისა და ჩვენი ენის სიფაქიზის შენარჩუნება“ (VIII, 252);

– „დღესაც იბეჭდება ასეთი მწერლების ქმნილებანი ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებში, ყოველივე შესწორების გარეშე. ასე რომ, ჩვენი ბავშვები ხშირად იბნევიან ამ ელემენტარული სწორების საქმეში“ (VII, 450);

– „მე დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ უსასტიკესი პედანტობით უნდა გავასწოროთ პიროვნების მიუხედავად ყოველგვარი მასალა, რომელიც განკუთვნილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებში დასაბეჭდად“ (VII, 492)...

სახელმძღვანელოები — ფართო და დიდი ხნის ინტერესია მწერლისა; წერს: — „მე შემთხვევა მქონდა ამ რამდენიმე წლის წინად გამოქვეყნებინა ქართული ენის სახელმძღვანელოთა მიმოხილვაო“ (1948 წ. იწერება ეს. სამწუხაროდ, ხსენებული მიმოხილვა ვერ ვნახე...); თუ როგორი „მიმოხილვა“ იქნებოდა, ნიმუში ამისა ამ წერილშიც არის წარმოდგენილი; წერს — „ჩემს წინაშე დევს მესამე კლასისისათვის განკუთვნილი „ქართული ენაო“ და შემდეგ მოდის საკმაოდ ვრცელი ნუსხა შეცდომების, „ცუდი ქართულით გამართული ფრაზები“ (VIII, 253-254); მწერლის მოწონებას იმსახურებს მხოლოდ „დედაენა“:

— „შედარებით კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს „დედაენა“, ჩვენი მარადის ტკბილად სახსენებელი იაკობ გოგებაშვილის პირვანდელი გამოცემის მიხედვით შედგენილი ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ“ (VIII, 253).

თუმცა შენიშვნებს ვერც „დედაენა“ „გადაურჩა“: „სამწუხაროდ, აქაც გაპარვიათ ზოგ-ზოგი შეცდომა“ და მოჰყავს მაგალითები (VIII, 253)... თუ როგორია ინტერესი მწერლისა, დამოკიდებულება ამ საქმისადმი, კარგად ჩანს „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული მსჯელობიდან; ბუნებრივია, ამ შემთხვევაში მწერალს წიგნის შინაარსობრივი მხარეც აინტერესებს (ფაქტების სიზუსტე, ინტერპრეტაცია, მოვლენათა შეფასება და სხვა); მაგრამ ყველა მონაკვეთს (სხვადასხვა ავტორისას) ცალ-ცალკე აძლევს შეფასებას ენობრივად და მიუთითებს ლაფსუსებსაც:

— „მარტივი, სადა ენითაა დაწერილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ნაკვეთი. ევზომ პოპულარული ენით მას არც ერთი თავისი ნაშრომი არ დაუწერია (...); კარგი იქნებოდა ორიოდუე უხერხული თქმის გასწორება ხსენებულ ნაკვეთში“ (VII, 425)...

— „პროფესორ ჯანაშიას ნაკვლევი ისეთი ჩინებული ქართულითაა დაწერილი, ოდნავ გვეჩოთირება შემდეგი უხერ-

ხული თქმანი და მოქცევანი ფრაზისა“ (VII, 424) (და მაგალითები...)...

– „პროფესორ ნიკო ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ნაკვეთებიც საკმაოდ კარგი ენითაა დაწერილი (...): ენობრივი თვალსაზრისით რომ განვიხილოთ ხსენებული ნაკვეთი, ზოგიერთი პასაჟი გაშალაშინებას მოითხოვს უთუოდ...“ (VII, 426-427)...

მაგრამ –

– „პროფესორ ხაჭაპურიძის ნაკვეთი უეჭველად უნდა ამოიღონ ამ კრებულიდან; იგი ქართული კულტურის პროფანაციად უნდა მივიჩნიოთ(...). შეწყნარებულია შემდეგი ლაფსუსები... ვიმეორებ, ხაჭაპურიძის ნაკვეთი, რომელიც ძალიან ცუდი თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებს, უეჭველად უნდა ამოიღონ იმ დიდმნიშვნელოვანი კრებულიდან, რომელსაც მრავალი ათასი მოსწავლე წაიკითხავს“ (VII, 427-430)...

სხვათაშორის, საისტორიო პროზის ისეთი ნიმუში, როგორცაა პლატონ იოსელიანის „გიორგი მეცამეტის ცხოვრება“, ასევე იწვევს კ. გამსახურდიას ინტერესს ენობრივი თვალსაზრისით:

– „ენის გამო უნდა ითქვას, იოანე ბატონიშვილის შემდეგ ასეთი ენა არავის მოეპოვება მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პროზაში. სამწუხაროდ, ავტორს აქაიქ ხორკლიანი სტილი აქვს, მდიდარი ლექსიკონით, ალაგ-ალაგ უეცარი ბარბარიზმებით შერყვნილი. საოცარია, ასეთ დიდ მცოდნეს ქართული ენისას ერთობლივი მართლწერა არა აქვს“ (VI, 662).

სწორედ ასეთ შემთხვევაზე ოცნებობდა ილია ჭავჭავაძე: „ნეტა ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის მოყვარეო“...

და კიდევ ერთი – ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირობო-როტო საკითხი – ქართული კალიგრაფია. ეს ის უძვირფასესი ტრადიცია იყო, რომელიც თვალსა და ხელს შუა ქრება, იკარგება, უფასურდება... გავისხენოთ ზემოთ კ. გამსახურდიას დანანება: „ეს გასაოცარი კალიგრაფია არაფრითა ჰგავს ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ჯღაბნას“ (VII, 280)... სკოლასა და სახელმძღვანელოებზე საუბრისას კალიგრაფიის თემის შემოტანას მსჯელობაში ნათელი დანიშნულება აქვს – სასწავლო პროცესში გაიაზრონ ეს მოვლენა... მაღლიერება წინაპართა მიმართ და ნაგულისხმევი საყვედური თანამედროვეთა „დაუდევრობის“ გამო.

– „კარგი იქნებოდა, ჩვენი ზოგ-ზოგი რედაქტორი და მწერალი ხშირად შეივლიდეს ჩვენს მუზეუმებში და ნახავდეს, თუ როგორის ყურადღებით ეკიდებოდნენ ძველი გადაშენებულები ქართული ენობრივი კულტურის ძეგლებს. რა გასაოცარი სიყვარულით ეპყრობოდნენ ისინი გადასაწერ ტექსტს, როგორ ელოლიავებოდნენ ისინი თვით დამწერლობას ქართული ასოებისას“ (VIII, 252).

აი, ეს ტრადიცია იკარგება, უფერულდება... სადღეისოა ეს პრობლემაც და ყურადსაღები... დღეს გამართული თითო-ოროლა კონკურსი, არცთუ სისტემური, კალიგრაფიაში პრობლემას ვერ მოხსნის... სკოლის მესვეურნი უნდა დაფიქრდნენ ამ თემაზე...

ისე კი, თითქმის საუკუნის წინათ დასმული პრობლემა რომ დღესაც აქტუალურია, ვერ არის საიმედო მდგომარეობა... დიდ მწერალს დიდი მადლობა ამ პრობლემათა წარმოჩენისა და გააქტიურებისათვის...

იქნებ დღესაც დაგვეხმაროს კონსტანტინე გამსახურდია ამ პრობლემის მოგვარებაში...

* * *

ქართული სალიტერატურო ენა, მისი ბედი, გზა-სავალი, მისი ბედისმწერალი... — ეს არის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით ცხოვრებაში უმთავრესი საფიქრალი... წერდა: „ქართული ენის სადარაჯოზე დგომისათვის მე მუდამ მზადა ვარო“ და სხვებსაც მოუწოდებდა: „ჩვენ — ქართველმა მწერლებმა ხმალი უნდა ვიშიშვლოთ მშობლიური ენის თავანკარობის დასაცავადო“ (VII, 564)...

ბრძოლაა საჭირო „მშობლიური ენის განვრცობისა და გაძლიერებისათვის“; და ეს ბრძოლა „ისეთივე დიდი და საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი ქვეყნისა“ (VI, 159)...

სწორედ ასეთი მებრძოლების წყალობით შეინარჩუნა ჩვენმა ენამ თვითმყოფადობა, დამოუკიდებელი სახე... კ. გამსახურდიას აზრით, აქ მოქმედებდა ერთი კანონზომიერებაც: ძნელბედობის უკამს

— „მკლავმაგარი კაცი მოვარდება მწერლობაში და სამი თაობის ჭაპანს ასწევს... ეს მკლავმაგარი კაცი გახლავთ ეროვნული ენერჯის უცაბედი ერუპციის გამოვლინება ერთი ორი პიროვნების სახით“ (VI, 595)...

კ. გამსახურდია ცდილობს აღადგინოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი და

გამოკვეთოს „მკლავმაგარ კაცთა“ როლი და მნიშვნელობა ამ მაგისტრალური ხაზის განვითარებასა და განმტკიცებაში...

რა არის ქართული ენის მაგისტრალური ხაზი?

— ქართული ენის მაგისტრალური ხაზი — ეს არის „გზა, რომელიც გაიარა ქართულმა სალიტერატურო ენამ იაკობ ცურტაველიდან მოაქჟამომდე“ (VI, 594)...

ნაზგასმით უნდა ითქვას, რომ კ. გამსახურდიასათვის ქართული სალიტერატურო ენა არის ერთიანი, მთლიანი (მრავალსაუკუნოვანი ერთობა): „ისეთი დიდი ისტორიის მქონე ენისათვის, როგორცაა ქართული, „ძველი და ახალი“ პირობითი ცნებაც რომ არ იყოს, ძნელად გასამიჯნავია, რომელია „ძველი“ და რომელი „ახალი“ (VI, 593). საინტერესო არგუმენტი აქვს მწერალს ამ დასკვნის გასაკეთებლად: „ავიღოთ თუნდაც „კაცი“, „ასული“; „წული“, „პაპა“, „მამა“, „მიწა“, „ცა“, „წყალი“, „სული“, „ღმერთი“, „ხე“, „ღვინო“, „მახვილი“, „ქვა“, მობრძანდით და დაათარიღეთ, რა ხნისაა ეს სიტყვები“ (VI, 593). მწერლის ლოგიკა უტყუარია... ეს მსჯელობა გრძელდება: „ყველა ესენი ნახმარია ქართული ენის უძველეს და უბრწყინვალეს ძეგლებში. მე დავსძენდი, მათ ისეთივე ხანდაზმულობა აქვთ, როგორც ქართულ ენას. მაშ სხვა სიტყვებმა რა დააშავეს?“ (იქვე)... ამგვარად: მწერლის ამ უტყუარი ლოგიკით ქართული სალიტერატურო ენა ერთიანი, მთლიანია „ცურტაველიდან მოაქჟამომდე“... ამ გზაზე ჩანან გამოკვეთილი ფიგურები, მწერლები („მკლავმაგარი კაცები“), რომლებიც აძლიერებენ, განამტკიცებენ და განავითარებენ ქართულ სალიტერატურო ენას.

კ. გამსახურდია აკეთებს რამდენიმე საინტერესო შენიშვნას ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზთან მიმართებით.

ამ გზაზე განსაკუთრებით გამოკვეთს გიორგი მერჩულის როლსა და მნიშვნელობას... გ. მერჩულე იმდენად ფასეული

მწერალი კ. გამსახურდიასათვის, რომ ერთხანად ასეთი ლოზუნგიც წამოაყენა, როგორც ითქვა, „უკან გიორგი მერჩული-საკენ“:

– „მე შევიმუშავე მთელი თეორია, რომლის მიხედვით ქართული ენა უნდა შეგვებრუნებინა მის პირველ საწყისებისაკენ, რათა ჩვენს ენას ახალი სასიცოცხლო ძალები მოეხვეჭა... 1931-1934 წლების მანძილზე მე ამკარად გამოვდიოდი მწერალთა პლენუმებზე ასეთი ლოზუნგით: უკან დავიხიოთ გიორგი მერჩულისაკენ“ (VII, 445).

ამის გამო მ. ჯავახიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა თანამოკალმე: „გამსახურდიამ, ორი წელიწადია, მერჩულის პროზა თავის დროშად გამოაცხადა და ჩვენც მოგვიწოდებს, მოგვეყვი-თო“...

კ. გამსახურდია წერს: თუ თვალს გავადევნებთ ამ ერთიან მაგისტრალურ ხაზს, აშკარაა, რომ „დღევანდელი ქართველი იოლად გაიგებს გ. მერჩულის, იაკობ ხუცესის ენას“... (...). მაგრამ ეს არ არის „სასიხარულო მოვლენა“; „ეს უფრო იმის მომასწავებელია, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში სათანადოდ არ განვითარებულა, არ გაზრდილა, ან ნელის ნაბიჯით მიიწევდა წინ მისი განვითარება“ (VIII, 206).

ეს დასკვნა შეიძლება ვერ გავიზიაროთ, მაგრამ ახლა ამაზე ნუ ვიდავებთ... ამჯერად გავყვეთ მწერალს ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზზე...

მწერალი ხშირად იმეორებს, რომ არსებობს „ერთი მაგისტრალური ხაზი, ეს ხაზი არის რუსთაველის, მერჩულის, გურამიშვილის, ორბელიანების საერთოდ და ამ ხაზით მივდივართ ჩვენ იმიტომ, რომ კუთხური ქართულის და პროვინციული ქართული ლიტერატურის ამბავი უკვე გათავდა“ (VII, 400)...

ამ მაგისტრალურ ხაზზე ერთ-ერთი უმთავრესი მწვერვალი შოთა რუსთაველია:

– „რუსთაველი იყო არა მარტო ფუძემდებელი ქართული პოეზიისა, არამედ ქართული პოეზიის უწარჩინებულისი მამფალი, არა მარტო უბადლო მეტრი დიდოსტატობისა, არამედ დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და შეუმუსვრელი დუღაბი ქართული ენის კულტურისა“ (VI, 44). აქ და, საერთოდ, გამსახურდიას პუბლიცისტიკაში კარგად არის დანახული რუსთაველის, როგორც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორის, როლი...

ღირსსაცნობია კ. გამსახურდიასეული ანალიზი XVIII საუკუნის ენობრივი რეალობისა.

კ. გამსახურდია ანტონ კათალიკოსის ენას არ განიხილავს ქართული სალიტერატურო ენის ერთიანი მაგისტრალური ხაზის ნაწილად. ანტონის ენა განშტოებაა, უფრო სწორად, პარალელური ვარიანტი მაგისტრალური ხაზისა:

– „ანტონ კათალიკოსი პეტრიწონელის ენას წაეპოტინა და ამან გამოიწვიაო ქართული ენის კრიზისი“ (VI, 595). მწერალი ამ შემთხვევაში არნ. ჩიქობავასეულ აზრს ემყარება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის წინასიტყვაობაში გამოთქმულს)...

მოვეუსმინოთ მსჯელობის გავრძელებას:

– „საერთოდ, ანტონ კათალიკოსის და მისი „სკოლის“ მოღვაწეობა არ წარმოადგენს არავითარ გარდამავალ მარჯვალს ქართული ენის განვითარების ისტორიაში; იგი არავითარი მწერალი არ ყოფილა, ასე რომ განცხადება იმისა, რომ ანტონ კათალიკოსის და მისი „სკოლის“ ხელში ყოფილიყოს თითქოს ქართული ენის განვითარება მთელი საუკუნის განმავლობაში, ჩვენის აზრით, გადაჭარბებული ჰიპოთეზაა“ (VI, 505).

კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ „დიდზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ანტონ კათალიკოსს და მისი „თეორიების“ განხილვას“ (იგულისხმება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) და თვლის, რომ იგი ამას არ იმსახურებს... რადგანაც (როგორც ვთქვით) ანტონი ძირითადად მაგისტრალურ ხაზს აცდენილი მწიგნობარია...

XVIII საუკუნეში სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზი არც გაწყვეტილა და არც გამრუდებულა (როგორც მიაჩნია ზოგ ავტორს)... ამ დროის საქართველოში ამ მაგისტრალური ხაზის გამგრძელებლები არიან სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი:

– „საბამ ხელახლა აღუძრა ქართველობას დიდი და ბრწყინვალე ქართული ენისათვის ოცნება. მე ვიტყვოდი, არა მარტო ოცნება, ერთგვარი ანდაზა, თარგი შექმნა ხელახლა მისი“ (VIII, 231).

– „ჰოი, როგორ ბრწყინავს მისი წამებული ცხოვრება და სპეტაკი წვერი გაჩანაგებული, ენამღვრეული საქართველოს მწუხარე ფონზე“ (იქვე).

– „რადგან მშობლიური ენის გავრცობა და გაძლიერება ისეთივე დიდი და საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი ქვეყნისა, ამიტომაც ვიდრე ქართველი ხალხი და მისი ენა იარსებებს ამ მიწის პირზე, საბა ორბელიანი შერაცხული იქნება, როგორც ღვაწლმოსილი და მხცითმოსილი მამა სამშობლოსა“ (VI, 153)...

– „ის რაც პროზისათვის საბამ გააკეთა, პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელიც ქართული ენის განახლების საკითხებში წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ჩვენი დიდი ვაჟასი, რომელმაც მართებულად უწოდა დავითს „პაპა“ (VI, 595);

– „დავითი და საბა, ყოველი მათგანი დიდი პაპა არა მარტო ილიასი, აკაკისა და ვაჟასი, ყოველი ჩვენგანისაც. ამ ორმა გოლიათმა სვეგამწარებული საქართველოს უმთვარო და-

მეში გახსნეს დამრეტაზე მიმდგარი წყაროსთვალის „დიდებულისა ქართულისა ენისა“ (VI, 595).

– „დიდი საქმე გააკეთა დავით გურამიშვილმა, ხალხური ინტონაცია რომ მისცა ქართულ ენას თავის „ქაცვია მწყემსში“, იგივე ქნა ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნეში“ (VI, 596).

მაშ, ასე: იაკობ ხუცესი, მერჩულე, რუსთაველი, საბა, გურამიშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა... ესენი არიან ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზის მწვერვალები V საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით...

ცხადია, ამ ხაზში იგულისხმება ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი და ზოგი სხვაც (სხვათაშორის, ერთგან წერდა კ. გამსახურდია, რომ

– „ენობრივ ფენომენს დიდი მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ვამტკიცებ, რომ კრიგოლ ორბელიანი უფრო ღრმა მცოდნე იყო ქართული ენისა, ვიდრე ილია და აკაკი“ (VII, 373)...

არც მთლად მკვეთრად, მაგრამ მაინც გამოიკვეთება კ. გამსახურდიას მსჯელობაში აზრი იმის შესახებ, რომ გ. ერისთავის ქართული გარკვეულწილად აცდენილია მთავარ მაგისტრალურ ხაზს:

– „არც გიორგი ერისთავის კომედიების ენა შედის მაინც და მაინც ქართული სალიტერატურო ენის ფონდში“ (VI, 598).

გიორგი ერისთავთან კ. გამსახურდია ზურაბ ანტონოვს დააწყვილებს:

– „რეცენზენტს აინტერესებს, თუ ვის ვვულისხმობ მე, როცა გასული საუკუნის ზოგიერთ მწერალს ვუხსენებ „აღრუულ, ბაზრულ მეტყველებას“, ესეც არაერთხელ მითქვამს, როგორც ტრიბუნდანი, ისე პრესაში: ანტონოვს, გ. ერისთავს და ძმათა მათთა“ (VII, 318).

აქ საინტერესო დასკვნას აკეთებს: გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის ენობრივმა პოზიციამ სალიტერატურო ენის მაგისტრალურ საზზე გავლენა ვერ მოახდინა იმიტომ, რომ

– „უეჭველია, ნიკო ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას ზეგავლენა რომ არ გადაფოფრებოდა ქართულ ენას, ჩვენი ეპოქის მოქალაქენიც გიორგი ერისთავის კომედიების ჟარგონით განაგრძობდნენ ლაპარაკსა და წერას“ (VIII, 248)...

ხალხოსნების ენის მიმართაც აქვს პრეტენზიები კ. გამსახურდიას; მიხეილ ჯავახიშვილს მიმართავს:

– „თქვენ მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ცდილობთ შემოიტანოთ მეცხრამეტე საუკუნის ხალხოსნების ნარჩენი“...

ამ აზრის გაგრძელება ჩანს ის პრეტენზია კ. გამსახურდიასი მ. ჯავახიშვილის მიმართ, „ქართლურ პროვინციალიზმს“ რომ „სდებს ბრალად“... ამ „ბრალდებაში“ სხვებიც მოჰყვნენ:

– „არ ვარგა სამტრედიულ-ხონურ, იმერულ, ქუთათურ დიალექტებზე წერა – არ ვარგა ნ. ლორთქიფანიძის და ჩვენი საყვარელი დ. კლდიაშვილის გეზი, არც ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის, მ. ჯავახიშვილის „ქართლური“ პარტიკულარიზმი...“

ეს ამონარიდები მოყვანილი გვაქვს ქეთევან ჯავახიშვილის წიგნიდან „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება“ (1991 წ.). ცხადია, ეს თვალსაზრისი არ გაუზიარებიათ... მ. ჯავახიშვილთან პოლემიკაზე როცა ვისაუბრებთ (გვ. 110-125), აღვნიშნავთ კიდევ... აქ ერთი საინტერესო ამონარიდსაც მოვიყვანთ:

– „წარმოსადგენია, ზემოხსენებულნი მამამთავარნი ენისა საკუთარი კულტურული დიალექტიდან რომ მისდგომოდნენ სიტყვათქმნადობას, რა დუხჭირი ორლობე იქნებოდა ენა ქართული“ (VIII, 212).

როცა ამ თემაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიცია გავგახსენდება. ვაჟა-ფშაველა კ. გა-

მსახურდიას შემოქმედებაში ცალკე თემაა და საგანგებოდ შე-
ვჩერდებით მასზე. ცალკე „ქებას“ მიუძღვნით (გვ. 126...)... აქ
ბევრი საინტერესო სათქმელი მოიყრის თავს...

კ. გამსახურდია მიიჩნევს, რომ სალიტერატურო ქართუ-
ლი ენის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი იმ პოლემიკებმა,
რომლებიც XIX საუკუნეში გაიმართა ჩვენს დიდ მოღვაწეთა
შორის. სამწუხარო ის არის, რომ კ. გამსახურდია იაკობ გო-
გებაშვილის როლს ვერ ხედავს ამ დიდ საქმეში. ჩვენ აქ
მხედველობაში გვაქვს პოლემიკა აკაკისა და იაკობ გოგებაშ-
ვილს შორის, რომელშიც გაზეთ „კვალის“ მთელი „რაზმი“
ჩაერთო (გ. წერეთელი და სხვანი...). საერთოდ კი ი. გოგებაშ-
ვილის მიმართ პატივისცემით რომ არის განმსჭვალული, ეს
უკვე აღვნიშნეთ: სახელმძღვანელოებზე საუბრისას კ. გამსა-
ხურდია დადებითად აფასებდა „დედაენას“ – „ჩვენი მარადის
ტკბილად სახსენებელი იაკობ გოგებაშვილის პირვანდელი
გამოცემის მიხედვით შედგენილიო“...

– „ძრავალ თაობათათვის საგულისხმოდ დარჩება შერკი-
ნება ჩვენი დიდი პოეტებისა: ერთი მხრივ, გრიგოლ ორბელი-
ანსა და ილია ჭავჭავაძეს შორის, ხოლო მეორე მხრივ –
ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის.

ბოლოს, ჩვენი ქართული პოეზიის ტკბილხმოვანი ორფე-
ოსი წაეკიდა ჩვენს დიდ ვაჟას და ასეთი რამ აკადრა: „ენას
გიწუნებო ფშაველო“ (VIII, 249).

ამ პაექრობათა გახსენებისას კონსტანტინე გამსახურდიამ
თავისი ნატვრა გაამჟღავნა:

– „ჩვენი თანადროული მწერლობაც ასევე გულმოდგი-
ნედ უნდა ეკიდებოდეს ენის სიწმინდისათვის ბრძოლასო“
(VIII, 250)...

თავად აღასრულებდა კიდევაც ამ ნატვრას...

ასე აქვს წარმოდგენილი კონსტანტინე გამსახურდიას
ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალუ-

რი საზი თავისი განშტოებებითა თუ წარმოქმნილი პრობლემა-
ბით... ძირითადად სადავო XIX საუკუნის მოვლენათა შეფასე-
ბა გახდა (გავიხსენოთ თუნდაც პოლემიკა მიხეილ ჯავახიშ-
ვილთან...)...

* * *

მსჯელობა რომ დამაჯერებელი იყოს, ქართული სალი-
ტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური საზის კ. გა-
მსახურდიასეული სურათი რომ ნათლად აღვიქვათ, მწერალი
ცდილობს განმარტოს: – რა არის ლიტერატურა, ვინ არის
ჭეშმარიტი მწერალი, რა არის მწერლური გმირობა, ვისა
აქვს უფლება „ენის საკითხებში ჩარევისა“, რა არის მწერლი-
სათვის ინდივიდუალური მახასიათებელი“... მოვეუსმინოთ კონ-
სტანტინე გამსახურდიას (კომენტარების გარეშე...):

– „ლიტერატურა რეგულატორია ხალხის მეტყველები-
სა“ (VIII, 202);

– „მწერალმა საკუთარი მეტყველების ტვიფარი უნდა
აღბეჭდოს საუკუნის მეტყველებაზე“ (VIII, 214);

– „კალმისმიერი გმირობა ისევეა საჭირო, როგორც
ხმლისმიერი“ (VI, 316);

– „დიდად შემცდარია, ვისაც ჰგონია, რომ პოეტი მარ-
ტო ენის კულტურის განმაახლებელი იყოს. უთუოდ ყოველი
ახალი პოეტი ენის განმაახლებელია, რადგანაც ენა, არამც თუ
საშუალებაა მისი გამოთქმისა, ასე ვთქვათ, ორგანო მისი მე-
ტყველებისა, არამედ ენა თვით მიზანია პოეტისათვის“ (VI,
450);

– „პოეტის ენა და იურისტის ლოგიკა მუდამ სხვადას-
ხვა ნაპირზე დარჩნენ“ (VI, 362);

– „არასოდეს არავინ გამხდარა ოსტატი, ვინც კარგი
ოსტატის შეგირდი არ ყოფილა, მაგრამ არც ის გახდება ოს-

ტატი, ვინც თავის ოსტატის ნათქვამს თუთიყუშივით იმეორებს“ (VI, 604);

– „მე მიმაჩნია განუკითხველობად ენის საკითხებში ისეთი პირების ჩარევა, რომელნიც საამისოდ მოწოდებულნიც არ არიან, რადგან ენის განვითარებისათვის გზის ჩვენება უპირატესად შემომქმედის საქმე ყოფილა მუდამაჲმს“ (VIII, 214).

შენიშვნები მწერლის ინდივიდუალური სტილის შესახებ:

– „ერთმა ჭკვიანმა კაცმა სთქვა:

ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვა თავისუფალი ლაპარაკია, ყოველივე ნაწერი კი – ძალდატანებაა ენის მიმართ.

მე ვიტყვოდი: ყოველივე წერაში შეფარებულია ავტორის ენისა და სტილის თავზე მოხვევა მკითხველისადმი. ცხადია, აქ საჭიროა უდიდესი ზომიერება და სიფრთხილე“ (VII, 446);

– „მწერლის ინდივიდუალური სტილი იქ იწყება, სადაც ორდინალურობის გაცვეთილ კლიშეებს წერტილი ესმის“ (VII, 388);

– „არაფერი ისე არ ახასიათებს მწერალსა და მის სტილს, როგორც სათაური; სათაური ჰკავს მეომრის მიერ პირველ მოქნევას ხმლისას“ (VI, 145-146);

– „რაც შეეხება ჩემი სტილის „გაპრანჭულობის“ ამბავს... მე არ მესმის, რას ეძახიან გაპრანჭულობას, მანერიანობას; არც ერთი მაგალითი ჯერ არავის მოუყვანია. თუ იმ დონდლო, უხატო, უსახო, მოშვებულ ენას ხშირად პროვინციალურ მანერას წერისას, რომელიც ზოგიერთ კალმოსანს სჩვევია, ჩემს სტილს დაუპირისპირებთ და გაპრანჭულად მოგეჩვენებათ, ეს ჩემი ბრალი არ არის“ (VII, 338);

– „უმთავრესი, რაც მწერალს ახასიათებს, ეს არის არა იდეები, არამედ სტილი“ (VI, 241);

– „თავათ მასალა თხრობისა იძლევა სტილის, ინტონაციის გასაღებს, ყოველი დიდი მწერლის მეტყველებას მრავალკიდოვანი ინტონაცია აქვს“ (VI, 596);

ქართული სალიტერატურო ენის ფართო, მაგრამ საკმაოდ ხიფათიან და თავგადასავლებით სავსე გზაზე თავჩენილ მწვერვალებს სხვადასხვა ეპითეტით მოიხსენიებს კონსტანტინე გამსახურდია სხვადასხვაგან – „წყაროსთავი“, „მკლავმაგარი კაცი“... თუ ვინმეზე ითქმის, „ძნელბედობის ჟამს მოვარდნილი მკლავ-მაგარი კაცი იყო ჩვენს მწერლობაში“, ილია ჭავჭავაძეზე ითქმის... გაიხსენებს ერთ წერილში, როგორ შეიტყო ილიას გარდაცვალება და „იმ საღამოს ფიცი დავდევი: მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მებრძოლა ილიას მკვლელების წინააღმდეგ“ (VI, 430)... და კ. გამსახურდიას ბრძოლა ქართული ენის გადარჩენისათვის, ილიას ღვაწლის წარმოჩენისათვის ამ ფიცის აღსრულების მცდელობაა...

ილია ჭავჭავაძის პიროვნების (და არა მხოლოდ როგორც მწერლის) როლის წარმოსაჩენად საქართველოსა და ქართულ ენის ისტორიაში რამდენიმე ამონარიდს მოვიყვან:

– „ილია ჭავჭავაძის პიროვნება მადლია საქართველოს გასული საუკუნის გაუზარელ ისტორიაში“ (VII, 235);

– „ილია ჭავჭავაძე რომ დიდი მწერალი იყო, ეს გარკვეულია ცაში“ (VII, 457);

– „ილია ჭავჭავაძე მარტოოდენ დიდი მწერალი როდი იყო, ამგვარი ადამიანები შორეულ ეპოქებში ეროვნებებს აფუძნებდნენ, აღფაბეტებს გამოიგონებდნენ ხოლმე, ზოგს ერის ბელადი ერქვა, ზოგს – წინასწარმეტყველი“ (VI, 431);

– „ქართული ენის, ქართული ისტორიის, ქართველი ხალხის ზნეთა და ჩვევათა დიდი მცნობი, ჩვენი კულტურის თავდადებული მოჭირნახულე, ილია ჭავჭავაძე, იყო ნამდვილი Pater Patriae, რომელმაც თავისი დიდი ენერგია და გაწამებუ-

ლი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა მამულისადმი სიყვარულს“ (VII, 443)...

– „ილია იყო ჩვენი კულტურის, ჩვენი ერისა და ჩვენი ენის განახლებისა და განათლების დიდი მესაყვირე“ (VI, 433)...

– „ქართული ენის სიწმინდისთვის მოლაშქრეთა შორის ყველაზე უფრო ენერგიული იყო ილია ჭავჭავაძე“ (VI, 602);

– „ენის საკითხებშიაც ილია ჭავჭავაძე თანმიმდევრულად აგრძელებს იმ გენერალურ ხაზს, რომლის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე პოეზია“ (VI, 440)...

– „ენის საკითხებში ილია ჭავჭავაძეს ებრძოდნენ ისეთი პირები, რომელნიც ამაოდ ატარებდნენ მწერლის სახელს, თუნდაც ბარბარე ჯორჯაძე, საკმაოდ გაუნათლებელი მწიგნობარი“ (VI, 602).

აქ ერთ საინტერესო ფაქტს მივაპყრობ ყურადღებას: კ. გამსახურდიას მიაჩნია, რომ გრიგოლ ორბელიანის არც პოეზია და არც პროზიცია ქართული ენისადმი ღირსეულად არ არის შეფასებული; თავისთავად, ილია რომ მისი გზის გამგრძელებლად მიაჩნია, ესეც საგულისხმოა; მოვუსმინოთ:

– „ილიასა და მის თაობას თავს დაესხა გრიგოლ ორბელიანი და უწოდა „თქვენ უსწავლელნო, ცრუ რუსთაველნო“... მე ვფიქრობ, ის თაობა, რომელიც გრიგოლ ორბელიანის შემდეგ მოვიდა საქართველოში, პირველ ხანებში, ყოველ შემთხვევაში ქართულში მაინც უსწავლელობას ამჟღავნებდა მართლაც... ენობრივ ფენომენს დიდი მნიშვნელობა აქვს, რის გამოც ვამტკიცებ, რომ გრიგოლ ორბელიანი უფრო ღრმა მცოდნე იყო ქართული ენისა, ვიდრე ილია და აკაკი. იგი მართალი იყო წყალწყალა ლექსების მიმართ, რომლებიც მაშინ იბეჭდებოდა ზოგიერთ ჟურნალში“ (VII, 372-373)...

– „გრ. ორბელიანი, ჩვენი აზრით, უაღრესად კლასიკური ენის კონსექვენტური მიმდევარია. მე დავსძენდი, იგი იყო საერთო ქართულის უწარჩინებულესი მესიტყვე“ (VI, 663).

– „გრ. ორბელიანის მშვენიერი დარბაისლური ქართული“... (იქვე)...

– „ცხადია, გრ. ორბელიანს, ბრწყინვალე მოქართულეს, არ მოსწონდა ზოგი ლინსგადაღმელი ჟურნალისტების მიერ შემოტანილი „აქანაი-მაქანაის“ ქართული“ (VI, 603).

ვიძეორებთ: გრიგოლ ორბელიანის დამსახურებაზე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში კ. გამსახურდიას ხედვა ობიექტურია... დიახ, ის იყო მნიშვნელოვანი ფიგურა და გარკვეულწილად საფუძველი ილიასა და მისი თაობის ენობრივი პოზიციისა – ასე ფიქრობს კ. გამსახურდია და ვეთანხმებით, მაგრამ

– „ილია რომ იქ გაჩერებულიყო, სადაც ნიკო ბარათაშვილი და გრ. ორბელიანი შესდგნენ, ქართული ენა ჩვენამდის ვერ მოაღწევდა“ (VIII, 215)...

როცა კ. გამსახურდია ილია ჭავჭავაძეზე მსჯელობს, ისეთი განცდა გეუფლება, რომ აკაკი წერეთელსაც გულისხმობს იქვე... ჩამოთვლის დროს ეს ჩვეულებრივ ასეა: ილია, აკაკი... ერთგან განმარტავს:

– „რაიც შეეხება ჩემს პოზიციას ილიასა და აკაკის მიმართ, აქაც უნდა ვაღიარო, რომ მე მათ ენობრივ პოზიციას ჯეროვნად არ ვაფასებდი, მიუხედავად იმ დიდი თაყვანისცემისა, რომელიც მე ჩემს წერილებში, რომანებში და ნოველებში არაერთხელ გამომიხატავს ისეთ დროებშიაც, როცა მათ „ფეოდალებს“ უწოდებდნენ“ (VII, 450)...

ეს საკმაოდ დიდი და რთული თემაა კ. გამსახურდიას პუბლიცისტიკაში... ჩვენ ამჯერად გვაინტერესებდა, ვის ანიჭებდა უპირატესობას კონსტანტინე გამსახურდია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზზე და რატომ... დასკვნასავით უღერს ეს აზრი მწერლისა:

– „ილიამ ქართულ ენას შესძინა ქართლური ბუნების სიღარბაისლე, ხოლო აკაკიმ იმერულის სილბო. XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშავურის, მეგრულისა და გურულის ენობრივი ელემენტების სრული სინთეზი. აი, ეს იქნება იდეალური ლიტერატურული ქართული!“ (VIII, 207).

ეს იმათ შესახებ (საკმაოდ მოკლედ და სქემატურად), ვისაც მიიჩნევს კ. გამსახურდია დიდ წინამორბედებად... ზოგიერთი მისი თანადროული მწერლის შესახებ გვქონდა საუბარი (დ. შენგელაია, კ. ჭიჭინაძე, ბ. ულენტი, გ. რობაქიძე...), რა თქმა უნდა, ასევე სქემატურად... ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით ვაჟა-ფშაველაზე, მიხეილ ჯავახიშვილზე... ახლა ორიოდე ამონარიდი მის თანადროულ თუ მომდევნო თაობის მწერლებზე... აღნიშნავს ერთგან:

– „მე მუდამ მაზარებს ყოველი მწერლის წარმატება და ეს რომ ლიტონი სიტყვა არაა, ამის საბუთად ისიც კმარა, რომ ბარე ოცდაათი თანამედროვე მწერლისათვის მითქვამს საქებარი სიტყვა არა სუფრაზე, არამედ საჯაროდ და პრესაში“ (VII, 406). ჩვენი მიზანი – სალიტერატურო ენისადმი მათი დამოკიდებულების კ. გამსახურდიასეული შეფასებაა, ხოტბითაც და შენიშვნებით...

გალაკტიონ ტაბიძე:

– „იგი ვირტუოზია არა მარტო ლექსისა, ქართული ენის დიდი შემომქმედი. ქართული ენა მის ხელში მორჩილია როგორც გადნობილი ცვილი... არსად იგი ძალდატანებას არ ატანს ენას...“

გოეთე ბრძანებდა: მწერლობა, პოეზია ენის მიმართ ძალდატანება არისო. გალაკტიონი ამას არ ჩადის. იგი სავსებით დამოუკიდებელია ჩვენი კლასიკოსებისაგან“ (VI, 621);

– „გალაკტიონის პოეზია, ისე როგორც რუსთაველისა, სამწუხაროდ, კავკასიონს გადალმა ვერ გადასცდა, მაგრამ ისინი ისე ღრმად არიან შესული ქართული ენის უსიერ ტვერში,

მეორე რუსთაველი და გალაკტიონია საჭირო, რომ აქედან გამოიყვანოს“ (VI, 681)...

კ. გამსახურდია საკმაოდ ვრცელ წერილს უძღვნის ირაკლი აბაშიძეს და დასკვნასავით დაწერს:

– „პალესტინური ლექსების ციკლში მრავალი მარგალიტია, მაგრამ ჩემს გულს ყველაზე მეტად მოხვდა სავსებით იშვიათი, დიდი ოპტიმიზმის სხივით გამტფარი „ხმა კატამონთან“:

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“...

ასეთი ომახიანი, ვაჟკაცური აპოთეოზი ამშვენებს და აგვირგვინებს ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე ლექსების ამ კრებულს“ (VII, 230)...

სიმონ ჩიქოვანზე:

– „ქართული სიტყვაკაზმული და სიტყვაწყობილი მწერლობა იზრდება... სიმონ ჩიქოვანი ამ სიტყვაპარღვიანი ახალი თაობის წარმომადგენელია“ (VI, 684)...

– „სიმონი გამოედევნა ნამეტნავად სიტყვის ფონეტიკურ მხარეს. მაგრამ სიტყვას აქვს ხორცი და სული... სიმონს აქვს ამ წიგნის ნახევარში დიდი დაუდევრობა ენის მიმართ...“

მიუხედავად ამისა, ჩემი შეფასება ამ წიგნისა ასეთია: სიმონ ჩიქოვანმა მშვიდობით გაიარა ეს გზა, სიტყვების სალტე-მორტალეს რომ მისდევდა, მართლაც ბეწვზე ეკიდა და გადარჩა“ (VII, 360-361)...

გრიგოლ აბაშიძეზე („ლაშარელას“ გამო):

– „ახლა მთავარია ენა, ამხანაგო გრიგოლ!“

თქვენს შემოსვლას ქართულ პროზაში მე მივესალმები იმიტომ, რომ ვიცი, თქვენ ბრძანდებით შესანიშნავი მცოდნე ქართული ენისა. ბევრი პასაჟი თქვენთან ბრწყინვალედ არის გაკეთებული. განსაკუთრებით გემარჯვებათ პირველი პირით თხრობა. დიალოგი ჯერჯერობით არ გემარჯვებათ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეპისკოპოსებს ალაპარაკებთ ზოგჯერ სა-

გაზეთო ენას გამოურევთ. ეს უნდა გამოვასწოროთ“ (VII, 542);

– „თქვენ თქვენი გმირის სახელად ლუხუმი აგირჩევიათ. არასოდეს დიდი მწერლის მიერ ნახმარი სახელი არ უნდა აირჩიოთ. წადით მთაში, რამდენი მშვენიერი სახელია“ (VII, 541)...

გიორგი ნატროშვილზე:

– „ხსენებული წიგნი როგორც ენის შესანიშნავი ცოდნის, ისე ფაბულირების ჩინებული უნარის მიხედვით უფლებას აძლევს მის ავტორს, უფრო გაბედულად სინჯოს თავისი ტალანტი დიდ ტილოებზე“ (VI, 701);

– „ავტორი მშვენივრად ფლობს ფაქტურას ენისას. ქართული ენა ცვილივით მორჩილია მის ხელში; არც ერთ პეიზაჟში სხვათა მიერ ნახმარი ფერადებით არ სარგებლობს. ჩინებულად იწყებს და ამთავრებს სათხრობს. თხრობა მშვიდი აქვს. ყოველივე წრეგადასულ „ხელოვნურებას“ და „მანერია-ნობას“ განრიდებული დიალოგები შემშურდება ზოგს“ (VII, 697)...

ჩინებულად ხმარობს კახურ დიალოგს... არსად არ გადასცდება ზომიერების ფარგალს... ენა თითქმის ყველა მოთხრობაში დახვეწილი აქვს (VII, 699)...

და შენიშვნები გ. ნატროშვილისადმი:

– ალაგ-ალაგ რუსიციზმია გაპარული...

– არ ვარგა ასეთი გამოთქმა...

– უხეირო გამოთქმაა...

– შემდეგ გამოცემებში უნდა შესწორდეს ეს ფრაზა...

– არა სჯობდა...

– ხანდახან კავშირ „რომ“-ს უადგილოდ ხმარობს ავტორი“... და სხვა (VII, 699).

მაგალითები მრავლადაა... კ. გამსახურდიას მიზანი ერთია – წაახალისოს ახალგაზრდა მწერალი და ქართული ენის ასპარეზზე ღირსეული ცვლა შემოუშვას... გზის დალოცვის მიზანი აქვს ახალგაზრდა რევაზ ჯაფარიძისადმი გამოთქმულ

ქებასა თუ შენიშვნებს... ისტორიაც საინტერესოა: წერს — ყმაწვილი მესტუმრაო... ვუთხარიო: „თქვენ ისე ნორჩი ხართ, ჯერ ადრეა ამ ვეშაპთან შებმა, რომელსაც მწერლობა ეწოდება... ათი წლის შემდეგ მოდითო...“ და მისულა ათი წლის შემდეგ — რევაზ ჯაფარიძე... და მთავარი აზრი დიდოსტატისა:

— „მე მუდამ სკრუპულოზურად ვექცეოდი ენობრივ ფაქტორს, რადგან ხელოვნურ ქმნილებაში მუდამ საგულისხმოა არა მარტო „რა“, არამედ „როგორ“. ეს რომ არა, მოთხრობებსა და რომანებს ყოველი მასწავლებელი, ან ბუკნალტერიც დაწერდა. ენის ინსტრუმენტი მთავარზე მთავარი. ამ მოთხრობაშიც („მარუხის თეთრი ღამეები“— გ. გ.) შესანიშნავი ენითა სწერს ჩვენი ავტორი. მისი ლექსიკა გამდიდრებულია რაჭული და ზემოიმერული სიტყვებითა და გამოთქმებით, ხოლო მთლიან თხრობაში იგი მისდევს გენერალურ ხაზს ქართული ენისას, რომელსაც დიდი ბრძოლით ჩვენ გავუკაფეთ გზა“ (VII, 314)...

და ამას მოსდევს მთელი რიგი შენიშვნებისა (VII, 314-315)... მაგრამ ეს არ არის მთავარი... მთავარი ისაა, რომ, როგორც კ. გამსახურდია სიამაყით აცხადებს — წარმატებით გრძელდება ქართული სალიტერატურო ენის ის გენერალური ხაზი, რომელსაც XX საუკუნეში „დიდის ბრძოლით ჩვენ გავუკაფეთ გზაო“; ეს იყო ბრძოლა ტრადიციული 15 საუკუნოვანი მაგისტრალური ხაზის ღირსეული გაგრძელებისათვის და შედეგი ის არის, რომ „სასიხარულოდ ჯანსაღი და სამერმისო ნაწილი ჩვენი მწერლობისა ამ გზას ადგას“ (VII, 314)...

* * *

ასე წარმოადგინა კონსტანტინე გამსახურდიამ ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მაგისტრალური ხაზი და ქართული ენის ამგდართა ბრძოლა და ღვაწლი ამ გზის განმტკიცებისა და დამკვიდრებისათვის...

გელათის აკადემიაში (XII ს.) ისწავლებოდა სამი სახის რიტორიკა (ანუ: მჭევრმეტყველება, ორატორობა): რიტორიკა დღესასწაულობისა, რიტორიკა თანამზრახველობისა და რიტორიკა შეპაექრობისა. ეს უკანასკნელი სწორედ ისაა, რასაც დღეს პოლემიკას ვეძახით...

ამ „ქებას“ ვფიქრობთ, ეს სათაური მოუხდება...

* * *

კონსტანტინე გამსახურდია წერს ერთგან, მე ორატორი არა ვარო, მაგრამ მისი საჯარო გამოსვლები, მისი პაექრობა და დავა-კამათი ლიტერატურის საკითხებზე კოლეგებთან, ოპონენტებთან წარმოგვიდგენს მწერალს, როგორც პოლემიკის ოსტატს. მისი აზრით, ლიტერატურულ პროცესში ეს აუცილებელი მოვლენაა: აჯანსაღებს და სიცოცხლეს მატებს ლიტერატურულ გარემოს:

– „ლიტერატურა მე წარმომიდგენია, როგორც რჩეული ვაჟკაცების და რჩეული ცხენების დოლი. ამ მარულაში რად გინდა კაცს კარგ ცხენზე იჯდე, თუ სხვები დაფეხვილ ჭაკებზე სხედან. ამიტომ მე მუდამ მახარებს ყოველი მწერლის წარმატება და ეს რომ ლიტონი სიტყვა არაა, ამისთვის საბუთად ისიც კმარა, რომ ბარე ოცდაათ თანამედროვე მწერლისათვის მითქვამს საქებარი სიტყვა“ (VII, 406);

თუმცა იქვე შენიშნავს:

– „ეს პატივისცემა არ უნდა გვართმევდეს ურთიერთის მიმართ კრიტიკის უფლებას“ (VII, 406)...

თავად მწერალი გახშირებულ პოლემიკებსა და დაპირისპირებას ამგვარად ხსნის:

– „თქვენ იცით, მე აუარებელი მტერი მყავს“ (VII, 395)

როცა ამ წერილს ბეჭდავს, რომლიდანაც ეს ამონარიდი მოვიყვანეთ, იქვე მიანიშნებს, რომ ამ სიტყვებს დარბაზში სიცილი მოჰყვაო... ლიტერატურული პროცესი რომ სწორი გზით წარიმართოს, კრიტიკა აუცილებელია; არ უნდა ვუფრთხოდეთო კრიტიკას:

– „კრიტიკას რომ კაცი მოეკლა, მე დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი ვერის სასაფლაოზე“ (VII, 512);

– „ვინც კრიტიკას ვერ ითმენს, მას უთუოდ ცუდად აქვს თავისი შემოქმედების ბუჭხალტერიაში საქმე (VII, 475);
ოღონდ ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული:

– „კრიტიკას ფარგალი სჭირია, არგუმენტირება და ტონი. არგუმენტირება დამაჯერებლობას ამაგრებს, უამისოდ კრიტიკა ცილისწამებაა და სხვა არაფერი“ (იქვე);

ჭეშმარიტი ხელოვანისათვის ობიექტური კრიტიკა მთხოვნილება უნდა იყოს:

– „ქება და ჩიჩინი უჭკუო ადამიანებს ახარებს მხოლოდ. ის კაცი, რომელსაც ქება ენატრება და ძაგების ემინია, ლაჩარია, ცუდი ხელოვანი. ყოველი უძლური ამხანაგი ეძებს ქებას, ის კი ვინც თავის ძალას გრძნობს, არც ქებას ინატრებს და არც ძაგების ემინია“ (VII, 516);

– „ცხადია, აქ არ კმარა ლიტერატურული მავნებლების ლიდერთა ძაგება. მათი პრინციპები უნდა გავაკრიტიკოთ, ასეთი დეტალური კრიტიკით ჯერ არავინ გამოსულა; არც კრიტიკით და არც თვითკრიტიკით“ (VII, 411)...

სწორედ ამგვარი უპრინციპობით იმდროინდელი იდეოლოგია ებრძოდა „მრავალ თვალსაჩინო მწერალსო“:

– „ამავე დარბაზში გამოაქვეყნეს ცნობა, თუ რატომ ამოიღეს ბიბლიოთეკებიდან ილია ჭავჭავაძის, ჩემი და მიხეილ ჯავახიშვილის წიგნები“ (VII, 411)...

აქ კ. გამსახურდია ამბად ჰყვება მის პაექრობას მიხეილ ჯავახიშვილთან (ამ პოლემიკის შესახებ ქვევით ვისაუბრებთ) და დაასკვნის:

– „ლიტერატურული ბრძოლა ასე უნდა წარიმართოს და არა ინსინუაციების მოჭორვით და კულუარებში ჩურჩულით“ (VII, 549)...

თქვა, კრიტიკას არ მოვუკლავვარო, მაგრამ ის ფაქტი განსაკუთრებით ეამაყება, რომ „ჩემი ენა არავის დაუწუნებიაო“ (VII, 396).... თავად რომ იწუნებს სხვის ენას, ამას „ასე ხსნის“ მწერალი:

– „მე მიყვარს ქართული სიტყვა, ჩვენ ყველა ერთ ძუძუს ვწოვთ, მისმა სიყვარულმა შეიძლება ზოგჯერ გაგვახელოს და ერთმანეთს ვაწყენინოთ, მაგრამ მოკლე ხანში უნდა დაგვავიწყდეს, რადგან ეს საერთო საქმეა“ (VII, 397)...

ეს „წინასწარი მობოდიშება“ იმისთვის სჭირდება მწერალს, რომ გაამართლოს ზოგჯერ სიტყვის უნებური გაქცევა... არადა, სიტყვა გაჰქცევია... ზოგჯერ გვარიანადაც გადაულახავს ეთიკური ჯებირები, მაგრამ გააჩნია, ვისთან... რამდენიმე მაგალითი:

– („ბახტრიონის“ რეცენზენტს – ბახტიარს): „ბახტიარი გრიგოლ რობაქიძის შარშანდელ უნიჭო ოხუნჯობას იმეორებს. ასეთი ოხუნჯობის საპასუხოდ მე შარშან ვუთხარი რობაქიძეს, რომ გვარის სიმბოლიკა უსაქმური ჭკუის ჩხირკედელაობაა“ (VIII, 171);

– (ბესარიონ ჟღენტს): „ჩვენი მომხსენებელი ხანდახან ზემოხსენებულ ხერელებს ეძებდა არა შეგნებულად, არამედ

კრიტიკის მოვალეობა ავალებდა მას, ასე მოქცეულიყო“ (VII, 391);

– ანდა: „ამხანაგი **ჟღენტი** და სხვანი კი მიიყინებენ, რომ ჩემი ენა არის არისტოკრატიულ-არქაისტული. ჟღენტს ავიწყდება და სხვა ამხანაგებსაც, რომ ქართულ ენას აქვს ორი ათასი წლის ხანდაზმულობა“... (VII, 396)...

– ეხლა უნდა მოგახსენოთ **კონსტანტინე ჭიჭინაძის** ცხენოსნობის და **დემნა შენგელაიას** მწერლობის გამო. მე დოლის ცხენზე ვჯდები, შეიძლება წამექცეს, მაგრამ ჭიჭინაძე ბელინსკის ქუჩამდის ვერ მივა ამ ცხენით. დემნა შენგელაია ვერ შესწვდება იმ ცხენს, რომელზედაც მე ვზივარ ქართულ მწერლობაში. მან სთქვა, რომ გამსახურდიამ კარგი სათაურების გამოგონება იცისო, დემნამაც კარგად იცის, მაგრამ მას ერჩია, არ დაეწერა „ბათა ქექია“ (VII, 400)...

– (დემნა შენგელაიას): „არა კმარა მარტო ნიჭი, არამედ ცოტა ჭკუაც არის საჭირო, ჩემო დემნა“ (VII, 401);

ერთადერთი, ვისაც ეპაექრება, როგორც **ტოლსა** და **სწორს**, არის **მიხეილ ჯავახიშვილი**... ნებისმიერ კონტექსტში მოხსენების დროსაც კი პატივისცემას გამოხატავს თანამოკალმის მიმართ... იცის კონსტანტინე გამსახურდიამ ფასი მიხეილ ჯავახიშვილისა... ამ თემით განვაგრძობთ საუბარს:

* * *

მკითხველთან შევთანხმდებით, რომ ჩვენ მოვლენებს ვაფასებთ ამჯერად ქართულ ენასთან მიმართებით. კლასიკოსთა ურთიერთობებსაც ამ კუთხით განვიხილავთ...

XX საუკუნის დასაწყისში ქართულ მწერალთა დიდ ოჯახს ორი პროზაიკოსი შეემატა – მიხეილ ჯავახიშვილი და კონსტანტინე გამსახურდია; ორი კლასიკოსი მწერალი...

საკმაოდ რთული ენობრივი სიტუაციაა საქართველოში. მიხეილ ჯავახიშვილი, როცა შექმნილ ენობრივ ვითარებას შე-

ავასებს, დაწერს: „აქ კი უდიდესი ამოცანაა ენის დაწმენდა, და ამ საქმის პირველი მეთაური ქართველი მწერალი უნდა იყოს, ხოლო ამ უკანასკნელს რომ შეეძლოს სხვათა მხილება, ჯერ თვით უნდა განიკურნოს“ (მ. ჯავახიშვილი, წერილები, 2001, 626. შემდგომ დავიმოწმებთ: წერილები)...

და ამ საქმის მეთაურობა თვითონ იტვირთა... მალე კონსტანტინე გამსახურდია ამოუდგა მხარში...

ანა კალანდაძე ივონებს, ბატონმა კონსტანტინემ მითხრაო, „ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში მხარში მდგა მიხეილ ჯავახიშვილიო“ (ა. კალანდაძე, ტ. II, 1996, 287).

მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას ერთობა ის ძალა იყო, რომელმაც შეძლო XIX საუკუნის ტრადიციული ენობრივი მაგისტრალური საზი ღირსეულად გაეგრძელებინა XX საუკუნეში...

ჩვენ გვახსოვს XIX საუკუნე: ქართული კულტურის, ქართული ენის თაობაზე პოლემიკები: ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის; აკაკისა და იაკობ გოგებაშვილს შორის... და XX საუკუნის ქართველი მკითხველი არის მოწმე კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლემიკებისა...

შევეცდებით წარმოვაჩინოთ საპოლემიკო პრობლემები და პოლემისტებიც... ჩვენი რწმენით, ეს იყო კლასიკური მაგალითი იმგვარი პოლემიკური კულტურისა, უახლოეს წარსულში რომ დაედო სათავე:

„ვეფხისტყაოსნის“ თემაზე ილია ჭავჭავაძესთან პაექრობის დროს აკაკი წერეთელმა პოლემიკისათვის სამი ძირითადი პრინციპი გამოყო:

1. საპოლემიკო, სადისკუსიო საგნის, თემის ღირებულება („რუსთაველის დიდი ვინეობა“);

2. მოპაექრის ღირსება; უნდა ღირდეს მასთან კამათი („ბატონ ჭავჭავაძის ღირსება“);

3. საკუთარი თავის ღირსებისა და პასუხისმგებლობის შეგრძნება („საკუთარი თავის პატივისცემა“) (უფრო ვრცლად: გ. გოგოლაშვილი, მეოხად ჩუენდა – ილია და აკაკი, იაკობი, 2020, 45)...

პოლემიკის ეს სამი ძირითადი პრინციპი, რომლებზეც აგებული იყო XIX საუკუნის ცნობილი პოლემიკები, იყო საფუძველი მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას პაექრობისა.

ზემოხსენებული ამონარიდი კ. გამსახურდიასი, რომელშიც საუბრობდა იმის შესახებ, რომ არაერთი „მწერლისათვის მითქვამს საქებარი სიტყვაო“, ასე გრძელდება: „თავათ ჯავახიშვილისთვისაც მათ შორის. მე მას ვუსურვებ წარმატებას და ჩვეული მხნეობით ჩვენთან ერთად დიდხანს ბრძოლას... ეს პატივისცემა არ უნდა გვართმევდეს ურთიერთის მიმართ კრიტიკის უფლებას“ (VII, 406)...

ერთ-ერთი პოლემიკის გახსენებისას მოგვიანებით კ. გამსახურდია მ. ჯავახიშვილზე იტყვის: „მან ჩემი ამხანაგური შენიშვნები უკლებლივ გაიზიარა, ბოლოს ასეთი კალამბურით მიპასუხა: „ზოგი დიდს აიკიდებს და ზოგიც პატარასო“.

მე ამის გამო უბრალო საყვედურიც კი არ მიკადრებია მიხეილ ჯავახიშვილისათვის...

ლიტერატურული ბრძოლა ასე უნდა წარიმართოს“ (VII, 549).

მსგავსი კომენტარი მიხეილ ჯავახიშვილსაც გაუკეთებია: „ეხლა კ. გამსახურდიას ნალაპარაკევს უნდა მივადგე. მე საკმაოდ ვაფასებ მის აზრს. მოზრდილი მწერალია და ამიტომ გულდასმით მოვისმინე იგი“ (წერილები, 758)...

სადავო ამ ბუმბერაზ მწერლებს ლიტერატურული საკითხებიც ჰქონდათ, მაგრამ მე ქართული ენა მაინტერესებს...

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ქვეყნის პარტიულმა ხელისუფლებამ დაიწყო საუბარი იმის შესახებ, რომ „ქართული ენა ჩვენს თვალწინ მახინჯდება“... ეს საკითხი განხილვის თემა გახდა მწერალთა ყრილობაზეც. კონსტანტინე გამსახურდია ვრცელი მოხსენებით გამოდის ამ ფორუმზე და გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამღვრეული ქართული მეტყველების ერთ ყალიბში მოსაქცევად „აუცილებელია „მართლწერის კონფერენციის“ მოწვევა – „მწერლებისა და ენათმეცნიერების კონფერენციისა“. ამის თაობაზე ზემოთაც ვწერდით – როცა შეეხეთ კ. გამსახურდიას ურთიერთობას ენათმეცნიერებთან (იხ.: გვ. 63...): „ამ კონფერენციაზე დიდი ენერჯის გაღება დასჭირდება ქართულ მწერლობას“ და ასევე: „ქართული ენის ოსტატებმა შესაფერისი მასალა უნდა დააგროვონ და გამოაქვეყნონ“ (VIII, 200). ამ საკმარის ვრცელ წერილში, ბოლოს, „კონფერენციის სახელმძღვანელო იდეებიც“ წარმოადგინა (VIII, 206-207).

იმდროინდელ ენობრივ ვითარებას საქართველოში უმძიმესად აფასებს მისივე ჯავახიშვილიც: „ქართულ ლიტერატურულ ენას ქართველი ინტელიგენცია ჰქმნიდა და ეხლაც იგივე ჰქმნის, მაგრამ თუ რამ ირყვნება და ლპება ესეც უშეტესად მასვე უნდა მიეზლოს. უფლებაც მისია და პასუხისმგებლობაც“... და შემდეგ ახასიათებს ინტელიგენციის ქართულს: – „ამ ინტელიგენციის საკმარის დიდი ნაწილი თითქოს დამუნჯდა. ენას უკიდებს, ბორძიკობს, წამებით ეძებს სიტყვას, ძლივს პოულობს, უმალვე ჰკარგავს და ისევ ეძებს, მუდამ ეძებს.

მისი ქართული გახმა, მოიკრუნხა, დაიხლართა, დამძიმდა, აღარც ძველი ნათელობა შერჩა, არც გამჭვირვალება, არც

მკაფიობა და მოქნილობა. რაც ხუთი სიტყვით ითქმის, ათიჯ ძლივსლა ჰყოფნის“ (წერილები, 701)...

და ამ მსჯელობას მოსდევს საკმაოდ ვრცელი ნუსხა (15 გვერდზე!) „დამახინჯებული ქართულისა“ შესაბამისი კომენტარებითა და შეფასებებით, მაგრამ ზემოწარმოდგენილ იდეას „მართლწერის კონფერენციის“ მოწვევისას არ ეთანხმება:

„დაირღვა საერთო გრამატიკა, დაიშალა მთლიანი ქართულიც და მისი აღდგენისათვის, ზოგის აზრით, საჭიროა მოწვევა ენის მცოდნეთა კონფერენციისა.

ჩემი რწმენით, კონფერენციის მოწვევა ნაადრევია“ (წერილები, 716).

მ. ჯავახიშვილი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს და ასაბუთებს თავის თვალსაზრისს (წერილები, 716-717). ძირითადი აზრი ის არის, რომ „დღევანდელი ქართული ჩვენს თვალწინ სდულს და ყალიბდება“. და ეს პროცესი დუდილისა სანამ არ განელდება, „სანამ არ გადაიხარშება და ერთ ყალიბში გამოიჭედება“, მანამ საშიშია ხელოვნური ჩარევა.

მართალია, „ზოგჯერ საჭირო არის, რომ კანონი წინ უძლოდეს ფაქტს. მაგრამ ძალიან სახიფათოა, თუ ენის დარგშიც კანონმა გაუსწრო ფაქტს“ (წერილები, 717)...

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ათიოდე წელიწადში, შეიძლება უფრო ადრეც, სადავოს უმეტესი ნაწილი თავისთავად გადაწყდეს და კონფერენციის მოწვევასაც მაშინლა ექნება აზრი და გამართლება“ (წერილები, 717).

როგორც ჩანს, მიხეილ ჯავახიშვილის თვალსაზრისს მხარი ენათმეცნიერებმაც დაუჭირეს...

კონსტანტინე გამსახურდიასთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა მ. ჯავახიშვილის აზრი: „უნდა მოგახსენოთ, მე სავსებით არ ვიზიარებ ბელეტრისტ მ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, თითქოს დღეს ქართულ ენაში არსებულ დუდილს ათეული წლით დავუცადოთ და ქართულ სიტყვას ყალიბი მე-

რმე მივცეთო... არ არის სწორი მ. ჯავახიშვილის ანალოგია: „უცხოეთის აკადემიები მხოლოდ მაშინ დააკანონებენ ამა თუ იმ სიტყვას ან ფორმას, როცა ის მტკიცედ მოიკიდებს ფეხს სინამდვილეში“. უცხოეთის აკადემიის ტრადიციას ვერც ჩვენი კონფერენცია ასცდება, მაგრამ თუ მ. ჯავახიშვილს ფრანგული ან გერმანული სამეცნიერო აკადემიები აქვს მხედველობაში, აქ ქართული ენის ბედი მოსატანი არ არის“ (VIII, 202-203).

კ. გამსახურდიას მთავარი არგუმენტი ამ მსჯელობაში ის არის, რომ ქართული ენის ბედი ბოლო ასწლეულში განსხვავებული იყო ევროპული ენების ბედისაგან... ცხადია, იცის კ. გამსახურდიამ, რას ამბობს და რატომ, მაგრამ კონფერენციის იდეა ნაჩქარევად მიიჩნიეს და, ალბათ, მართებულადაც...

მიხეილ ჯავახიშვილი კი საკითხს უფრო ფართო თვალთახედვით ხედავს: „ენა ერთი ბურჯთავანია ჩვენი კულტურისა. მაგრამ მართო მწერალსა და მეცნიერს არ შეუძლიათ მისი შენახვა და გამდიდრება. ეს უღელი თუ განძი მთელი ხალხის საზიდავია. ამიტომ ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა თავისი ენა კულტად გადააქციოს და მისი ცოდნა-შესწავლა უპირველეს ვალად გაიხადოს“ (წერილები, 713)...

მოკლედ: თანხმდებიან, რომ საჭიროა ქართული ენის ნორმებისთვის აქტიური ზრუნვა, თუმცა ამ მიზნის განხორციელების გზებს ხედავენ სხვადასხვაგვარად...

* * *

1933 წლის 24 აპრილს მწერალთა კავშირმა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „არსენა მარაბდელის“ გამო მოაწყო საჯარო დისკუტი. როგორც ჩანს, ამ დისკუტზე მთავარი მოვლენა კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის პაექრობა იყო. დისკუტის შესახებ გამოქვეყნებულ წერილს („ჩემი პასუხი“) მ. ჯავახიშვილი ასე იწყებს: „მომხსენებლად ს. ხუნდაძე გამოვიდა. ხოლო კამათში სხვათა შორის კ. გამსახურდიამაც

მიიღო მონაწილეობა... ამიტომ ჩემს საპასუხო წერილში მე ხუნდაძისა და გამსახურდიას საჯარო ნათქვამს ვგულისხმობ“ (წერილები, 754).

დისპუტზე თავისი გამოსვლის ტექსტი კ. გამსახურდიამაც გამოაქვეყნა („არსენა მარაბდელის“ ირგვლივ)... ოპონენტი წინასწარ აფრთხილებს მსმენელს: „რა თქმა უნდა, ყოველი მწერალი ისე წერს, როგორც საუკეთესოდ მიაჩნია, მაგრამ მე ვფიქრობ, აქ ჩემს გამოსვლას აქვს შეგობრული რჩევის ხასიათი მეორე გამოცემისთვის“ (VII, 353).

ენობრივი თვალსაზრისით კ. გამსახურდიას ძირითადი შენიშვნა ეს არის: „სიტყვის მრავალრიცხოვნობა სჩანს „არსენაში“... მე მივაქცევ თქვენს ყურადღებას ასეთ რამეს: ავტორს აქვს თვისება ფრაზისა, მას აქვს ერთგვარი გალავანიზირებული ძალა ფრაზის მოქნევისა, მაგრამ არა აქვს ხატოვანება სიტყვისა, ამიტომაც იმეორებს ანდაზებს, ხალხურ თქმებს. მიხეილ ჯავახიშვილი „მართალი აბდულას“ ავტორია, სადაც სიტყვის ეკონომია ნათლად ჩანს, მწერალი სიტყვას ისე უნდა უფრთხილდებოდეს, როგორც ძუნწი ოქროს“ (VII, 355).

ესაა მთავარი შენიშვნა ენობრივი ხასიათისა. ცალკეულ გამოთქმებსაც უწუნებს; საბოლოო დასკვნა ასეთი არის: „სიტყვაპრაველობა არასოდეს არაა ოსტატობის დადებითი ნიშანი. სიტყვის სიმცირეში გამოიხატება ოსტატის ღირსება“ (VII, 355).

ამ შენიშვნის პასუხად მ. ჯავახიშვილი წერს: „კ. გამსახურდია მირჩევს, სიტყვა მოკლედ მოჰკვეცე, ძუნწად გამოიყენო. ვერ დავუჯერებ, მე გაშლილი, სავსე, ფერადოვანი სიტყვა მიყვარს და ხელს ვერ ავიღებ... ნაჭარბევად ძუნწი სიტყვა იმ უფრთო და უფეხო ფრინველს ჰგავს, რომელიც ვერც გაფრინდება. ამ რეცეპტმა ბევრი დააგონჯა და მე ვერ გამაბრეყვებს“ (წერილები, 759).

როგორც ჩანს, დისპუტზე გამოთქმული შენიშვნების ნაწილი კ. გამსახურდიამ დაბეჭდილ ტექსტში არ შეიტანა, მათზე პასუხი კი მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილში არის გაცემული: „კ. გამსახურდიამ დამიწუნა: „ჩაულაპარაკა“, „ჩაულიმა“, „ჩაურბინა“, „ცხენიდან გადმოსრილი არსენა“, „ცხენის ფეხებთან ჩაქანა“, „უმფროსი“, „უნცროსი“, „შორს მოისროლა“, „ბანაკი აიზღარბა“, „ცხენი დაათხა“ და ამგვარი... სრულებით არ მესმის“... და ავტორი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ამ ფორმათა მართებულობის შესახებ და დაასკვნის, რომ „ნამდვილი ხალხური ქართულია და ნუ მედავებიანო“... „რაც შეეხება „აიზღარბა – აზღარბებულს“ – ეს სიტყვა მე შემოვიღე და უკვე ფეხს იკიდებს, ე. ი. იმარჯვებს“ (წერილები, 759).

როგორც ჩანს, მ. ჯავახიშვილის პასუხები კონკრეტულ შენიშვნებზე დამაჯერებელი იყო კ. გამსახურდიასათვის, ამიტომ აღარ შეიტანა დაბეჭდილ ვარიანტში, თუმცა...

მოგვიანებით (1960 წელს) ეს პაექრობა გაიხსენა კ. გამსახურდიამ: „ამ ოციოდე წლის წინათ საჯაროდ ირჩეოდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანი – „არსენა მარაბდელი“. მე იგი შევაქე მრავალ ღირსებათა გამო, რომელიც ამ წიგნს გააჩნდა, დაახლოებით 192 შენიშვნა მივეცი ავტორს... მან ჩემი ამხანაგური შენიშვნები უკლებლივ გაიზიარა... ლიტერატურული ბრძოლა ასე უნდა წარიმართოსო“ (VII, 549) – დასძენს ბოლოს...

პოლემიკა გრძელდება...

1936 წლის 23 ოქტომბერს მწერალთა კავშირში გაიმართა საჯარო განხილვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანისა „მთვარის მოტაცება“. მომხსენებელი ყოფილა ბესარიონ ჟღენტვი. როგორც მოსალოდნელი იყო, პაექრობაში მონაწილეობა მიუღია მიხეილ ჯავახიშვილსაც, რომელმაც თავისი

გამოსვლა ასე დაამთავრა: „დიდად უნდა მივესალმოთ კონსტ. გამსახურდიას, რომელმაც ესოდენი ჯაფა გასწია და მშვენიერად დაწერილი რომანი მოგვცა“ (იხ.: „რომანში მთავარი გმირები ზედმეტმა მასალამ მიჩქმალა“; წერილები, გვ. 875-876). რეცენზიის ბოლოს რამდენიმე ენობრივი შენიშვნაა წარმოდგენილი („რამდენიმე სიტყვა კ. გამსახურდიას სინტაქსზე“):

– „კ. გამსახურდიას აქვს ბიბლიურ-მატიანისებური სტილი, რაც აძნელებს 750 გვერდიდან რომანის კითხვას“;

– „სიყვარულის სურათებიც კი ბიბლიურად არის მოხატული; რომანი დატვირთულია აგრეთვე ორნამენტებით. სახეები ზოგ ადვილას არჩაუღია. მკითხველს აუცილებლად დასჭირდება ლექსიკონის მოხმარება“.

– „ზოგიერთ შედარებათა გასაგებად კ. გამსახურდიას მოაქვს მივიწყებული სიტყვები, რომლის გაცოცხლება მისაღებია, მეორე მხრივ, მას ახასიათებს გაბედული ნეოლოგიზმები. როდესაც საგნის გამოსახატავად არსებობს ერთი ან ორი სიტყვა, ზედმეტია მესამე სიტყვის სესხება გერმანულიდან ან ფრანგულიდან ამავე ცნების გამოსახატავად“ (წერილები, 876)...

ცხადია, ლიტერატურული თვალსაზრისითაც არაერთი შენიშვნაა გამოთქმული (სხვათაშორის ისიც, რომ შვილის მიერ მამის მოკვლა არადამაჯერებლადაა აღწერილი...).

კონსტანტინე გამსახურდიას საპასუხო გამოსვლაში ძირითადი ყურადღება მიხეილ ჯავახიშვილის შენიშვნებს მიექცა: – „მე შეგონა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი აქ გამოიტანდა უშველებელ თაბახ ქალაღდს და აუარებელ შეცდომებს მომიძებნიდა“ – ამბობს კ. გამსახურდია... და ისევ კეთილგანწყობის დეკლარირება: „მიხეილ ჯავახიშვილთან ბევრი რამ სადავო მაქვს, მაგრამ ბრძოლა კი არ უნდა იყოს კინკლაობის ბაზაზე აშენებული, არამედ ამხანაგური გაკამათების საფუძველზე“ (VII, 397)... ისევ ზოგადი შეგონება: „მე მიყვარს ქართული

სიტყვა, ჩვენ ყველა ერთ ძუძუს ვწოვთ, მისმა სიყვარულმა შეიძლება ზოგჯერ გაგვანებლოს და ერთმანეთს ვაწყენინოთ, მაგრამ მოკლე ხანში უნდა დაგვაიწყედეს, რადგან ეს საერთო საქმეა“ (იქვე). დიას, ზოგადი და სახელმძღვანელო შეგონება!...

ეს წანამძღვრები სწორედ იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდი ავტორიტეტი იყო მ. ჯავახიშვილი კ. გამსახურდიასათვის...

მერე სხვა საკითხებზე საუბარი, სხვა გამოსვლებზე და... ისევ მიხეილ ჯავახიშვილზე:

— „ახლა ამხანაგ მიხეილს უნდა მივადგე. მე მართალი ვითხრათ, მიხეილისაგან მოველოდი უფრო მაგარ გამოლაშქრებას და არა ისეთს, როგორც მე მოვისმინე“, — ამბობს კ. გამსახურდია და განაგრძობს:

— „მთავარი ის არის, რომ მიხეილი იძულებული არის სხვადასხვა მოსაზრებებით ჩემი ენობრივი პოზიციების წინააღმდეგ გაილაშქროს. მე არ ვიტყვოდი, რომ მას იმდენი ცოდნა არა ჰქონდეს, რომ ჩემი ენობრივი შეცდომები გამოამჟღავნოს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მიხეილის თვალსაზრისი ენის შესახებ არა დგას სწორ პოზიციაზე და მისი გამოსვლა და რაღაც კომპოზიციებზე საუბარი არ არის სწორი“ (VII, 399).

ჩვენ ქვევით ვისაუბრებთ ამ ორ კლასიკოსს შორის კიდევ ერთ პაექრობაზე, რომელიც 1934 წელს გამართულა; ეს ტონიც და თემატიკაც, როგორც ეტყობა, იმ პაექრობის გამოძახილიცაა:

კ. გამსახურდია — „მიხეილს არამც და არამც არ მართებს, რომ კომპოზიციის საქმეში რაიმე მასწავლოს, იმიტომ რომ მას აქვს გეზი, ის გეზი, რომლის შესახებაც მე არ ვლაპარაკობ. გარდა ამისა, მიხეილს არ ეყოფა ის ესთეტიკური კულტურა, რამდენიც საჭიროა. მიხეილი არის გამგრძელებე-

ლი იმ ტრადიციისა ქართულ მწერლობაში, რომლის შესახებ სერგო კლდიაშვილმა, ტიცთან ტაბიძემ და სხვებმა საკმაოდ ბევრი სთქვეს“.

მ. ჯავახიშვილი — „გვითხარით, ვისი გეზი არის ეგ“.

კ. გამსახურდია — „მე თქვენ, პირადად ჩემო მიხეილ, პატივსა გცემთ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ მეოცე საუკუნის ლიტერატურაში ცდილობთ შემოიტანოთ მეცხრამეტე საუკუნის ხალხოსნების ნარჩენი. თქვენ უეჭველად დიდი დამსახურება გაქვთ ქართულ მწერლობაში, მაგრამ ხშირად ცდებით როგორც ოსტატი. ქართული ენის ის საკითხები თქვენ რომ ბრძანეთ, კავთისხეური ამბის გამო დაუშვებელია“ („კავთისხეური ამბავი“ სწორედ 1934 წლის პოლემიკიდან მოდის... — გ. გ.).

კ. გამსახურდია — „თქვენ მალაქია ტოროშელიძე გმფარველობთ და ამიტომ ლაპარაკობთ ასე. და რომ ეს ასეა, ეს დაამტკიცა დღევანდელმა დისკუსიამ. მე საქართველოში არ დამიტოვებია არც ერთი მტკაველი მიწისა, რომ ფეხით არ მომეგლოს, ყური არ დამეგდოს ქართული დიალექტისათვის, თქვენი განცხადება, რომ მოლით და კავთისხევეში ისწავლეთ ქართულიო“...

მ. ჯავახიშვილი — „მე განვაცხადე, თქვენ თქვენებური კუთხური იცით და სხვა კუთხურიც ისწავლეთ-მეთქი... გამსახურდიას გაუვლია და უსწავლია. მაშასადამე ეს მას არ შეეხება და რის გამო არის ასე აღელვებული?“

კ. გამსახურდია — „მაშასადამე, ენობრივ პოზიციაში თუმცა ჩვენ ერთმანეთს ბევრ რამეში ვეთანხმებოდით, მაგრამ თქვენ წამოაყენეთ დებულება, რომ ქართული მარტო კავთისხევეში ისწავლებაო. მე ვამბობ, რომ ქართული ენა ისწავლეთ კავთისხევეშიც, ჭრებალოშიც, ზუგდიდშიც და ოზურგეთშიც“...

მ. ჯავახიშვილი — „მე რვა წლის წინათაც დამიწერია და იგივე იდეა გამომითქვამს“...

კ. გამსახურდია – „ქართულ ლიტერატურას აქვს ერთი მაგისტრალური ხაზი, ეს ხაზი არის რუსთაველის, მერჩულის, გურამიშვილის, ორბელიანის საერთოდ და ამ ხაზით მივდივართ ჩვენ იმიტომ, რომ კუთხური ქართულის და პროვინციული ქართული ლიტერატურის ამბავი უკვე გათავდა“.

მ. ჯავახიშვილი – „ორბელიანებით არ გათავდა!...“

ამით დასრულდა პაექრობა ამ ორი კლასიკოსისა. ამჯერად გამოსვლის ბოლოს კ. გამსახურდიამ თქვა: „მწერალი ასწორებს თავის შემოქმედებას არა იმავე წიგნში, არამედ შემდეგ წიგნებში“ და სწორედ შემდეგ გამოცემაში გასწორდა მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი მთავარი შენიშვნა ლიტერატურული ხასიათისა, რაც შეიღობა მიერ მამის მკვლევლობის არადამაჯერებლობას შეეხებოდა...

აქ წარმოდგენილი „დიალოგი“ კ. გამსახურდიას წერილიდან – „მთავრის მოტაცების“ გამო“ – აღვადგინეთ (VII, 397-400).

* * *

გასული საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში დაიწყო მოძრაობა, სალიტერატურო რუსული ენის სიწმინდის დასაცავად, ცნობილი მწერლის მაქსიმ გორკის თაოსნობით. სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ყველას, ვინც სალიტერატურო რუსულს პროვინციალური სიტყვებით ამახინჯებდა... იმდროინდელი „ზოგადი წესიდან გამომდინარე“, ეს „ლაშქრობა“ ჩვენშიაც გამოცხადდა...

1934 წელს მწერალთა კავშირში გაიმართა დისკუსია სალიტერატურო ქართული ენის თაობაზე. ეს დისკუსია სწორედ „მოსკოვური მოძრაობის“ გამოძახილი იყო. მოხსენება მალაქია ტოროშელიძეს გაუკეთებია. ამ დისკუსიის თაობაზე მოგვითხრობს ქეთევან ჯავახიშვილი თავის წიგნში „მიხეილ

ჯავახიშვილის ცხოვრება“ (გამომცემლობა „მერანი“; 1991, გვ. 221-226). ჩვენც ამ გამოცემას ვემყარებით.

ქ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მძაფრი დისკუსია გაიმართაო. მთავარი ისევ კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის დაპირისპირება ყოფილა. დისკუსიაზე წარმოთქმული სიტყვა კ. გამსახურდიას დაუბეჭდავს „სალიტერატურო გაზეთში“. სამწუხაროდ, გაზეთის ეს ნომერი ვერ მოვიძიეთ (კომპლექტში არ აღმოჩნდა), ამიტომ ვიმოწმებთ ქ. ჯავახიშვილის წიგნიდან. როგორც ჩანს, დისკუსიაში მონაწილეობა მიუღია აკაკი ჭყონიას – „ელხის“ (ენის, ლიტერატურისა, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტის) დირექტორს, რომლის პოზიციაც, ეტყობა, კ. გამსახურდიას მხარეს იხრებოდა... მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილში დ. დემეტრაძეცაა მოხსენიებული – მწერალთა კავშირის მაშინდელი თავკაცი; მისი პოზიცია, როგორც ჩანს, კ. გამსახურდიას საპირისპირო იყო („ის მკაცრად აკრიტიკებს გამსახურდიას თავისი ასეთი გამოსვლის გამო“ – წერს ქ. ჯავახიშვილი).

მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილი „სალიტერატურო გაზეთს“ არ დაუბეჭდავს, მწერლის არქივმა შემოგვინახა. „ამ წერილის პირველი ხუთი გვერდი დაკარგულია“; ხელნაწერზე მიუწერია მ. ჯავახიშვილს: „დასაწყისი დემეტრაძემ დამიკარგა, არ დაბეჭდეს, 1934 მ. ჯ.“: არდაბეჭდვის მიზეზებზე არაფერია თქმული...

მაშ ასე: კ. გამსახურდიას პოზიციას საგაზეთო წერილიდან მოვიყვანთ, მ. ჯავახიშვილისას – ხელნაწერიდან. ჩვენთვის, როგორც ვთქვით, ორივეს წყარო ქეთევან ჯავახიშვილია:

კონსტანტინე გამსახურდია:

– „სავსებით მიუღებელია ჩემის აზრით ამხ. მ. ჯავახიშვილის გეზი... საქართველო მარტო ქართული არც არასოდეს ყოფილა და ნურც იქნება ნურასოდეს. ქართული ენა ორი

ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრული კილოკავების შედეგებამ. ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს...” (აქ ვახეთზე მიუწერია მ. ჯავახიშვილს – „შედეგად ხონური კილო მოგვცა“).

– „ვინ მიჩქმალა ქართული ენის ორი ათასწლიანი ხანდაზმულობა? ასეთი დიდი ტრადიციების მატარებელმა ენამ და მისმა მწერალმა კავთისხევში უნდა ეძებოს თავისი სამერმისო გეზი? ეს პირდაპირ სასაცილოა, ამხანაგო მიხეილ“ (მ. ჯავახიშვილის მინაწერი – „ჭყონიაც ამას იმეორებს“).

– „ვებრძოლოთ გადაჭარბებულ პროვინციალიზმებს, არ ვარგა სამტრედიულ-ხონურ, ქუთათურ დიალექტებზე წერა; არ ვარგა ნ. ლორთქიფანიძის და ჩვენი საყვარელი დ. კლდიაშვილის გეზი, არც ს. მგალობლიშვილის, ნ. ლომოურის, მ. ჯავახიშვილის „ქართლური“ პარტიკულარიზმი (ხაზი ჩვენია – გ. გ.). ახალ ეპოქაში მე მომიხდა პოეტური პროზის დამკვიდრება. არასოდეს ყოფილა ქართულში არაპოეტი დიდი ოსტატი სიტყვისა. (მ. ჯავახიშვილის მინაწერი: „ქართული ენის მწვალებელი“)...

მ. ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი წერილიდან ჩვენ მხოლოდ იმ მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც კ. გამსახურდიას შეეხება:

მიხეილ ჯავახიშვილი:

– „გამსახურდია წერს: „ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრული ელემენტების შედეგებამ“, შედეგიც სამწუხარო გამოდგა“.

– „მეუბნებიან თითქოს მე ქართლ-კახური კილოკავის დომინანტობის მუდმივობა მწამდეს. ჩემს წერილში და სტენოგრამაში ამის ნატამალიც არ მოსჩანს. მოვლენათა მარადიულობა არასოდეს არა მწამდა და ასეთ სისულელეს არ ვიტყვოდი“...

– „ჭყონიაც და გამსახურდიაც მარიგებენ: მიმოსვლა მატულობს, კულტურა ვრცელდება და ამიტომ საერთო ენა დამკვიდრდება და კუთხურ კილოს დამინანტობა მოესპობაო. ეს მარტივი ჭეშმარიტება ექვსი წლის წინათ მეც გამოვთქვი. მაგრამ ეს სანატრელი დრო ჯერ შორსაა, ჯერ კი ქართული ენის მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემას ამჟამადაც უძვეეს ქართლურ-კახური...“

– „კ. გამსახურდიას წერილს სულ სხვანაირი სუნი ასდის. ის სწერს: „ქართული ენა ორი ელემენტის შეუღლებამ წარმოშვა: ქართველურ და ლაზურ-მეგრულის შედედება“. მეგრულმა ნაკადმა ქართულ ენას დიდი სიკეთე დასდო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ქვემო-იმერულის კილო ამ შეუღლების კანონიერი შვილია, რომელიც თვითონ გამსახურდიასაც ეხამუშება“.

– „ერთი უცნაური ამბავი ემართება გამსახურდიას (და სხვებსაც): ის გულმოდგინედ სწიხლავს ქართლურ კილოს – ლომოურს, მგალობლიშვილს, მეც (მაშასადამე ილიასი, აკაკისა და ვაჟას ქართულსაც) და ამავე დროს გულმოდგინედ ცდილობს თავის ქართულს უმთავრესად ეს კილო დაუდოს საფუძვლად, მის ლექსიკაში ათიოდე მეგრული სიტყვა მოსჩანს და ათასი ქართლური“.

– „გამსახურდია იცინის: „მწერალმა კავთისხევში უნდა ეძებოს თავისი სამერმისო გეზი? ეს პირდაპირ სასაცილოა, ამხანაგო მიხეილ“. დიახ, კავთისხევშიც უნდა ეძებოს, ვინაიდან იქვე მახლობლად ეძებეს და იპოვეს საუცხოვო პროზა ილიამ (საგურამო, არაგვი), ვაჟამ (არაგვი, თიანეთი), ივ. მაჩაბელმა (ლიახვი), მგალობლიშვილმაც და ლომოურმაც, რომელნიც გამსახურდიას ქართული ენის პროფესორებად გამოადგებიან“...

– „გამსახურდიას კავთისხეველებისა დიდი ვალი მართებს. წავიდეს და კიდევ ისესხოს... არ წავა? ნუ წავა. ისევ თავის ვზით იაროს“.

– „მაგრამ საქმეც ის არის, რომ გამსახურდიას არავითარი ვზა არ გააჩნია, არ იცის, რას მიემხროს და ვის შეუტოს...“

– „გამსახურდიას უგზობას ორი რამეც ადასტურებს. პირველი: მან ვაჟას პროზა მოიწონა (ჯერ უარპყოფდა და ამავე დროს კავთისხეური კილო ითაკილა). მეორე: ორი წელიწადია მერჩულის პროზა თავის დრომად გამოაცხადა და ჩვენც მოგვიწოდებს მოგვეყვითო...“

სამწუხარო ის არის, რომ მ. ჯავახიშვილის საპასუხო წერილი გაზეთმა არ გამოაქვეყნა, თორემ, უეჭველია, დისკუსია გაგრძელდებოდა – კ. გამსახურდია ამ შენიშვნებს უპასუხოდ არ დატოვებდა...

ჩვენ მხოლოდ თვალსაზრისები წარმოვადგინეთ, პოზიციები ვაჩვენეთ... შეფასებას (მითუმეტეს ანალიზს) არც ვცდილვართ – არ მიგვაჩნია გამართლებულად ამ გადასახედიდან...

სხვაც შეიძლებოდა მოგვეხმო... ფაქტია, ესაა ორი ბუმბერაზი მწერლის შეჯახება ენობრივ ასპარეზზე; პოზიციების შეჯერება და გარკვევა...

ცხადია, მოგებული ამ შემთხვევაში ქართული ენაა, რომელსაც ორი ასეთი ქომაგი ჰყავდა... XX საუკუნის დასაწყისი ამითაც არის მნიშვნელოვანი ქართული ენის ისტორიაში...

ვთქვით წინა ქებაში: გელათის აკადემიაში რიტორიკის სამი სახეობიდან ერთ-ერთი იყო „თანამზრახველობისა“... ამ „ქებას“ ალბათ ეს სათაური მოუხდება.

* * *

„ვაჟა შუმი გენიოსი იყო და, როგორც ცნობილია, გენიოსისათვის კანონი არ დაწერილა“, – წერს კონსტანტინე გამსახურდია...

* * *

ანა კალანდაძეს აქვს პროზაული ჩანაწერები „კოლხური კოშკის ბინადრებთან“. ქ-ნი ანა მოიგონებს: „ბატონი კონსტანტინე საოცრად თბილი კაცი იყო, საოცრად გულმოწყალები და ზომაზე მეტად გულჩვილიც კი... გამომშვიდობებისას საოცარი, თითქმის ბავშვური გულაჩუყებით მთხოვს, მაკოცეო, ისე იმოქმედა ჩემზე, რომ... ცრემლიც კი მომადგა! ამ თხოვნაში ხომ გაცხადებულია კონსტანტინე გამსახურდიას – ამ „პირგამეხებული“, „ძუნწი“ და „ეგოისტი“ კაცის დიდი ბუნება?! როგორი ახლობლური, თითქმის ნათესაური გრძნობაა ჩაქსოვილი და დაუნჯებული“ (ა. კალანდაძე, ტ. II, 1996, 278)...

როდესაც ვფიქრობდი კონსტანტინე გამსახურდიას დამოკიდებულებაზე ვაჟა-ფშაველასადმი, რატომღაც ეს ჩანაწერი მომაგონდა... ქართველ მოღვაწეთაგან ვაჟა-ფშაველას მიმართ

გამონათული პატივისცემა, სიყვარული, ასეთი და, რაც მთავარია, ობიექტური შეფასება მისი შემოქმედებისა და ენობრივი პოზიციისა... თუ შეიძლება ითქვას, ძნელბედობის ჟამს — თანადგომაც... — გამორჩეულია ქართულ მწერლობაში...

* * *

ჟურნალ „ცისკარში“ (1964 წ. №1) გამოუქვეყნებით რეცენზია კ. გამსახურდიას ესსეების შესახებ („უმართებულო და მკვახე რეცენზიო“ — წერს კ. გამსახურდია)... ადრესატი ბრალდებებს უპასუხებს: „კურიოზულია ასეთი ბრალდებაც, თითქოს ვაჟას გარდა მე ვერავის ვხედავ მეცნრამეტე საუკუნეში“... და მწერალი იძულებულია „თავი იმართლოს“ — შეასწავოს რეცენზენტს, რამდენი წერილი მიუძღვნა ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანს, იოანე ბატონიშვილს და სხვათა (VII, 318)...

როგორც ჩანს, „ცისკრის“ რეცენზენტი (და ალბათ სხვაც...) იმან გააღიზიანა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ვაჟა-ფშაველას მიმართ საქებარ ეპითეტებს არ იმურებს, ძალზე გულუხვია:

— „ვაჟა შუმი გენიოსი იყო და როგორც ცნობილია, გენიოსისათვის კანონი არ დაწერილა“ (VI, 665);

— „ვაჟა გენიოსი იყო, ამიტომ მან დამოუკიდებლად მიაღწია ამ დონეს“ (VI, 690);

— „ვაჟა განმარტოებულია ქართული სიტყვის დიდოსტატთა ოჯახში“ (VI, 320);

— „ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. თვალუწვდენელია დიამეტრი მისი პოეტური მსოფლშეცნობისა“ (VI, 320);

— „დიდი ვაჟა, ჯერაც ჭაბუკი იყო, გარდა ამისა, იგი ისე დატყვევებული იყო ქართული ისტორიული მითოლოგიის

ჯადოსაგან, ისე დატვირთული თავისი გრანდიოზული პოემების წერით, ვერც იგი გამოადგებოდა თანამოლაშქრედ მარტოხელა ილიას“ (VI, 437);

– „ვაჟა თავისი მსოფლიო გაგებით გოეთეს მსოფლმხედველობას უახლოვდება“ (VI, 321)...

– „აი ეს კაცი (ვაჟა-ფშაველა – გ. გ.) შვიდკაპიკიან სადილს სჭამდა, ხურჯინით ჩამოჰქონდა ლექსები და მაინც ვერ იცვნეს საქართველოში“ (VII, 381)...

– „როცა ტფილისის XX საქალაქო კონფერენციაზე ვაჟას ენის კუთხურობის საკითხი დასვეს, ერთი სიტყვითაც არ მოაგონდათ ის გარემოება, რომ ვაჟა უბადლო დიდოსტატია არა მარტო ქართულ სინამდვილეში, არამედ ჩვენი საუკუნის ზღურბლზე მისი რანგის პოეტი არ გააჩნია არც ერთს, ჩვენს ცხოვრებაში მყოფ ცივილიზებულ ერს, ეს უნდა თქმულიყო“ (VII, 476)...

– „თანამედროვეთა დაფასება ილია ჭავჭავაძისაგან უნდა ისწავლოს კაცმა... ილია ვაჟას გამოსვლის ხანებში უფრო დაბრძენებული და მომზადებული იყო, ვიდრე ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსი, მაგრამ არაოდეს უკადრებია: ვაჟა პრიმიტიული იყო“ (VI, 547)...

* * *

მსგავსი ამონარიდები მრავლად შეგვიძლია მოვიყვანოთ...

კონსტანტინე გამსახურდია ვაჟა-ფშაველას მკვიდრ ადგილს მიუჩენს ქართველ კლასიკოსთა შორის... ვაჟა ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალური ხაზის განვითარების გეზი:

– „როგორც მეფეებმა: ვახტანგ გორგასალმა და ბაგრატ IV-მ, დავით აღმაშენებელმა და გიორგი ბრწყინვალემ, ხმლით დაიცვეს ის მიწა, რომელიც ისტორიის ნემეზისმა მიანიჭა ჩვენს წინაპრებს, შეკრიბეს ჩვენი დაქსაქსული ტომები, ასევე

ჰქმნეს, მაგრამ არა მახვილით, არამედ კალმით, ქართული სიტყვის დიდოსტატებმა: იაკობ ხუცესმა და გიორგი მერჩულემ, რუსთაველმა და საბა ორბელიანმა, დავით გურამიშვილმა და აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძემ და ვაჟა-ფშაველამ“ (VI, 130);

– „არც აკაკის, არც ვაჟას ლირას გალაკტიონისდარი ლირიული შედეგები არ მოუციათ, სამაგიეროდ მათ პოემებსა და პროზაშიაც თავი ისახელეს ფრიად“ (VI, 683);

– „ენა რუსთაველის, გურამიშვილის, საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას მიერაა შექმნილი, ენა XIX საუკუნის ქართული მწერლობისა“ (VII, 493)...

– „ის, რაც ქართული პროზისთვის საბამ გააკეთა, პოეზიაში იტვირთა დიდმა პოეტმა დავით გურამიშვილმა, რომელიც ქართული ენის განახლების საკითხებში წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ჩვენი დიდი ვაჟასი“ (VI, 595).

გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება დამოკიდებულებას: „ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ჩვენი დიდი ვაჟასი“...

– „ილიამ შეიცნო პირველმა ნ. ბარათაშვილის ტალანტი, ვაჟა-ფშაველას გენია და ალექსანდრე ყაზბეგის ნიჭი“ (VI, 442)... და სხვა...

ასე აღიქვამს კ. გამსახურდია ვაჟა-ფშაველას ქართველ კლასიკოსთა დასში...

„მსოფლიო პოეზიაზე“ საუბრისას ბევრი რამ დაეჯერება კ. გამსახურდიას... ამიტომ საგულისხმოა, როგორ ღირსეულად წარმოადგენს „გენიალურ ვაჟას“ მსოფლიო კლასიკოსთა კონტექსტში:

– „მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება ვაჟას ბადალი პოეტი, ასეთი თავისთავადი ორიგინალობით მოსილი“ (VI, 664);

– „ზოგი პოეტი ვაჟა-ფშაველას დარად ისე ღრმად შეიჭრება ხოლმე საკუთარი ენის ტევრში, რომ მისი უკუხმობა და სხვა ენაზე გადატანა თითქმის შეუძლებელი ხდება (უნდა ითქვას, ასეთივე ბედი ეწვია ნოვალისს, გოეტეს რამდენიმე ლექსს, „ფაუსტის“ ზოგიერთ ეპიზოდს, ვერდენის პოემებს, და მრავალ დიდ პოეტს, რომელთა შესახებ აპრიორი იციან სხვა ენებზე, რომ ისინი დიდებია, მაგრამ არ კი იციან, რატომ?)“ (VI, 447);

– „ბაირონის, გოეტეს და ლორგფელოს და ვაჟა-ფშაველას მიერ შექმნილი პოემის ჟანრი თითქმის გადაგვარდა“;

– „ვაჟა-ფშაველასებრი გმირული პათოსით აღბეჭდილია ავეტიკ ისააკიანის პოემები... ამ ბარიერებს ადვილად სძლევენ ხოლმე ისეთი რჩეულნი რჩეულთაგანნი, როგორც იყვნენ ავეტიკ ისააკიანი და ვაჟა-ფშაველა“ (VI, 468-469);

– „ამ ქვეყნად არავის ისე არ ესაჭიროება სრულყოფისათვის ბრძოლა და შრომა, როგორც მწერალს. კამეჩის ენერგია სჭირია მწერალს. ამ სათუთ კალმიდან ქალღმერთს მოხდენილი წნევის გაზომვა რომ მოხერხდეს, ალბათ, რამდენიმე ათასი ცხენის ძალა გამოვა. ლევ ტოლსტოი და ფლობერი, ვაჟა და ჰიუგო, რუსთაველი და გოეტე, ალბათ სატანური ნებისკაცები უნდა ყოფილიყვნენ“ (VI, 521)...

– „რამდენადაც დიდია მწერალი, ის ისე ღრმად შედის თავისი ენის სტიქიაში, რომ მისი გამოყვანა ამ სტიქიიდან და იმავე სამკაულებით შემკობა სხვა ენაზე ძნელი ხდება. და მე მიმაჩნია: გოგოლი არის უდიდესი მწერალი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში, იმიტომ, რომ გოგოლი დარჩა თავისი ენის ტყვეობაში და ვერ გამოიყვანეს ამ ენის

ტყვეობიდან; იგივე მოუვიდა პუშკინს და იგივე მოუვა ვაჟა-ფშაველას“ (VII, 464)...

– „ჩვენ უნდა გვახსოვდეს მუდამ: ყოველი ენა ისეთი უცნაური და იგავმიუწვდენელი ფენომენია, ისეთი ფაქიზი და რთული ლაბირინტი, რომ არც ერთი გენიოსი, არც ერთი დიდოსტატი სიტყვისა დაზღვეული არაა ერთ-ორჯერ არ დაუშვას რაიმე ლაპსუსი. ჩვენ ვიცით, ენობრივი ლაპსუსები უპოვიათ ისეთი შუმი გენიოსების ნაწერებში, როგორიც არიან დანტე, გოეტე, ბაირონი, ლევ ტოლსტოი და ვაჟა“ (VII, 492)...

დიას, ენობრივი შეცდომები დაუშვიათ შუმ გენიოსებს – დანტეს, გოეთეს, ბაირონის, ტოლსტოის და ვაჟასო...

* * *

და მოვედით ვაჟა-ფშაველას მიერ „დაშვებულ ენობრივ შეცდომებთან“... ვაჟა-ფშაველას ენობრივ სამყაროსთან...

კონსტანტინე გამსახურდია სალიტერატურო ენის განვითარების პრობლემებზე როცა საუბრობს, ყურადღებას ამახვილებს ისეთ მნიშვნელოვან მოვლენაზე, როგორიცაა ენობრივ საკითხზე გამართული პოლემიკები მე-19 საუკუნეში და საუბარს ასე დაასრულებს: „ბოლოს, ჩვენი ქართული პოეზიის ტკბილხმოვანი ორფეოსი წაეკიდა ჩვენს დიდ ვაჟას და ასეთი რამ აკადრა: ენას გიწუნებო, ფშაველო“ (VIII, 249)...

კ. გამსახურდია როცა ამბობს „აკადრაო“, იოლი მისახვედრია, რომ ამ ცნობილ პაექრობაში მისი სიმპათია ვაჟა-ფშაველას მხარესაა...

ანდა: კ. გამსახურდია ქართული ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების წყაროებზე საუბრობს და აკაკის ამ საყვედურსაც გაიხსენებს: „უნდა შემოვუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტიკის სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურული კილოდან. ვაჟა-ფშაველამ ამ მხრივ დიდი სამსახური გაუწია ქართულ ენას, მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელი „ენას უწუნებდა“ მას“ (VI, 628)... უცნაურია:

ვრცელ კონტექსტს თუ გადავხედავთ, აქ თითქოსდა არაფერ შუაში იყო აკაკის გახსენება... მითუმეტეს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, აკაკი წერეთელი ვერ აფასებდა ვაჟა-ფშაველას ღვაწლს და... ჯერ ერთი, აკაკი გულისხმობს დიალექტურ გრამატიკულ ფორმებს, აქ კი საუბარი ლექსიკაზეა... მაგრამ კონსტანტინე გამსახურდია ვაჟას აუგს ვერ „ეგუება“, თუნდაც აკაკისაგან თქმულს...

ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ვაჟას მიმართ ასეთი გამორჩეული დამოკიდებულება კ. გამსახურდიასი აკაკისეული დამოკიდებულების ბრალია... „ღაჩაგრულს“ დაუდგა გვერდით... არ მალავს ამას მწერალი: „მე სიყრმიდანვე ვაჟას მომხრე ვიყავი და გიმნაზიის უკანასკნელ კლასებში მერხიდან ვუწევდი ოპოზიციას ჩემს მასწავლებელს, სილოვან ხუნდაძეს“ (სილოვან ხუნდაძე აკაკი წერეთლის მხარდამჭერი ყოფილა – ვაჟასთან „ბევრი ჰქონდათ სადავო აკაკი წერეთელსა და სილოვან ხუნდაძეს“); „იმ დროიდან მე არ შემიცვლია შეხედულებანი ვაჟას ენისმიერი პოზიციების გამო“ (VI, 665)...

ფაქტია: კონსტანტინე გამსახურდია ცდილობს დაასაბუთოს, რომ გენიალური ვაჟას ენობრივი სამყარო ასევე გენიალურია... შეუფასებელია, ბოლომდე შეუცნობელია... და – მართალია ვაჟა-ფშაველა...

თუ შევძელით, ვეცდებით ვაჩვენოთ, როგორ ხედავს კ. გამსახურდია ვაჟას ენობრივ სამყაროს, როგორ აფასებს მის ენას, მის შეხედულებებს ენობრივი ფენომენის შესახებ... ზოგ შემთხვევაში მწერალი აშკარად სუბიექტურია შეფასებაში, მიკროდოებულიც ითქმის, მაგრამ ვაჟას ენობრივი სამყაროს გასახსნელად, უმნიშვნელოვანესია...

* * *

ვაჟა-ფშაველას ენობრივი ფენომენის სწორად გასააზრებლად კონსტანტინე გამსახურდია ასეთ შეფასებას გვთავაზობს:

– „ვაჟას წინ რომ არ დასვედროდა დიდი შოთა, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, მაშინ ვაჟა ფშავ-ხევსურულ დიალექტებს მოახვევდა თავზე საქართველოს და მოხდებოდა ისეთი ამბავი, როგორც დანტემ ჩაიღინა იტალიური ენის მიმართ“ (VII, 532).

ამ აზრს კ. გამსახურდია „დაბეჯითებით“ იმეორებს სხვადასხვა ვარიაციით სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წერილში:

– „დაბეჯითებით შეიძლება იმის ვარაუდი, ვაჟას რუსთაველი და სხვა ჩვენი დიდი კლასიკოსები წინ რომ არ გადლობებოდნენ, იგი ფშავ-ხევსურულ დიალექტს მოახვევდა ქართულ ენას, ისევე როგორც ტოსკანური დიალექტი გააბატონა იტალიურში დანტემ“ (VI, 602)...

– „ქართულ მწერლობაში სასწორის მეორე მხარეს რუსთაველი, გურამიშვილი, ქართული ხალხური პოეზია რომ არ ყოფილიყო, შესაძლო იყო ფშავ-ხევსურული დიალექტი მოეხვია ქართული ლიტერატურისათვის ვაჟას“ (VI, 319)...

კ. გამსახურდია ასეთ გააზრებას აძლევს ამ „დაპირისპირებას“: ვაჟა-ფშაველას კი არ „წაუგია“ წინამორბედ კლასიკოსებთან, არამედ იმდენად ძლიერი იყო მათი „მაგნიტური ველი“, რომ ვაჟა ვერ გაექცა მისი მიზიდულობის ძალას:

– „მე პირადად მუდამ ასე მიმაჩნდა: ქართული ენის გენერალური ხაზი ეს არის ის მაგნიტური ველი, რომელსაც მწერალი არ უნდა გადასცდეს“ (VI, 665).

ვერ გადასცდა ვაჟა-ფშაველაც... ყოველივე ის თავისებურებანი, რომლებიც ვაჟას ენის საკუთრებაა, ამ „მაგნიტური ველის“ სივრცეში რჩება...

როცა ვაჟას „მსოფლიო მნიშვნელობაზე“, „შუმ გენიოსობაზე“ და „თავისთავად ორიგინალობაზე“ საუბრობს კ. გა-

მსახურდია, ვაჟას ენობრივი სამყარო აქვს უმთავრესად მხედველობაში:

– „პოეტის შეფასებაში ჩემთვის ერთი უმთავრესთაგანია ენობრივი პოზიცია ავტორისა, რადგან ენა იგივეა მწერლისათვის, რაც კომპოზიტორისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი“ (VI, 665)...

კონსტანტინე გამსახურდია როცა საუბრობს ვაჟა-ფშაველას ენობრივ პოზიციაზე, ფაქტობრივ იმეორებს იმ შეფასებას, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში გაუღერდა... გავიხსენოთ, რა ბრალდებას უყენებდნენ ვაჟა-ფშაველას მისი თანამედროვენი თუ მომდევნო პერიოდის სპეციალისტები (ამის თაობაზე არსებულ თვალსაზრისებს ვრცლად, დეტალურად მიმოვიხილავთ წიგნში – „ერი დედაა ენისა – ფიქრები ვაჟა-ფშაველაზე“ – 2020 წ.); ძირითადი შეფასებები ასეთი იყო: „ვაჟა-ფშაველა თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებს – ლიტერატურულ ენაზე“... (ეს არის ამონარიდი შ. ძიძიგურის „შემაჯამებელი“ წერილიდან). „ვაჟა-ფშაველა ფშაურ-ხევსურული კილოს ზედმეტი გამოყენებით ხელს კი არ უწყობდა სალიტერატურო ენის დადგენასა და სიწმინდისათვის ბრძოლას, არამედ ბლალავდა საერთო ეროვნულ სალიტერატურო ენის განვითარება-განმტკიცების საქმეს“ (ეს არის ციტატა მ. ზანდუკელის მონოგრაფიიდან)...

გაისმა უმძიმესი ბრალდებებიც: „ვაჟა ენობრივი პარტიკულარიზმის ტიპიური წარმომადგენელია“... „პოეტის ენობრივი პარტიკულარიზმი შინაგან ლოგიკურ კავშირშია მის მსოფლმხედველობრივ პარტიკულარიზმთან“...

ვაჟა-ფშაველას ენის მიმართ უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო აკაკი წერეთლის პოზიციამ (1899 წელს გამოქვეყნებული წერილი „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ და 1913 წლის ლექსი „ვაჟა-ფშავე-

ლას“)... ამას გულისხმობდა კ. გამსახურდია, როცა წერდა, აკაკი წერეთელმა „ასეთი რამ აკადრა: ენას გიწუნებ ფშაველო“...

ასე რომ, ფაქტობრივ, კ. გამსახურდია ეთანხმება ამ ზოგად შეფასებას:

– „საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიციები. ცნობილია, ვაჟა თავის პროზას, ეთნოგრაფიულსა და კრიტიკულ წერილებს გამართული, თავანკარა ქართულით წერდა, ზოლო ლექსებს ფშაურ დიალექტზე“ (VIII, 214).

სხვათაშორის, ამას („ფშაურ დიალექტზე წერდაო“) კ. გამსახურდია ვაჟას ნაკლად მიიჩნევს, სჯობდა კუთხურის წილი შეერბილებინაო:

– „უეჭველია, ვაჟას პოეზია უთუოდ მოიგებდა რომ კუთხური კილოს დომინანტი შეერბილებინა ოდნავ“ (VIII, 241).

და ცდილობს „ახსნას“, ამ „ნაკლმა“ რატომ არ „შეუმალა ხელი“ ვაჟას განდიდებას:

– „ეს იყო მხოლოდ, ვაჟამ ჩამოჰკრა ისეთ უნივერსალურ სიმებს მსოფლიო პოეზიისას, რომ ეს ნაკლი აიტანა მისმა დიდმა პოეტურმა ტემპერამენტმა“ (VIII, 214).

და კიდევ ერთი „არგუმენტი“, „ფშაურ კილოზე წერამ“ რატომ არ „აენო“ ვაჟას სიდიადეს:

– „ერთი მომენტიც უნდა აღვნიშნოთ: ვაჟას ჰქონდა კუთხური, ფშავეური კილო, მაგრამ საერთო ფონი მისი მეტყველებისა იყო ძველი ქართული“ (VIII, 214)...

ჩვენ არ ვდავობთ, არ ვახდენთ შეფასებას გამოთქმული აზრებისას... ვცდილობთ კ. გამსახურდიას თვალით დანახული ვაჟა წარმოვადგინოთ...

დიან, ვაჟა-ფშაველას ენობრივი პოზიციის ორიგინალობა, სირთულე არაერთგვაროვანი შეფასებების საფუძველი გახდა:

– „ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს მან არც კი იცოდა თავისი დიდი ტალანტის ფასი.

„უცნაური იყო ზოგ-ზოგი კრიტიკოსის მიერ იმის მტკიცება, თითქოს ვაჟა ველური, გაურანდავი ტალანტი ყოფილიყო. საკმარისია გადაათვალიეროთ მისი კრიტიკული წერილები, რათა დარწმუნდეთ, რომ ვაჟა დიდად განათლებული ადამიანი იყო“ (VI, 665)...

– „მე კი ვფიქრობ: ვაჟა განგებ გაემიჯნა ტრივიალურ პროვინციალიზმში გადაჭრილი მწერლების ენას“ (VI, 665);

– „არსებითად ვაჟა-ფშაველა განერიდა რუსიციზმებითა და ბარბარიზმებით დაზიანებულ ქართულ ენას და, ჭეშმარიტად „მარგალიტების მთესველმა“, ქართულ ენაში შემოიშვა მთაში გახიზნული ქართული ლექსიკური მარაგი და მისი მითოლოგია“ (VI, 666)...

ისევ შეუგუებლობა გამოთქმული თვალსაზრისის მიმართ:

– „ზოგს ასე ჰგონია: ვაჟას კუთხური – ფშავ-ხევსურული დიალექტი რომ ვერ მოეშველებინა, ასეთ სიმაღლეზე ვერ ასწევდაო თავის პოემებსა და ლექსებს“ (VI, 665)...

აქ ერთ საინტერესო შედარებას მოახდენს კ. გამსახურდია:

– „ჩვენ ვიქნებით უსამართლო განმსჯელნი, თუ დიალექტიზმის ცოდვებს მოვხსნით ჩვენს კლასიკოსებს, ილიასა და აკაკის, მით უმეტეს დავით კლდიაშვილს, ე. ნინოშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს, გიორგი წერეთელს, რომელნიც არ იყვნენ უცოდველნი ამ საქმეში“ (VI, 665)...

იტყვის ამას კონსტანტინე გამსახურდია და დასვამს წერტილს... აღარ დაასრულებს სათქმელს... არადა, აზრის გაგრძელება ნათელია: დიალექტი სხვათაგან მოიშველია, მაგრამ კრიტიკის სამიზნე ვაჟა ვახდაო...

* * *

კ. გამსახურდია როცა ვაჟა-ფშაველას დიალექტიზმებზე საუბრობს, განსხვავებით აკაკი წერეთლისაგან, აქცენტს ძირითადად ლექსიკაზე აკეთებს... მოხიბლულია ამ სიმდიდრით...

დაბოლოს, დასკვნა:

– „ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. თვალუწვდენელია დიამეტრი მისი პოეტური მსოფლშეცნობისა“ (VI, 320)...

– „ასეთი დიდი სტიქიონი იყო ვაჟა. როგორც ენობრივი მოვლენა, ჯერაც შეუსწავლელია“ (VI, 319)...

* * *

ამ ქების დასასრულ კვლავ ანა კალანდაძე მინდა მოვიშველიო: „როდესაც „დიდოსტატის“ ავტორი ზეპირად ამბობდა ადგილებს ჩემი ლექსებიდან და მეკითხებოდა, როგორ დავწერე ეს მშვენიერი სტრიქონებიო (და უკითხავს არაერთგზის!), როდესაც ნაჩუქარ წიგნებსა და ფოტოსურათებზე გაკეთებულ სამახსოვრო წარწერებში ასეთ ეპითეტებსაც კი ხმარობს, – „ბრწყინვალესა“, და „უბრწყინვალესო“, ვფიქრობ, და მკითხველიც დამემოწმება, რომ ეს ყველაფერი კონსტანტინე გამსახურდიას დიდ ბუნებაზე, მის დიდ მამულიშვილობაზე და მოქალაქეობაზე უფრო მეტს ამბობს... როგორი უშურველობაა, როგორი „გამეტებულობა!“ (ანა კალანდაძე, ტ. II, 1996, 277)...

„როგორი უშურველობაა, როგორი „გამეტებულობა!“ – აი, ეს ბუნება კონსტანტინე გამსახურდიასი ჩანს მის დამოკიდებულებაში ვაჟა-ფშაველასადმი...

და, რაც მთავარია, ქართული ენისადმი...

ბოლოსიტყვა

კვლავ ანა კალანდაძე: – „1966 წლის 29 ნოემბერს საქ. მწერალთა კავშირიდან ადრესი უნდა გაეგზავნათ მოსკოვში ნ. ტიხონოვისათვის რუსთაველის სახელობის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით. ადრესს პირველმა კონსტანტინე გამსახურდიამ მოაწერა ხელი ...ქართულად“ (ა. კალანდაძე, ტ. II, 1996, 282)...

ეს სიჭარმავეში ხდებოდა...

სიჭაბუკის ამბავს გაიხსენებს კ. გამსახურდია „ლანდებთან ლაციცში“:

პეტერბურგის უნივერსიტეტში საქვეყნოდ ცნობილი აკადემიკოსი ნიკო მარი შეხებია „პატკანოვსა და ილია ჭავჭავაძეს შორის ატეხილ პოლემიკას“ და ილია აუგად მოუხსენებია... სტუდენტ გამსახურდიას მოკრძალებით დაუცავს ილია ჭავჭავაძე... ნ. მარმა თურმე უხეშად უპასუხა: „დაჯექი მანდ, ილია ისეთ საკითხებში ეჩრებოდა, რაც მისი საქმე არ იყო“... კ. გამსახურდია: „მე გავბრაზდი, ავდექი და დავტოვე ლექტორიუმი“...

ამ ეპიზოდის ფინალია ღირსსაცნობი: „მარრი დეკანი იყო და დეკანატში მიხმო, ჩემი საქციელის გამო განმარტება მომთხოვა.

მე ქართულად ვუპასუხე იგივე, რაც ლექციის დროს ვუთხარი. მარრი გაბრაზდა და მეორე დღეს აკაკი შანიძის პირით შემომითვალა:

„მე რუსულ სამსახურში ვარ და გამსახურდიას რა ნება
ჰქონდა ქართულად შემსიტყვებოდა დეკანატიშიო“... (VIII,
86)...

და... პროტესტის ნიშნად კონსტანტინე გამსახურდიამ
პეტერბურგის უნივერსიტეტი დატოვა და ევროპაში წავიდა...

ქართული ენის გამო!... ილია ჭავჭავაძის გამო!...

... მთელი სიცოცხლე ამ დევიზით იღვაწა: „მშობლიური
ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, რო-
გორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოსა!“...

ეს იყო მისი ცხოვრების მიზანიც და მისი ანდერძიც...

* * *

დაბოლოს: ჩვენ დედაენის შესახებ კონსტანტინე გამსა-
ხურდიას აზრები შევკრიბეთ, დავალაგეთ და წარმოვადგინეთ...
კომენტარებს, შეფასებებს მოვერიდეთ... ზოგი საკითხის შესა-
ხებ ჩვენი აზრიც გვაქვს, მაგრამ... დიდი ილიას სიტყვები მან-
სენდება, „მგზავრის წერილებში“ რომ ამბობს:

„მართალია თუ არა ჩემი მოხვევა, მე მაგის განსჯაში არ
შევალ. ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე ვაკვრით, როგორც მგზავ-
რი, ვიხსენებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო
იმაშია, რომ იმისი აზრისთვის იმისივე ფერი შემერჩინა და
იმისი სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი
განზრახვაც შემისრულებია“...

შინაარსი

| | |
|---|-----|
| წინასიტყვა | 3 |
| ქება I – ავტორისათვის | 7 |
| ქება II – ქართული ენისათვის | 18 |
| ქება III – ქართული ანბანისათვის | 34 |
| ქება IV – ქართული სიტყვისათვის | 44 |
| ქება V – მართლუბნობისა და წესიერწერისათვის | 60 |
| ქება VI – სახელმძღვანელოთათვის | 84 |
| ქება VII – ქართული ენის ამაგდართათვის | 90 |
| ქება VIII – შეპაექრობის რიტორიკისათვის | 107 |
| ქება IX – თანამზრახველობის რიტორიკისათვის (ანუ „შუმი გენიოსისათვის“) | 126 |
| ბოლოსიტყვა | 140 |

